ანატოლი ჩეხოევი საქართველოს დაშანტაჟებას აპირებს A2

ბაქოში პანკისიდან ჩეჩნეთში გადასვლის მსურველებს ასამართლებენ A7

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 15 აპრილი, 2003 წელი. №103 (315)

ფასი 50 თეთრი

კმარა! ავმოძრავდეთ!

სტუდენტების გამაფრთხილებელი აქცია

მათ აღარ სურთ უძრაობის ხანაში ცხოვრება.

იური ელიავილის ფოტო

სოფო ბუკია

- სად მიდიან, ნეტა?

- კანცელარიასთან მივდივართ, ბებო... კმარა!!!!

- მართალი ხართ, შვილებო, კმარა! მარა ერთი-ორი ჭიქა მზესუმზირა მაინც გაიყოლეთ, – იხვეწება.

- გაწიე, ბიჭო, ეს დროშა, გული არ გამიხეთქა?! მაგის სურათის ფრიალი გვაკლია კიდე, – ცილინდრში გამოწყობილ მოხუც ბატონს აშკარად ნერვებმა უმტყუნა (საბჭოთა საქართველოსდროინდელი დროშა, რომელიც გუშინ კანცელარიისაკენ მიმავალმა სტუდენტებმა წინ აიფრიალეს, პრეზიდენტ შევარდნაძის, აკაკი ჩხაიძის, ვანო ზოდელავას, ავთანდილ ჯორბენაძის, ვახტანგ რჩეულიშვილისა და ლევან მამალაძის ფოტოებით იყო გაკეთილშობილებული. ცილინდრიანი კაციც, როგორც შემდეგ გაირკვა, პრეზიდენტის ფოტოს შეუშინებია).

- აუფ, დაიწყო ისევ რევოლუცია! - გაუხარდა ერთს.

- კმა-რა... – დამარცვლით ამოიკითხა მოფრიალე ლოზუნგი გამვლელმა ქალბატონმა და კორექტულად იკითხა, რა კმარაო?

- კმარა ცინიზმი!

- კმარა დუმილი!

- ავმოძრავდეთ! – პასუხი ორასამდე სტუდენტმა ერთდროულად გასცა. ქალბატონიც უსიტყვოდ დაემორჩილა სტუდენტურ მოთხოვნებს, სასწრაფოდ "ამოძრავდა" და იქაურობას გაეცალა.

პარლამენტთან სტუდენტურ აქციაზე არანაკლებ ორგანიზებული პოლიციელთა აქცია მიმდინარეობდა. დაახლოებით, ასამდე სამხრეებიანი იდგა.

- რატომ დგახართ აქ?

- რავი აბა, ექსკურსიაზე მივდივართ და ავტობუსს ველოდებით, – ბავშვურად უხარია პოლიციელს.

გაგრძელება A8 გვერდზე

პოლიტიკა

ბათიაშვილი ფინანსისტებს ამბოხებებით ემუქრება

"ძალოვანი უწყებების დაფინანსების გაზრდაში ჩვენი კომიტეტის წვლილიც არის," - თავდაპირველად თავმდაბლად აცხადებდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ირაკლი ბათიაშვილი. სხდომა თავდაცვის სფეროზე გათვალისწინებული 2002 წლისა და 2003 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტს ეხებოდა.

A2

ეკონომიკა

მსოფლიო ბანკი ერაყს სხვა ქვეყნების ხარჯზე არ დაეხმარება

როგორც კი ერაყში ვითარება უსაფრთხო გახდება, ბანკი მზადაა, იქ მიავლინოს ექსპერტთა გუნდი, რათა ქვეყანაში ჩასატარებელი სამუშაოსა და გასაწევი ხარჯების მოცულობა შეფასდეს.

A4

უცხოეთი

ერაყში ამერიკელთა კონტროლი ძლიერდება

აშშ-ს საზღვაო ქვეითებმა, ტანკების და ჯავშანტექნიკის დახმარებით, სადამ ჰუსეინის უკანასკნელი ბასტიონის – ტიქრითის ცენტრი დაიკავეს.

A5

საზოგადოება

„ჩვენი ქანგბიანი მილები გვირჩევნია, სხვის ოქროსას„

"თბილწყალკანალის" სარეაბილიტაციო სამუშაოებზე თითქმის დამთავრებული ტენდერი შესაძლოა ჩაიშალოს. გუშინ ლეიბორისტულმა პარტიამ ტენდერის გაუქმების მოთხოვნით საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

A6

სამართალი

მკვლელობები ჩეჩნეთში: ოფიციალური დოკუმენტი რუსეთის არმიას ადანაშაულებს

გუშინ ფრანგული გაზეთის " მონდის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩეჩნეთში რუსი სამხედროების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი საზარელი ძალადობის ფაქტების ამსახველი ოფიციალური დოკუმენტი. მცირე შემოკლებით გთავაზობთ " მონდის" სტატიას.

A7

ამინდი

თბილისი	14
ქუთაისი	21
ბათუმი	19
სოხუმი	21
ფოთი	22
თელავი	12
ზუგდიდი	23
გორი	13
ახმეტა	13
ჭიათურა	17
გაბრა	20
სამტრედია	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1650
ევრო	2.3230
გირვანქა სტერლინგი	3.4047
რუბლი	0.0692

არჩევნები – ეს მე ვარ!

ასე იქნება, თუ ცესკო-ს ცხრა წევრიდან შვიდს პრეზიდენტი დანიშნავს

გიორგი ასანიშვილი

სპორტში მიკერძოებული მსაჯობის შემთხვევები არც ისე იშვიათია, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ოფიციალური მატჩის მთავარი არბიტრი ერთ-ერთი მოასპარეზე გუნდის წევრი იყოს. არაობიექტურ მსაჯსაც კი, თუნდაც ფორმალურად, მაინც განსხვავებული ფორმა აცვია და იგი ყოველთვის ნეიტრალურ ფიგურად აღიქმება. ის, რაც დაუშვებელია სპორტში, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში. სახელმწიფო კანცელარიასა და პარლამენტის პროშევარდნაძისტულ ბანაკში იმის გაფიქრებაც კი არ უნდათ, რომ შეიძლება, პრეზიდენტს რაღაცის უფლება არ ჰქონდეს და მასზე შეზღუდვები გავრცელდეს. მართალია, ედუარდ შევარდნაძე ახლადშექმნილი საარჩევნო კოალიციის "კაპიტანია", მაგრამ მავანთათვის ეს სულაც არ არის შემაფერხებელი ფაქტორი იმისთვის, რომ მომავალი საარჩევნო ადმინისტრაცია სწორედ მან დააკომპლექტოს - მარიამ ცაცანაშვილის სამთავრობო კომისიაში შემუშავებული პროექტის მიხედვით, ცესკო-ს ცხრა წევრიდან შვიდი შევარდნაძემ უნდა დანიშნოს.

გაუგებარია, რაში სჭირდება ცხრიდან შვიდი კაცი. მთავარ საარჩევნო ადმინისტრაციაში უმრავლესობის მისაღებად და სასურველი გადაწყვეტილების გასატანად ხომ ხუთი წევრიც საკმარისი იქნება? - იკითხავს საკითხის დეტალების საფუძვლიანად არმცოდნე. მათთვის შეიძლება განვმარტოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უნდობლობის ფაქტორთან. კანცელარიაში, ეტყობა, მტკიცედ არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ თუნდაც პრეზიდენტის მიერ დანიშნული ცესკო-ს ყველა წევრი ბოლომდე უერთგულებს მას და მის პოლიტიკურ ნებას ბრმად აღასრულებს. ამიტომაც, "გაუგებრობებ-

გაგრძელება A3 გვერდზე

ქურდობა ვარციხის სამხედრო ნაწილში - იმერეთი აფეთქებას გადაურჩა

ბექა სისაური
ქუთაისი

ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ნაწილი N44762 საიდუმლო ობიექტს წარმოადგენს. ნაწილის ტერიტორიაზე რუსეთისგან მემკვიდრეობით დატოვებული სხვადასხვა სახის საავიაციო ბომბები და ფრთოსანი რაკეტები ინახება. რუსებმა იგი თავის დროზე იმიტომ არ წაიღეს, რომ ბომბების უმეტესი ნაწილი მოძველებული გახლდათ.

სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე განთავსებული საავიაციო ბომბები 300-600-კილოგრამიანია, ზოგიერთი კი ტონაზე მეტიც. იარაღმა, რომელიც სამხედრო ბაზაზე ინახება, იმერეთის მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. საქმე ისაა, რომ მოძველებული საავიაციო ბომბების უმეტესი

გაგრძელება A7 გვერდზე

ჟურნალისტებმა რუსეთი ერაყის დაზვერვასთან თანამშრომლობაში ამხილეს

რევაზ ბახტაძე

ომის დაწყებამდე რუსეთი ერაყულ დაზვერვას აქტიურად ეხმარებოდა, - ბაღდადში აღმოჩენილ საიდუმლო დოკუმენტებზე დაყრდნობით იუწყება ბრიტანული პრესა.

ამ ტიპის მასალები ერთდროულად ხუთ ბრიტანულ გაზეთში დაიბეჭდა, მათ შორის, "გარდიანსა" და "სანდი ტელეგრაფში".

ბრიტანულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებზე რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა მოკლე კომენტარი გააკეთა. "ინტერფაქსთან" საუბრისას, რუსეთის საგარეო დაზვერვის წარმომადგენელმა ბორის ლასუბოვმა განაცხადა, რომ "ბულვარულ პრესაში გამოქვეყნებულ დაუსაბუთებელ ინფორმაციაზე ისინი კომენტარს არ გააკეთებენ".

გაგრძელება A5 გვერდზე

კლასიკური ბალერინა და Business-Woman

B2

ირმა ნიორაძე

რატომ გარბიან ჭარისკაცები "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამიდან

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოს არმიისთვის ყველაზე გავრცელებული დანაშაულის - დეზერტირობის ვირუსს ვერც ქართულ ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა გადაურჩა. საქართველოს სამხედრო პროკურატურის ინფორმაციით, იაღლუჯის პოლიგონიდან, სადაც ტაქტიკურ მომზადებას საჩხერის სამთო-მსროლელი ბატალიონი გადის, გაქცეულად ითვლება 9 ჭარისკაცი.

ორი თვის წინ, პირველი ცნობა მოვიდა ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი "კომანდოს" ბატალიონიდან რიგითი დავით გეგენავას გაქცევის შესახებ. მაშინ საზოგადოება საშინელმა იმედგაცრუებამ მოიცვა. სამხედრო ხელმძღვანელობა გაოგნებული იყო და ვერაფრით ხსნიდა დეზერტირობის მოტივს. კონტრაქტის თანახმად, პროგრამაში მონაწილე ჭარისკაცები ხომ გენერლებზე ორჯერ მაღალ ხელფასს იღებენ და უზრუნველყოფილნი არიან ყველაზე მაღალი სტანდარტების შესაბამისად. დაბნეულნი არიან სამხედრო პროკურორებიც, რომლებიც ეძებენ ხელჩასაჭიდ მოტივს, რათა არ აღძრან გაქცეული ჭარისკაცების მიმართ სისხლის სამართლის საქმე.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

სოხუმსაც ამერიკის იმედი აქვს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, **"რაც უფრო დიდი იქნება დასავლეთის კონტროლი ქართულ არმიაზე, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება ჯარს. ეს არა მხოლოდ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში რეგულარული ამბოხებების, არამედ აფხაზეთზე მოულოდნელი იერიშების თავიდან აცილებას განაპირობებს, რისი მცდელობებიც ბოლო წლებში დაფიქსირდა".**

მისი თქმით, **"დასავლეთი ხედავს, რომ აფხაზეთი არავის ემუქრება, ამიტომაც კონფლიქტის დარეგულირებაში აშშ და ნატო არ ჩაერევიან".**

მოკლედ

თბილისი. "საქართველოს მწვანეთა პარტია" კვლავ ადასტურებს "ლეიბორისტულ (შრომის) პარტიასთან" გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებას. "ლეიბორისტები" კი რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან კონსულტაციების წარმოების ფაქტს საერთოდ უარყოფენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ჯერჯერობით მხოლოდ 750-მა თანამდებობის პირმა წარადგინა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენის, ენგურჰესის რეაბილიტაციისა და დევნილთა დაბრუნებასთან დაკავშირებული მუშა ჯგუფის ხელმძღვანელებს, სოხუმი ამ კვირაში დაასახელებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის შეიარაღებული ძალების რეზერვისტები, ზოგიერთი პოლიტიკური ძალების მცდელობათა მიუხედავად, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვლადისლავ არძინბას ოპოზიციაში არ ჩაუდგებიან, - აცხადებს სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თოვლის დნობის პერიოდის დადგომასთან ერთად ჩეჩენი ბოევიკები პანკისის ხეობაში გადმოსვლას კვლავ შეეცდებიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამხრეთ ოსეთის მთავრობის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბორის ჩოჩიევის განცხადებით: "ცხინვალი არ აღიარებს ლიახვის ხეობის სოფლებიდან არჩეული დეპუტატის უფლებამოსილებას, რადგან საქართველოს პარლამენტის წევრი სამხრეთ ოსეთიდან აბსურდია". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველო მზად არის თავისი სამხედროების ერაყში გასაგზავნად მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციაში მონაწილეობის მიზნით, განაცხადა ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვის საკითხების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან ნიკოლეიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ზუგდიდი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დღევანდელმა სხდომამ დააკმაყოფილა ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის როლანდ გვათუას განცხადება თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე. კომისიისათვის უცნობია გვათუას გადადგომის მიზეზი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "მრეწველები" კვლავ უარობენ წინასაარჩევნოდ სახელისუფლო ბლოკთან გაერთიანებაზე. „მრეწველთა" საპარლამენტო ფრაქციის ერთ-ერთ ლიდერს ზურაბ ტყემალაძეს იმედი აქვს, რომ მისი პარტია დამოუკიდებლადაც შეძლებს პარლამენტში მოხვედრას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" პოლიტიკური მდივანი ირაკლი ქადაგიშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ სახელისუფლო ალიანსთან მიერთების შემდეგ პარტიაში განხეთქილების პროცესი დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ცხინვალი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ შტაბს ახალი უფროსი ეყოლება. ამ თანამდებობაზე რამდენიმე დღეში პოლკოვნიკი იური ახმეტოვი დაინიშნება. **მედია-ნიუსი**

ბათიაშვილი ფინანსისტებს ამბოხებებით ემუქრება

ლენა მიქაძე

"ძალოვანი უწყებების დაფინანსების გაზრდაში ჩვენი კომიტეტის წვლილიც არის," - თავდაპირველად თავმდაბლად აცხადებდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ირაკლი ბათიაშვილი. სხდომა თავდაცვის სფეროზე გათვალისწინებული 2002 წლისა და 2003 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტს ეხებოდა.

ლევან ხარებავილის ფოტო

ბათიაშვილმა მათ სამი თვის ვადა მისცა.

უკვე მოგვიანებით ბათიაშვილმა მორცხვობას სძლია და გაიხსენა, უფრო კი სხვას გაახსენა, რომ ეს "მცირედი წვლილი" პირადად მას საკმაოდ ძვირად დაუჯდა. ამდენად, ამ მონაპოვრის დათმობას იგი ასე ადვილად არ აპირებს. **"ფინანსთა მინისტრმა კარგად იცის, ბიუჯეტის მხარდაჭერის გამო რა მდგომარეობაში ჩავვარდი. თავდაცვის სფეროსათვის ქაღალდზე გაზრდილი ბიუჯეტის გამო, თანაპარტიელებს დავუპირისპირდი. მირიან გოგიაშვილმა თავისი დანაპირები უნდა გაიხსენოს და კაცური სიტყვა შეასრულოს. თუ არადა, დავუპირისპირდები იმათ, ვინც მომატყუა."** - ირაკლი ბათიაშვილის ეს ულტიმატუმი იმ დროისათვის უკვე შეკრებიდან წასულ გოგიაშვილს მასმედიით უნდა შეეტყო. დეპუტატმა მდგომარეობის გამოსასწორებლად ფინანსთა მინისტრსა და სხვებს კიდევ ერთი კვარტალი მისცა. თუმცა, რაც უფრო მალე შეუსრულებს გოგიაშვილი დანაპირებს ბათიაშვილსა თუ საერთოდ ძალოვნებს, უკეთესია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მოსალოდნელ დესტაბილიზაციასა და არეულობას ვარაუდობს.

"**თუ მეორე კვარტალში მდგომარეობა არ გამოსწორდა, მაშინ, მერწმუნეთ, საქართველოში მაის-სექტემბრისთვის საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნება. ამ დროისთვის ჩვენს ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკები შემოსვლას შეეცდებიან. გარკვეული საფრთხე არსებობს რუსეთის მხრიდანაც, რომელთან ურთიერთობის მოგვარება გვინდა, მაგრამ რუსეთი ჩვენზე სერიოზულად არის გაბრაზებული. ამბოხის მცდელობა იქნება დღესაც და ხვალაც, მანამ, სანამ ჯარისკაცი მშიერია,**"- აცხადებდა ბათიაშვილი.

ბათიაშვილი მდგომარეობას საგანგაშოდ შემდეგი მონაცემების გამო მიიჩნევს: **"2002 წლის პირველ კვარტალში თავდაცვის სფერო მხოლოდ 75 პროცენტით დაფინანსდა. უშიშროების უწყება – 61; საზღვრის დაცვა - 50,8; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 60; დაზვერვა - 80 პროცენტით."** ამ უწყებებში სახელფასო დავალიანებაც ჩვეულებრივი ამბავია. ცნობისათვის, გენერალური შტაბის უფროსის ჯონი ფირცხალაიშვილის თქმით, დაგვიანების გარეშე ხელფასს მხოლოდ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილე სამხედროები იღებენ. დეპუტატთა დიდმა ნაწილმა მხოლოდ გუშინ აღმოაჩინა, რომ შინაგანი ჯარისათვის გამოსაყოფი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე მუხლად არ არის ჩადებული. კომიტეტის თავმჯდომარე შინაგანი ჯარების სარდალ გია შერვაშიძეს ამ "დიდი შეცდომის" გამოსწორებას დაჰპირდა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა სახელმწიფო დაცვის სამსახურში აღმოჩნდა. ხელფასები აქ აპრილში დარიგდა და დანაკლისიც პირველი კვარტლისათვის მხოლოდ 18 ათასი ლარი იყო.

როცა ქვეყნის თითქმის ყველა ძალოვან სტრუქტურაში არასახარბიელო მდგომარეობაა, თითქოს საქმე სააღლუმოდ არ უნდა გვქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ 26 მაისს აღლუმის ჩასატარებლად საჭირო 2 900 000 ლარიდან ჯერ ერთი თეთრიც არ არის გადარიცხული, ჯონი ფირცხალაიშვილი იმედს არ კარგავს. გენშტაბის უფროსი ამტკიცებს, რომ აღლუმი ჩვენი სამხედრო ტექნიკის დემონსტრირების კარგი საშუალება და ერთგვარი წვრთნაც არის.

რატომ გარბიან ჯარისკაცები "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამიდან

პირველი გვერდიდან

არადა ფაქტია, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ორივე ბატალიონიდან, საერთო ჯამში, გაქცეულად ითვლება 14 ჯარისკაცი. როგორც აღმოჩნდა, მაღალი მატერიალური მოტივაცია, კარგი საყოფაცხოვრებო პირობები და სამედიცინო მომსახურება, რის უქონლობასაც ბრალდებოდა არმიაში არსებული ყველა პრობლემა, თავისთავად არ ყოფილა აბსოლუტური პირობა იმისთვის, რომ "სუპერ მენებად" ექცია ქართველი რეკრუტები, აემაღლებინა ისინი ადამიანურ სისუსტეებზე. ხოლო ეს სისუსტეები, რაც არ ჩანდა, ან შეგნებულად არ გამოაჩინეს "კომანდოს" ბატალიონის მოსამზადებელ პერიოდში, რელიეფურად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ჯარისკაცებს თავისუფალი გადაადგილების საშუალება მიეცათ.

დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დეზერტირობა პროფესიონალ სამხედროებში, შესაძლოა, ბატალიონების დაკომპლექტების დროს დაშვებული შეცდომების, კერძოდ ჯარისკაცების ბიოგრაფიაში არსებულ "შავ ლაქებზე" თვალის დახუჭვის გამოძახილი იყოს. მიზეზებს შორის სახელდება ასევე დისციპლინის მოშლა, რითაც საჩხერის სამთო-მსროლელი ბატალიონი ძალიან ჩამორჩება წინამორბედ "კომანდოს" ბატალიონს.

მეორე მხრივ, რაღაც ბავშვური მიამიტობა, ერთგვარი ინფანტილიზმი გამოსჭვივის მებრძოლების ამგვარ გაუგებარ საქციელში, რაც, ალბათ, სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

სამხედრო პროკურატურის განმარტებით, რიგითმა გეგენავამ ავტოსაგზაო შემთხვევა მოახდინა, ვალებში ჩავარდნილი სასოწარკვეთას მიეცა და "დეზერტირად" იქცა. რეკრუტმა აშკარელმა კი სამხედრო ნაწილიდან წასვლის მიზეზად მძიმე ოპერაცია დაასახელა, რაც, მისი თქმით, პროგრამაში მონაწილეობის დროს მიღებული დატვირთვით გამოწვეულ დაავადებას უკავშირდება. მაგრამ, ამ საქციელით ორივემ საბედისწეროდ გაირთულეს ცხოვრება.

პირველის საქმე დეზერტირობის მუხლით უკვე გამოიძია ვაზიანის რეგიონულმა სამხედრო პროკურატურამ და დამნაშავისთვის ხუთწლიანი პატიმრობა მოითხოვა. გეგენავას პარალელურად მოუწევს სახელფასო თანხის, სამხედრო ფორმისა და აღჭურვილობის დაბრუნება. თემიდა ულმობელი იქნება სხვა გაქცეულების მიმართაც, თუკი ისინი სამხედრო ნაწილში არ დაბრუნდებიან 10 დღის განმავლობაში, ანუ იმ ვადაში, რომლის გასვლის შემდეგაც სამხედრო პროკურატურა უკვე იძულებული იქნება, დაიწყოს წინასწარი მოკვლევის ჩატარება.

ვაზიანის რეგიონული სამხედრო პროკურატურის ხელმძღვანელი მამუკა ცაავა არ მალავს, რომ იგი ადამიანურად არ არის დაინტერესებული, ციხის გზას გაუყენოს პროფესიონალი ჯარისკაცები, რომელთა გაწვრთნაზე ამერიკისა და საქართველოს მთავრობამ ამხელა ძალისხმევა დახარჯეს. თუმცა, იგი არც იმას მალავს, რომ დეზერტირობა პროფესიონალ ჯარისკაცთა შორის უკვე გარკვეული ტენდენციის სახეს იღებს და საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება დანაშაულის პროფილაქტიკისთვის. მისი მონაცემებით, უკვე 9 ჯარისკაცია გაქცეული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილე მეორე ბატალიონიდან, რომლის გამოშვება 30 აპრილს, საქართველოს არმიის დღისთვის იგეგმება.

ყოფილი თანამებრძოლების გაქცევის ფაქტს უფრო მშვიდად და რაციონალურად აფასებენ თავად სამხედროები. მათი თქმით, დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვის გამო, ამგვარ პროგრამებს პირადი შემადგენლობის ორი-სამი პროცენტი სტარტზევე ტოვებს, ანუ საქმე გვაქვს ერთგვარ "ბუნებრივ დანაკარგთან". თანაც, სჯობია ჯარისკაცმა საკუთარი თავი წვრთნის დროს გამოამჟღავნოს და არა ბრძოლის ველზე, სადაც თითოეული მებრძოლის სულმოკლეობა მთელი ქვედანაყოფის დაღუპვას უდრის. "კომანდოს" და ყველა შემდგომ ბატალიონებს კი ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები სწორედ საომრად ამზადებენ.

ანატოლი ჩეხოევი საქართველოს დაშანტაჟებას აპირებს

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობაზე სპეციალური განცხადების მიღებას რუსეთის პარლამენტი ოთხშაბათს, 16 აპრილის სხდომაზე გეგმავს. პლენარული სხდომის დღის წესრიგში განცხადების ტექსტის განხილვა უკვე შეტანილია.

„24საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი ჩეხოევმა ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე თავდაპირველ ტექსტში არსებული ფორმულირების ამოღება ეწინააღმდეგება პარლამენტის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქციის (იგულისხმება ჩეხოევისა და ტიხონოვის მშობლიური კომპარტია) წევრთა სულისკვეთებასა და განწყობას.

ანატოლი ჩეხოევი: **"ეს არაფერი. კომიტეტი უკან დახევას არ აპირებს, რადგანაც, პირველ რიგში, ჩვენს ფუნქციებში შედის საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების უშიშროების დაცვა და ჩვენი პირველადი ამოცანაა რუსეთის სამხრეთით უსაფრთხოების გარანტიების შექმნა. ერთხელ შემუშავებული განცხადების ტექსტიდან გამომდინარე პრინციპულ პოზიციას ჩვენი კომიტეტი არ შეიცვლის და გარწმუნებთ, რომ ოთხშაბათის სხდომაზე სხვა ფრაქციებიც დაგვიჭერენ მხარს. არ მესმის, რა საჭირო იყო ამ პროექტის ზემდგომ ორგანოებსა და სპეცსამსახურებში გადაგზავნა, როცა ყველაფერი ისედაც ცხადია. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ საქართველო-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობაზე თბილისში მიღწეული შეთანხმება ზედმეტი საბუთების გარეშეც დადასტურებული ფაქტია და იგი რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიაა".**

პარლამენტარი ჩეხოევი ასევე ამტკიცებს, რომ რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებაში კარგად იციან, თუ რა საშიშროების შემცველია მსგავსი შეთანხმება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის. საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელთა მტკიცებით, "თბილისური შეთანხმების" ტექსტს უკვე თან ახლავს დოკუმენტის იდენტურობის დამამტკიცებელი ოფიციალური საბუთი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან (სხვათაშორის, ამ საბუთს საქართველოში რუსეთის ყოფილი ელჩის, ამჟამად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონი გუდევის ხელმოწერა ახლავს).

დსთ-ს საქმეთა კომიტეტში გვაცნობეს, რომ **"განცხადების ტექსტი ამით უფრო დაიხვენა და შესაბამისად, უფრო გამკაცრდა. მაღალი ინსტანციებიდან მიღებული რეკომენდაციები კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ამოღებული აბზაცების სანაცვლოდ უფრო ტევადი გახდა."**

როგორც ირკვევა, "საქართველოს საკითხის" განხილვას რუსეთის პარლამენტში ხელს ვერ შეუშლის ვერც მოსკოვში ქართული დიპლომატიის გააქტიურება. **"ჩემამდე მოდის ხმები, რომ საქართველოს ელჩი რამდენჯერმე მოვიდა პარლამენტში და ხელმძღვანელობას მხარდაჭერა სთხოვა",** - ამტკიცებს ამ კომიტეტის წევრი, საქართველოზე განცხადების ტექსტის მეორე ავტორი კომუნისტი გიორგი ტიხონოვი. თქმა არ უნდა, პარლამენტის თანამეგობრობის საქმეთა კომიტეტში გაღიზიანებულები არიან საკუთარი სპიკერატის ყოყმანითა და უკანდახევით.

ანატოლი ჩეხოევი: **"საკითხი რამდენჯერმე გადადეს, გამოდის, რომ პარლამენტის თავმჯდომარისათვის სულერთია, ვინ ემუქრება დღეს რუსეთის უსაფრთხოებას. თუკი საქართველო თავად ირჩევს, ვისთან დადოს მსგავსი ხელშეკრულებები, მაშინ რუსეთი იტოვებს უფლებას, უფრო აქტიურად იბრძოლოს საკუთარი სახელმწიფო საზღვრების საიმედოობისათვის. ამას ვერავინ დაგვიშლის".**

იგივე ჩეხოევი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ოთხშაბათის სხდომა ხმათა უმრავლესობით მიიღებს განცხადებას და რუსეთის ხელისუფლებას საქართველოსადმი სერიოზული სანქციების გატარება მოუწევს.

ჩვენს შეკითხვაზე, რატომ არ აფასებენ თბილისში გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე მსჯელობას საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევად, ტექსტის ავტორი ბატონი ჩეხოევი ასე პასუხობს: **"თუ საქართველო აშშ-სთან დადებული შეთანხმებით საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას აპირებს, მაშინ ჩვენი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა და, ადრე დადებული ხელშეკრულებების თანახმად, რუსეთი ამ პროცესის აქტიური მონაწილე უნდა გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელ გართულებებზე პასუხი თბილისმა უნდა აგოს."**

მოსალოდნელ გართულებებში პარლამენტარი გულისხმობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესებასა და რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველების სავალალო მდგომარეობაში ჩაყენებას. **"მოსკოვი აუცილებლად გაამკაცრებს ადმინისტრაციულ ზომებს საქართველოს იმ მოქალაქეებისადმი, ვინც დღეს ჩვენთან არალეგალურად იმყოფება, მუშაობს და აქედან ოჯახებს არჩენს. სამწუხაროდ, თბილისის შანტაჟზე შანტაჟით მოგვიწევს პასუხის გაცემა",** - ამბობს პარლამენტარი.

კულუარები

კომპრომატები ბითუმად

"ბათუმური მირაჟები", ამჯერად ბრეგაძის შესრულებით

მერაბ მეტრეველი

დეპუტატი სანდრო ბრეგაძე ახალ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. "24 საათთან" საუბრისას იგი ამბობს, რომ უშიშროების საბჭოს რამდენიმე წევრი კანცელარიაში შეიკრიბა და ძალოვანებს არასასურველი დეპუტატების "გაფუჭება" დაავალა.

"ეს ინფორმაცია უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მომაწოდა. რამდენადაც ვიცი, დოკუმენტიც კი არსებობს. იქ არის პარტიების ჩამონათვალი, რომელთა წევრებზეც კომპრომატების შეგროვება ან შეთითხნა უნდა მოხდეს. ეს პარტიებია: "აღორძინება" "დემოკრატები", "ერთობა", "ლეიბორისტები", – ამბობს ბრეგაძე.

მისი ინფორმაციით, პირდაპირ დასახელდნენ ამ პარტიათა ლიდერები და ის ხალხი, ვისი დევნაც უნდა განხორციელდეს. **"ეს ხდება იმ ფონზე, როცა პარლამენტში შემოაქვთ კანონპროექტი იმუნიტეტის შეზღუდვასთან დაკავშირებით. მათ ამ შავ სიაში შეყვანილი ხალხის ოცი პროცენტის დაშინება მაინც რომ მოახერხონ, პროგრამა-მინიმუმი შესრულებული ექნებათ",** - აღშფოთებას ვერ მალავს "ამღორძინებელი". აღშფოთების ნიადაგზე, ბატონმა ბრეგაძემ, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრმა, ამ საკითხზე კომიტეტის სხდომის ჩატარება და სხდომაზე ძალოვანების მოწვევა მოითხოვა. იდეას კომიტეტის ექვსმა წევრმა დაუჭირა მხარი. ასე რომ, უახლოეს მომავალში ძალოვანებს ამ ინფორმაციის ოფიციალურად უარყოფა (დადასტურება გამორიცხულია) მოუწევთ.

ბრეგაძის თქმით, ამ "ოპერაციის" მთავარი შემსრულებელი უშიშროება იქნება. მისივე ინფორმაციით, ჯერჯერობით შსს-ს დაყოლიება ვერ შეძლეს. **"მე რამდენადაც ვიცი, შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანმა, ამასთან დაკავშირებით, გარკვეული პროტესტი გამოთქვა, იმ მოტივით, რომ ისინი ამის განხორციელებას ფიზიკურად ვერ შეძლებენ. ამიტომ გვინდა ამ ხალხის კომიტეტზე მოწვევა. მათ უნდა მოვუწოდოთ, რომ ხელისუფლების ამ პროვოკაციას არ აჰყვნენ",** – ძალოვანებისთვის ნოტაციების წაკითხვას აპირებს ბრეგაძე.

ბრეგაძის თქმით, გაიხსენებენ ძველ საქმეებს, მაგრამ თუ ასეთი არ არსებობს, შეთითხნიან ახალს. გამონახავენ არსებულ თუ არარსებულ მოწმეებს და ა. შ. **"მოსასმენი აპარატურები უკვე თითქმის ყველასთან დაყენებულია. შეაგროვებენ ინფორმაციებს. თუ აქედან არაფერი გამოვიდა, მოაწყობენ ელემენტარულ პროვოკაციებს. მაგალითად, ვინმე ქუჩაში ხელს გაგარტყამს; შეიძლება, ნარკოტიკიც ჩაგიგდონ; შეიძლება, ვინმეს ქალიც შეუგზავნონ",** – აი, ასეთი "საშინელია" ბრეგაძის მიერ დახატული პერსპექტივა.

თუმცა, ბრეგაძე ამაზე არ ჩერდება. იგი ხელისუფლების კიდევ ერთ "მზაკვრულ" ჩანაფიქრს ამხელს. ამბობს, რომ ხელისუფლების დავალებით რეგიონებში ე. წ. "შავი საარჩევნო შტაბები" იქმნება. ეს რაღას ნიშნავს? - ისევ ბრეგაძეს მოვუსმინოთ: **"ხელისუფლებას ჩვეულებრივი საარჩევნო შტაბის პარალელურად ეყოლება შავი საარჩევნო შტაბები, რომელთა შემადგენლობებშიც შევლენ როგორც გამგებლები, ისე შავი სამყაროს წარმომადგენლები. ამ მიზნით ხდება კრიმინალების ჩამოყვანა, რათა მათი მეშვეობით "ქუჩის სამყარო" მიიმხრონ. ნიშანდობლივია, რომ ამ შტაბებში სამართალდამცავები და კრიმინალები ერთად იმუშავებენ".**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტრელი: ნანა ჯოხაძიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

არჩევნები - ეს მე ვარ!

პირველი გვერდიდან

ის" თავიდან ასაცილებლად, შევარდნაძის კვოტა ხუთიდან შვიდამდეა აწეული. ისე, სადაც შვიდი, იქ, ბარემ, ცხრაც იყოს - ყველა წევრის დანიშვნის უფლება პრეზიდენტს მიეცეს, რათა მან გაბედულად თქვას: **"არჩევნები - ეს მე ვარ!"**

მარიამ ცაცანაშვილის კომისიაში შემუშავებულმა კანონპროექტმა პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ოპოზიციის მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა. **"ეს დოკუმენტი ხელისუფლებასთან დიალოგის გზას აღარ გვიტოვებს და სამოქალაქო კონფრონტაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს,"** - აცხადებს გიორგი ბარამიძე, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარისგან ითხოვს, ყველა ღონე იხმაროს და მოვლენების ამ მიმართულებით განვითარება არ დაუშვას.

"საქართველო სამხედრო საბჭოს მმართველობის ათი წლის წინანდელ პერიოდს უბრუნდება. გარკვეულ ძალებს უნდათ, არჩევნები ხელების გადაგრეხვის მეთოდით მოიგონ," - ასეთ დასკვნამდე მისულა ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ აბრალავა. მართალია, სამთავრობო კომისიის ოპოზიციონერი წევრი კოტე კემულარია, აგრეთვე, დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე ირწმუნებიან, რომ ამგვარი კანონპროექტი მათთვის უცნობია და იგი კომისიის სხდომაზე არ განხილულა, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტის რეალურად არსებობას თავად მარიამ ცაცანაშვილი ადასტურებს.

საარჩევნო ციებ-ცხელების გამოძახილს წარმოადგენს ის სკანდალიც, რომელიც ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გახმოვანდა და ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილის სახელს უკავშირდება. კერძოდ, ნინო ბურჯანაძემ ოფიციალურად დაადასტურა, რომ პარლამენტის ბლანკიან ქაღალდზე დაბეჭდილი წერილით, რჩეულიშვილი ერთ-ერთ რუსულ კომერციულ ფირმას 200 პისტოლეტის მიყიდვას სთხოვს.

"პარლამენტის სახელით კომერციული გარიგების დადების უფლება თავად პარლამენტის თავმჯდომარესაც არა აქვს," - თავისი მოადგილის მოღვაწეობის მრავალფეროვნებით გაოცებულია ნინო ბურჯანაძე, რომელიც იმედოვნებს, რომ უშიშროების სამსახურები "პისტოლეტგეიტს" ნათელს მოჰფენენ.

კვორუმის გარეშე ჩატარებულ ბიუროზე არაფორმალური საუბრები სჭარბობდა.

ფოტო ლელა ლაბაძისა

აღნიშნული სკანდალი იმ კომენტარის გამო მოხდა, რომელიც ბიუროს სხდომაზე პარლამენტარმა კობა ამირხანაშვილმა გააკეთა.

"რჩეულიშვილის მიერ შეკვეთილი იარაღი წარმოადგენს მსუბუქ, სპორტული ტიპის პისტოლეტს, რომლითაც თავის მოკვლა შეიძლება. როგორც ჩანს, არჩევნების წინ ვიღაც-ვიღაცეები აგონიაში არიან," - აღნიშნავს ამირხანაშვილი. ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, იმითაც არის "აღშფოთებული", რომ ამ ბოლო დროს თბილისში ვაზელინი აღარ იშოვება. **"კანცელარიაში რომ დადიან დეპუტატები, ბევრი სჭირდებათ,"** - თავადვე განმარტავს დეფიციტის მიზეზს პარლამენტარი.

თუმცა, "ვაზელინის კრიზისი", ალბათ, მალე დასრულდება, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებს კანცელარიაში სირბილი აღარ მოუწევთ: გუშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ, "აღორძინების" მიერ შეგროვებული სადეპუტატო ხელმოწერების საფუძველზე, პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნა. იგი ხვალ, 16 აპრილს გაიხსნება და ორ საკითხს განიხილავს - კანონპროექტს სპეციალური ეკონომიკური ზონების (სეზ) შესახებ და საარჩევნო კოდექსის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს.

ვინაიდან დიდია იმის ალბათობა, რომ სეზ-ის გამო, საპარლამენტო უმრავლესობა რიგგარეშე სხდომასაც ბოიკოტს გამოუცხადებს, ზურაბ ტყემალაძე ასეთი ინიციატივით გამოდის: გაიხსნას სხდომა და დაიწყოს კანონპროექტის განხილვა, ოღონდ, იმ პირობით, რომ კენჭისყრის ფორსირება არ მოხდება და იგი ყველა მხარისთვის მისაღები დადგენილების პროექტის შემუშავებამდე გადაიდება.

P.S. უკვე ზედმეტად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა და ხაზგასმა, რომ ბიუროს გუშინდელ სხდომასაც, კვორუმის არარსებობის გამო, არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა და, ამ გარემოებიდან გამომდინარე, მასზე რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

პრეზიდენტი ერთს ამბობს, ბლოკის სუბიექტები - მეორეს

ორიოდე დღის წინ, შაბათს საღამოს სახელისუფლებო ბლოკის წევრების მიერ გახმოვანებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბლოკი საარჩევნო კოალიციად ჩამოყალიბდება "გრძელვადიანი პერსპექტივებით", სურვილის რეალობად გასაღების მცდელობას რომ წარმოადგენს, უკვე გუშინ გახდა ცნობილი.

გუშინ ბლოკის - "ახალი საქართველოსათვის" - ერთ-ერთი სუბიექტის, ედპ-ს წარმომადგენლებმა უკვე გააკეთეს განცხადება, რომ მომავალ პარლამენტში ბლოკის წევრები დამოუკიდებელ ფრაქციებს ჩამოაყალიბებენ და ერთმანეთში "ათქვეფას" არ დაუშვებენ.

ირაკლი ქადაგიშვილმა "პრაიმ-ნიუსთან" საუბარში გუშინ განაცხადა, რომ **"კოალიციაში შემავალი პარტიები ინარჩუნებენ საკუთარ პოლიტიკურ სახეს და დამოუკიდებლობას და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის ხარისხი მომავალ საპარლამენტო ძალთა განლაგებაშიც აისახება".**

მისი თქმით, ბლოკში "ავტონომიურობის" იდეას მოწინააღმდეგე არ ჰყავს.

თუ "დისციპლინირებული" წევრებისგან დაკომპლექტებული, არჩევნების წინ პრაქტიკულად მონოლითური "აღორძინების" გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ძნელი არ იქნება იმის პროგნოზირება, თუ რა ბედი ელის სახელისუფლებო ბლოკს თუ კოალიციას საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

თუმცა, მანამდე ნახევარი წელია დარჩენილი და საქართველოს პრეზიდენტი ტრადიციულ რადიოინტერვიუში ახალი ერთობის ძირითად მიზნებზე და "საერთო იდეალებზე" საუბრობს:

"კოალიციის სუბიექტებს აერთიანებთ შემდეგი იდეალები: საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული წყობილება, სოციალური ჰუმანიზმის პოლიტიკა, მეწარმეობისა და პიროვნული ინიციატივის მხარდაჭერა, ევროპული ორიენტაცია, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება, მეზობელ ქვეყნებთან და, რა თქმა უნდა, დემოკრატიულ რუსეთთან მეგობრულ-პარტნიორულ ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობა და, რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა," – აღნიშნა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა.

შევარდნაძის თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამული დებულებაა პრეზიდენტის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო კომისიის ჩამოყალიბება, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრის თვალსაზრისით.

მან იმასაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ **"ბლოკი არ დაიშლება შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ".**

"24 საათი"

მონიტორინგი

გზებზე კარგი არაფერი გველის

ცხრილში წარმოდგენილია საგზაო ფონდის პირველი კვარტლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია. საგზაო ფონდის პირველი კვარტლის შემოსავლებმა დაგეგმილი 13,9 მილიონი ლარის ნაცვლად შეადგინა 10,6 მილიონი ლარი ანუ გეგმის 76 პროცენტი. შესაბამისად, **საგზაო ფონდის პირველი კვარტლის ხარჯების გეგმა შესრულებულია 68 პროცენტით.** გასათვალისწინებელია, რომ პირველ კვარტალში საგზაო ფონდს დაგეგმილი ჰქონდა ცენტრალურ ბიუჯეტიდან ადრე მიღებული კრედიტის მომსახურება და ძირითადი თანხის დაბრუნება 902 ათასი ლარის ოდენობით, მაგრამ ამ მიმართულებით ხარჯი საერთოდ არ გაწეულა. ეს არის ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების ამ ნაწილის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. საინტერესოა ფინანსთა სამინისტროსა და საგზაო ფონდის განმარტებები ამ საკითხზე. საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობის ხარჯების პირველი კვარტლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 43 პროცენტით. შესაბამისად, სერიოზული შეფერხებები იქნება თვით საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაშიც ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, გზების კაპიტალურ შეკეთებაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელმა ზამთარმა საკმაოდ დააზიანა ცენტრალური გზის საფარიც კი, კარგს არაფერს უნდა ველოდეთ.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

საბაზარე შეღწის პირველ კვარტლის შემოსავლების და ხარჯების გასწლები

№	დასახელება	გეგმა	შესრულება	გადახრა	%
	შემოსავალი				
1	სულ	1,700,000.0	1,705,518.0	5,518.0	100.32%
2	საგზაო შემოსავალი	12,231,400.0	8,924,663.0	-3,306,737.0	72.97%
3	საქველმწიფო შემოსავალი	-	16,500.0	16,500.0	
	სულ შემოსავალი	13,931,400.0	10,646,681.0	-3,284,719.0	76.42%
	ხარჯები				
1	გზების მიმდინარე შენახვის ხარჯები	6,786,900.0	6,279,123.0	-507,777.0	93%
2	შენახვისთვისდა სამშენებლო ორგანიზაციების ხარჯები	1,800,000.0	775,000.0	-1,025,000.0	43%
3	ძირითადი ვალის და საკრედიტო ვალების ხარჯები	901,500.0	-	-901,500.0	0%
4	საგზაო სამშენებლო ორგანიზაციების ხარჯები	3,469,000.0	2,039,480.0	-1,429,520.0	59%
5	საქველმწიფო ადმინისტრირების და საქველმწიფო მართვის ორგანოების შენახვის ხარჯები	409,000.0	309,295.0	-99,705.0	76%
6	მოსალოდნელი სტატიური ხარჯების შედგენის	516,000.0		-516,000.0	0%
7	მოსამსახურეების ხარჯები	49,000.0	19,773.0	-29,227.0	40%
	სულ ხარჯები	13,931,400.0	9,422,671.0	-4,508,729.0	67.64%

მეორე კვარტლის გეგმები დაუდგენელია

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და დეფიციტის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია 11 აპრილისათვის მოცემულია №1 ცხრილში.

შემოსავლების შესრულება წარმოდგენილია წლის და პირველი კვარტლის გეგმებთან შედარებით. როგორც ჩანს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და დეფიციტის დაფინანსების მეორე კვარტლის გეგმები ჯერ არ არის დადგენილი და მეორეც, კარგად რომ დავინახოთ - 11 აპრილისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა შესრულებულია 97 პროცენტით. სხვა კომენტარების გაკეთება აღარც არის საჭირო.

N2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია წინა კვირაში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შესახებ. როგორც ვხედავთ, გაგრძელდა მარტის ხელფასების დარიგება, დაფინანსდა სოციალური ფონდის ტრანსფერის ნაწილიც. იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება პენსიების დარიგების მდგომარეობა.

დაფინანსდა ჯანდაცვის, განათლებისა და აგრარული პროგრამები.

კვლავ გაგრძელდა რეგიონების ტრანსფერის არათანაბრად დაფინანსების მავნე ტრადიცია. წინა კვირას ამ მიზნით გაიცა 85 ათასი ლარი. საინტერესოა, რომელ რაიონს და რისთვის ერგო ეს პრივილეგია?

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 11 აპრილისთვის

ცხრილი №1

მლნ. ლარებში

დასახელება	წლის გეგმა	კვარტლის გეგმა	შესრულება	% წლის გეგმასთან	% კვარტლის გეგმასთან
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	248.11	239.68	21%	97%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	833.7	181.04	171.86	21%	95%
საგადასახადო შემოსავლები	693.9	151.98	139.9	21%	92%
არასაგადასახადო შემოსავლები	78.4	21.36	24.16	31%	113%
გრანტები	95.4	7.7	7.8	8%	101%
საკუთრების ფორმა	244.2	53.84	58.8	24%	109%
საგზაო ფონდი	49.5	12.23	9.15	18%	75%
ადგილების დაფინანსება	239.8	75.17	62.77	26%	84%
განსაზღვრა სპეციალურ სახსრებში	8.5	2	1.96	23%	98%
სახსრები განკარგულების	22	13.5	9.6	44%	71%
ცენტრალური ბანკის სესხი	40	27.24	19.51	49%	72%
ანგარიშსწორების შემოსავალი			2		
საინვესტიციო კრედიტი	41.5	4.43	3.71	9%	84%
	127.8	28	25.99	20%	93%

დასახელება	წლის გეგმა	კვარტლის გეგმა	შესრულება	% წლის გეგმასთან	% კვარტლის გეგმასთან
საერთაშორისო დონორების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	511.7	125.74	132.25	26%	105%
სხვადასხვა დონორების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	389.1	87.07	68.98	18%	79%

2003 წლის 7-11 აპრილის კვირეულში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

ცხრილი №2

№	დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
1	სამეურნეო ორგანიზაციების მარჩენ შრომის ანაზღაურება	1,171.7
	სახელმწიფო დონის სახელმწიფო დონორების (წერილის და აღნიშნის პროგრამა)	41.7
	რეგიონებში განლაგებული სამეურნეო ორგანიზაციები	1,130.0
2	ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში	85.0
3	ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	125.0
	ლტოლვილთა შენახვის ხარჯები	125.0
4	სოციალური ფონდის ტრანსფერი	2,661.0
	საგზაო ტრანსფერი	2,518.0
	რეგიონული ავტობუსი	85.0
	აფხაზეთიდან დევნილად ცხოვრებისა კომპის პროგრამა	40.0
	მიგრანტთა სოციალური საბინაკეში ჩასახლების პროგრამა	38.0
5	სხვა საჭიროება და მომსახურება	122.9
	კონფლიქტის ზონა	10.0
	სახელმწიფო კანცელარია	2.2
	თანამშრომლების პირად ჩრდილოეთ და სადასტრო მეურნეობების საინფორმაციო ბიული	9.8
	საკონსტიტუციო სასამართლო	3.3
	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	13.8
	მთავარ საქმეთა სამსახური	2.1
	შეიარაღებათა აკადემია	5.7
	კონსულარ ნიშნებისა ინსტიტუტი	5.0
	თანამედროვე სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემები	6.0
	უმაღლესის სამსახური	2.0
	უფლებადამცველი საქმიანობის ინსტიტუტი	1.4
	საერთო სასამართლოები	1.0
	თავდაცვის სამინისტრო	15.7
	ეროვნული პროგრამა	15.3
	ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო	0.4
	თავდაცვის სამინისტროს სახელმოსახლებლების ფონდისტრი	29.2
6	სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მოსმარებული ვირის ანაზღაურება	66.5
7	სამოქალაქო სარჩენი	7.0
	საქართველოს პარლამენტი	5.0
	ელექტრონის სამსახური	2.0
8	განათლების სამინისტროს პროგრამები	13.3
9	ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამები	300.0
10	კულტურის სამინისტროს პროგრამები	34.0
11	სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამები	29.9
12	ეკოლოგიის დეპარტამენტის პროგრამები	6.5
13	აგრარული პროგრამები	1,456.2
14	საქართველოს პრეზიდენტის ფონდი	149.0
	საქართველოს შეიარაღებათა აკადემია	3.0
	სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი	5.0
	ელექტრონის სამსახური	5.0
	საქართველოს სკოლები თურქეთში და აფხაზეთში	102.0
	ინტეგრირებული ბიზნეს სერვისი	34.0
15	სახელმწიფო სარეზერვო ფონდი	41.7
	სახელის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	17.4
	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	13.5
	ტერორის სახელმწიფო დეპარტამენტი	8.8
	ინფორმაციული სახელმწიფო დეპარტამენტი	2.0
16	სუბსიდიები	296.7
	სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური	20.0
	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	71.7
	საინფორმაციო სამსახური	205.0
17	სამაშინოდო გადაწყვეტილებების საფუძველზე საინტერესო დავალებათა სამსახური თანხები	1.9

მიწის გადასახადები ადგილობრივმა საკრებულოებმა უნდა განკარგონ

სოფიკო ოხანაშვილი

ვოლფრამ კნაიბი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას მოითხოვს.

გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) თანადაფინანსებით მიმდინარე მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში გუშინ კონფერენცია გაიმართა თემაზე - "სოფლის განვითარების პერსპექტივები საქართველოში". კონფერენციის მიზანია სხვადასხვა რეგიონებისა და საკრებულოების გამოცდილებების გაცვლა-გაზიარება, სოფლის პრობლემებისა და ფერმერთა სურვილების უკეთ გაცნობა და ექსპერტთა და სპეციალისტთა რეკომენდაციების მოსმენა. კონფერენცია დღეს დასრულდება. კონფერენციის პირველ დღეს პროექტის მიწათმოწყობის კომპონენტის მიერ ექვს პილოტ (საცდელ) საკრებულოში კახეთსა და იმერეთში განხორციელებული სამუშაოების შედეგები შეჯამდა. დღეს გაიმართება დასკვნითი დისკუსია, რომელშიც ჩაერთვებიან მთავრობისა და პარლამენტის წევრები.

კონფერენციაზე პილოტი საკრებულოების წარმომადგენლებმა სოფლებში არსებულ მდგომარეობასა და პრობლემებზე ისაუბრეს. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებს, დაახლოებით, მსგავსი პრობლემები აქვთ, რაც ძირითადად, მიწების არასამართლებრივ განაწილებას, ტყეების გაჩეხვას და, აქედან გამომდინარე, ნიადაგის ეროზიას, ქარსაცავი ზოლის განადგურებას, საძოვრების დეგრადირებას, უხარისხო შხამქიმიკატების გამოყენებას, სარწყავი სისტემების და ნიადაგის შესახებ მონაცემთა არარსებობას და სხვა საკითხებს უკავშირდება. ასევე მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც მიწის ნაკვეთების არალეგალურად გასხვისებას ეხება. საკრებულოების წარმომადგენელთა განმარტებით, გლეხები მიწის ყიდვა-გაყიდვის აქტების გაფორმებას უსახსრობის გამო არიდებენ თავს.

კონფერენციის მონაწილეთა განცხადებით, პირველ რიგში, მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მიწის გადასახადის დიდი ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტში დარჩება და ეს თანხა სოფლის განვითარებასა და ლოკალური პრობლემების გადაჭრას მოხმარდება.

KFW-ს თანადაფინანსებით მიმდინარე მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის პროექტის მიწათმოწყობის კომპონენტის ძირითადი მიზანია თითოეული საცდელი საკრებულოსთვის მიწის გამოყენების გეგმის შემუშავება, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწის ნაკვეთების სწორ რეორგანიზაციასა და კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს. ეს კი სპეციალისტების შეფასებით, თავისთავად, სოფლის სტაბილურ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდას, აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების დაცვა-შენარჩუნებას და სასოფლო-სამეურნეო მიწების ბაზრის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მიწათმოწყობის კომპონენტის ფარგლებში ექვს პილოტ საკრებულოში მოხერხდა ფართობებისა და საზღვრების დადგენა, რაც სოფლის მცხოვრებთათვის ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა. კომპონენტის მუშა ჯგუფებმა ძველ მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე მოამზადეს ატლასები, რომლებიც საცდელ საკრებულოებს დაურიგდათ. კომპონენტის მეორე ეტაპი, ორი წლის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით მიწის კატეგორიების განსაზღვრას, სარეგისტრაციო მოწმობების გაცემასა და ახალ მონაცემებზე დაყრდნობით ატლასების შექმნას ითვალისწინებს. მიწათმოწყობის კომპონენტის ხელმძღვანელის ვოლფრამ კნაიბის თქმით, აღნიშნული მიმართულებით მუშაობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ პარლამენტის მიერ საქართველოსა და გერმანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, რომელიც საქართველოში საკადასტრო სამუშაოებისა და რეგისტრაციის გაგრძელებას გულისხმობს. კნაიბის განცხადებით, რატიფიცირების შემთხვევაში, რომელიც პარლამენტმა, სავარაუდოდ, არჩევნებამდე უნდა მოახდინოს, საკადასტრო სამუშაოები გერმანული კრედიტით დაფინანსდება, ხოლო დანარჩენი სამუშაოების დაფინანსება გრანტით განხორციელდება. კრედიტისა და გრანტის საერთო ოდენობა რვა მილიონ ევროს შეადგენს (ოთხი მილიონი ევრო გრანტია, ოთხი მილიონი ევრო – კრედიტი). მიწათმოწყობის კომპონენტის ხელმძღვანელი აუცილებლად მიიჩნევს საგადასახადო სისტემის მოგვარებას. მისი განმარტებით, სოფლის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა, საკრებულო თავის ტერიტორიაზე არსებული მიწის გადასახადს თვითონვე განაგებდეს.

მსოფლიო ბანკი ერაყს სხვა ქვეყნების ხარჯზე არ დაეხმარება

თორნიკე შარაშენიძე

როგორც კი ერაყში ვითარება უსაფრთხო გახდება, ბანკი მზადაა, იქ მიავლინოს ექსპერტთა გუნდი, რათა ქვეყანაში ჩასატარებელი სამუშაოსა და გასაწევი ხარჯების მოცულობა შეფასდეს. ასეთი განცხადება გააკეთა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯეიმს ვულფენსონმა მისი ორგანიზაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეხვედრაზე.

ერაყის აღდგენაში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ ახლახან გამართულ დიდი შვიდეულის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე ორივემ მხარდაჭერა მიიღო და ქვეყანაში მათ შესვლას პრობლემები თითქოსდა აღარ ეღობება. თუმცა, როდის მოხდება ეს შესვლა, ჯერ გაურკვეველია, რადგან საამისოდ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციაა საჭირო.

ვულფენსონის თქმით, მან ჯერ არ უწყის, რა თანხები იქნება საჭირო ერაყში პროგრამების განსახორციელებლად; მაგრამ იგი იმედოვნებს, რომ ეს სხვა ქვეყნებისათვის გასაწევი დახმარებების ხარჯზე არ მოხდება. თუმცა, ბანკს ამ მხრივ პრობლემები უკვე გააჩნია. ახლა მიმდინარეობს მუშაობა 50 მილიარდი დოლარის გამოსანახად, რომელიც ღარიბ ქვეყნებს "მილენიუმ გოლის" (ათასწლეულის მიზნის) განსახორციელებლად უნდა გადაეცეთ. ამასთან დაკავშირებით საყვედური გამოითქვა აშშ-ის მისამართითაც: **"როცა ერაყთან ომი დგას დღის წესრიგში, 80 მილიარდის გამონახვა წამებში ხდება, ხოლო როცა "მილენიუმ გოლზეა საუბარი, 50 მილიარდი პრობლემაა,"** – განაცხადა "ოქსფამის" წარმომადგენელმა ფილ ტუაიფორდმა.

მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის შეხვედრაზე დაიბლოკა ვაშინგტონისათვის საჭირბოროტო თემა, რომლის გატანასაც თავის დროზე სავალუტო ფონდი ცდილობდა. საქმე ეხება ახალ მექანიზმს, რომელიც ფონდს საშუალებას მისცემს ესა თუ ის ქვეყანა ბანკროტად გამოაცხადოს და სხვა სახელმწიფოებს ვალების რესტრუქტურიზაცია მოსთხოვოს. ამერიკა ცდილობს, სწორედ ამგვარი პრინციპით მიუდგეს ერაყს - აიძულოს სხვა ქვეყნები, დააცადონ ბაღდადს საგარეო ვალების გასტუმრება. მაგრამ რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი ამის წინააღმდეგ წავიდნენ. შეხვედრაზე დამსწრე ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა აშშ ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა. მათი თქმით, არ შეიძლება ვალები მხოლოდ ერაყს ეპატიოს, სხვა ქვეყნებს კი არა.

კერძო არბიტრაჟი - სასამართლოს ალტერნატივა სამოქალაქო დავების გადასაწყვეტად

სოფო კვინტრაძე

სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართა კონფერენცია, რომელიც საქართველოში საარბიტრაჟო საქმიანობის განვითარებას მიეძღვნა. კონფერენცია ორგანიზებული იყო მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ, USAID-ისა და სხვა დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით. შეხვედრას დაესწრნენ: USAID-ის მიწის ბაზრის განვითარების პროექტის კოორდინატორები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ექსპერტები და კომპანიები, რომლებიც საარბიტრაჟო საქმიანობას ეწევიან, მათ შორის, "საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი", "გორის კერძო არბიტრაჟი" და "თბილისის საარბიტრაჟო პალატა".

კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოში კერძო არბიტრაჟის საქმიანობაზე, საკანონმდებლო ბაზასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. კერძო არბიტრაჟის ისტორია ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე დიდი ხნისაა. 1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი "კერძო არბიტრაჟის შესახებ", რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა სამოქალაქო დავების ამ ორგანოს მიერ გადაწყვეტა. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, მიწის რეფორმისა და სხვა სახის უძრავი ქონების პრივატიზების შემდეგ საქართველოში გაჩნდა მილიონობით კერძო მესაკუთრე, რომელთაც, ბუნებრივია, შეექმნათ სამოქალაქო დავები. კონფერენციის მონაწილეებმა მოიყვანეს რამდენიმე არგუმენტი, რის გამოც სამოქალაქო დავების განხილვა მხარეებისათვის კერძო არბიტრაჟში უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სასამართლოში. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელის ჯაბა ებანოიძის განცხადებით, სასამართლოებში გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო დავების დროს ექვსი თვიდან წელიწადნახევრამდე ჭიანურდება, მაშინ როცა კერძო არბიტრაჟით დავის გადაწყვეტა მხარეების მიერ დადგენილ ვადებში ხდება. გარდა ამისა, კერძო არბიტრაჟი უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რადგან მისი სხდომები, სასამართლოსაგან განსხვავებით, დახურულია. ამასთან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და მხარეები ვალდებულებას ნებაყოფლობით ასრულებენ. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კონფერენცია სასტუმრო „თბილისი მარიოტში"

მინის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ, კერძო საარბიტრაჟო მომსახურების განხორციელების მიზნით, 2002 წლის აგვისტოში პილოტ-პროგრამა დაიწყო. პროგრამა, რომელიც წელს, ივნისში დასრულდება, იმერეთის, ახალციხისა და სამეგრელოს რეგიონებში მიწის მესაკუთრეთა სამოქალაქო დავების გადაწყვეტას ითვალიწინებს საარბიტრაჟო პროცესებით. ასოციაციის წევრები აცხადებენ, რომ მათ უკვე 14 ასეთი პროცესი ჩაატარეს, სადაც ხარჯები მაქსიმუმამდეა შემცირებული და ვადებიც მინიმალურია.

პილოტ-პროგრამა ფერმერების დახმარებას ისახავს მიზნად და ამავე დროს მის ფარგლებში დაგეგმილია კერძო არბიტრაჟის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა, კანონმდებლობის დახვეწა და კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაცია. ყოველივე ამის გამო მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია საკანონმდებლო ინიციატივას ამზადებს, რომლის მიხედვითაც: **"კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონში შევა ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს კერძო არბიტრაჟის დამოუკიდებლობას და შეზღუდავს სასამართლოების ჩარევას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხში,"** – განაცხადა ჯაბა ებანოიძემ.

მოკლედ

თბილისი. ფინანსთა სამინისტრომ, საბაჟო დეპარტამენტის მიმართ არსებული ხუთმილიონიანი დავალიანების გამო, „თბილგაზის" საბანკო ანგარიშები დააყადაღა. იგი ვერ ახერხებს „იტერასათვის" მარტში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უზენაესი სასამართლო 16 აპრილს განიხილავს ენგურჰესისა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სარჩელს, რომელშიც მოსარჩელეები 1 მარტიდან ამოქმედებულ ელექტროენერგიის ტარიფში საკუთარი წილის შემცირებას აპროტესტებენ და სემეკ-ის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ. **კავკასპრესი**

■ ■ ■

თბილისი. საკრებულოს სარევიზიო კომისიას თბილისის საოლქო სასამართლომ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი აუკრძალა. სარევიზიო კომისიის სარჩელი, რომლითაც კონტროლის პალატას უნდა ჩამორთმეოდა სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის უფლებამოსილების ნაწილი და სარევიზიო კომისიას გადასცემოდა, სასამართლომ უკანონოდ ცნო. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მოსახლეობის 53 პროცენტს 2002 წელს საარსებო მინიმუმიც არ გააჩნდა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, განავითაროს ეკონომიკა, ხელს უშლის კორუფცია და საწარმოთა მართვის უცოდინრობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ნეგატიურად აფასებს მრეწველების მიერ შემუშავებულ ახალ საგადასახადო კოდექსს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. საქართველოში სსფ-ს მისიის ხელმძღვანელი ჯონათან დანი აცხადებს, რომ ამ საგადასახადო კოდექსის დამტკიცებას სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყვება, რადგანაც იგი ყველასათვის ერთიან საგადასახადო განაკვეთს აწესებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ოთხშაბათის მთავრობის სხდომაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე ქართული მტკნარი წყლის ერაყში ექსპორტის საკითხის დასმას აპირებს. სამინისტროში შეიტყვეს, რომ ქართული სასმელი წყლის ერაყში გატანით საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები უკვე დაინტერესდნენ, ამიტომ სამინისტრომ არჩია, ამას უფრო ორგანიზებული და ოფიციალური სახე მისცეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში შემოსული და ტრანზიტით გამავალი კონტრაბანდული რადიოაქტიური ნივთიერებების გამოსავლენი პირველი აპარატურა დაიდგმება ფოთის საბაჟო გამშვებ პუნქტში. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ.

მისი თქმით, საქართველო წლის ბოლომდე რადიოაქტიური ნივთიერებების გამოსავლენ ორ სპეცდანადგარს მიიღებს. თითოეულის ღირებულება ერთი მილიონი აშშ დოლარია.

მეორე აპარატი ბათუმში, ან ახალციხეში დამონტაჟდება. **მედია-ნიუსი**

ერაყში ამერიკელთა კონტროლი ძლიერდება

ლევან დირსიაშვილი

აშშ-ს საზღვაო ქვეითებმა, ტანკების და ჯავშანტექნიკის დახმარებით, სადამ ჰუსეინის უკანასკნელი ბასტიონის – ტიქრითის ცენტრი დაიკავეს. შეიძლება ითქვას, რომ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქში ამერიკელები უბრძოლველად შევიდნენ, ჰუსეინის მხარდამჭერ ჯარისკაცებთან ხანმოკლე, არაორგანიზებულ და უმნიშვნელო შეტაკებას თუ არ ჩავთვლით. ამერიკულ ფორმირებებთან მყოფი ჟურნალისტების ცნობით, ეს შეტაკება ტიქრითის სამხრეთ რაიონებთან მოხდა. როგორც ჩანს, კოალიცია ვითარების გართულებას მოერიდა და ავიაციის საშუალებით, რამდენიმე დარტყმით ერაყელების პოზიციები გაანადგურა. ზოგიერთი მონაცემების თანახმად, ტიქრითის ადგილობრივი ლიდერები ამერიკულ ჯარებთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევას ცდილობდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ სურდათ მშვიდობა და ტიქრითში სადამის გვარდიელების ყოფნას ეწინააღმდეგებოდნენ. კოალიციის სარდლობის განცხადებით, ტიქრითში დისლოცირებული რესპუბლიკური გვარდიის შენაერთები ერთკვირიანი დაბომბვების შედეგად ან განადგურდნენ, ანდა ქალაქიდან გაიქცნენ.


აშშ-ს ხელისუფლება ერაყის მომავალზე მსჯელობს.

ბაღდადში კვლავ რთული ვითარება რჩება. სასტუმრო "პალესტინასთან," რომელშიც უცხოელ ჟურნალისტთა კორპუსია განთავსებული, ამერიკელ საზღვაო ქვეითებსა და ერაყელ მებრძოლებს შორის გააფთრებული შეტაკება მოხდა. საზღვაო ქვეითებმა რამდენიმე ერაყელი ტყვედ აიყვანეს. ამერიკელებს შორის მსხვერპლის და დაჭრილების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ამერიკელი სამხედროები ბაღდადში პატრულირებას აძლიერებენ. მათ ძირითად ამოცანას მოროდიორებთან და მძარცველებთან ბრძოლა წარმოადგენს. როგორც ცნობილია, კოალიციის სარდლობამ ერაყელ პოლიციელებს ორი დღის წინ სამუშაო ადგილებზე დაბრუნება და წესრიგის დამყარებაში დახმარება სთხოვა. ამ მოწოდებას უკვე ათასობით ერაყელი პოლიციელი და ქალაქის კომუნალური სამსახურის თანამშრომელი გამოეხმაურა. მათ ამერიკელებთან ერთად საერთო შეკრება გამართეს და ბაღდადში წესრიგის დამყარების საკითხები განიხილეს. მოსალოდნელია, რომ ამ დღეებში ბაღდადის ქუჩებში ამერიკელებთან ერთად წესრიგის დამყარებას ერაყელი პოლიციელებიც დაიწყებენ.

ერაყში ამერიკელთა კონტროლის გაძლიერებასთან ერთად, კვლავ აქტუალური რჩება კითხვა – სად არის სადამ ჰუსეინი? ლონდონში გამომავალი არაბულენოვანი გაზეთი "ალ-ქუდს ალ-არაბი," თვითმხილველებზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ერაყის დიქტატორი 7 აპრილს ალ-მანსურის რაიონში განხორციელებული ძლიერი დაბომბვის შედეგად დაიღუპა. სტატიაში ნათქვამია, რომ სადამ ჰუსეინი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების 15-მდე წარმომადგენელთან ერთად, რესტორან "ას-საათთან" ახლოს მდებარე შენობაში შევიდა. 40 წუთის შემდეგ, შენობა დაბომბვის შედეგად მთლიანად განადგურდა. თვითმხილველები აცხადებენ, რომ დაბომბვამდე ჰუსეინს შენობა არ დაუტოვებია. სადამ ჰუსეინის მკვლელობის ფაქტს იორდანიული გაზეთი "ათ დუსთურიც" ადასტურებს. აქ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ დაბომბვის შედეგად, ერაყელ დიქტატორთან ერთად, ერაყის ყველა ლიდერი დაიღუპა, რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის, ისაათ იბრაჰიმისა და ინფორმაციის მინისტრ მოჰამედ ალ-საჰეფის გარდა. გაზეთის მტკიცებით, ამერიკელები ამ ფაქტს შეგნებულად ფარავენ, რადგან სადამ ჰუსეინისგან გმირის შექმნა არ სურთ და ასეთი გზით არაბი ხალხის გაურკვეველ მდგომარეობაში დატოვებას ისახავენ მიზნად. თავის მხრივ, აშშ-ს დაზვერვის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ხმები სადამ ჰუსეინის სიკვდილის შესახებ სპეციალურად ვრცელდება, რათა ერაყელ დიქტატორს დამალვის საშუალება მიეცეს. რასაკვირველია, ამ ორივე ვერსიას არსებობის უფლება თანაბრად აქვს. ვიდრე, სადამის სიკვდილის ან გაუჩინარების ფაქტი ოფიციალურად დადასტურდება, ერაყი უკვე მთლიანად ამერიკელთა კონტროლქვეშ იქნება მოქცეული. ამის შემდეგ კი, სადამის არც სიკვდილი და აღარც სიცოცხლე, ვითარებაზე რაიმე გავლენის მოხდენას ვეღარ შეძლებს.

ინფორმაცია

"მთავარია, სირია თანამშრომლობაზე დათანხმდეს"

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ბრალდებებმა სირიის მიმართ, საერთაშორისო თანამეგობრობაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მოსაზრებას, რომ ერაყის შემდეგ კოალიცია მიზანში სირიას ამოიღებს, საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია. გუშინ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ხავიერ სოლანამ ამასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. მისი თქმით, დროა, ახლო აღმოსავლეთში დაძაბული ვითარება განიმუხტოს.

პარალელურად, ქუვეითში ვიზიტით მყოფმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ სირია კოალიციის შემდგომ სამიზნედ არ ითვლება. მისი თქმით, სირიამ რამდენიმე სერიოზულ კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი, მაგრამ ეს თანამშრომლობის ფარგლებშიც სავსებით შესაძლებელია. **"მე ვამბობდი და კიდევ ვიმეორებ, რომ სირია, ერაყის შემდეგ, რიგში არ დგას. ერთი კვირის წინ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სირიის წინააღმდეგ რაიმე ოპერაციის მზადების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია,"** - დასძინა ჯეკ სტრომ. ამასთანავე, მან არ გამორიცხა, რომ სირიაში შესაძლოა ერაყის ყოფილი ხელისუფლების წევრები იმყოფებოდნენ. **"მთავარია, რომ სირია აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკებებს დათანხმდეს და ერაყის საკითხის გარშემო აქტიურად დაიწყოს თანამშრომლობა,"** - განაცხადა ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

თავად სირიის ხელისუფლებამ კი, როგორც ქიმიური იარაღის ფლობის, ისე სადამის ოჯახთან თანამშრომლობის ფაქტები კატეგორიულად უარყო. ამასთანავე, საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს სირიის ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადება, სადაც ისინი, სირიაზე შეტევის დაწყების შემთხვევაში, ისრაელზე საპასუხო დარტყმით იმუქრებიან.

ავღანეთი პაკისტანს ტალიბანის მხარდაჭერაში ადანაშაულებს

გუშინ ავღანეთის ყანდაჰარის პროვინციის გუბერნატორმა, გულ აღა შერზაიმ პაკისტანი ტალიბების მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

რამდენიმე დღის წინ, პაკისტანის საზღვართან გუბერნატორის რამდენიმე ნათესავი მოკლეს. შერზაიმ მკვლელობაში ტალიბები დაადანაშაულა, მაგრამ აღნიშნა, რომ პაკისტანის დახმარების გარეშე ტალიბები ამის გაკეთებას ვერ შეძლებდნენ.

ტალიბები ავღანეთს 2001 წლის ბოლომდე მართავდნენ, სანამ მათ რეჟიმს ამერიკელები დაამხობდნენ. 11 სექტემბრამდე ტალიბანი პაკისტანის სრული მხარდაჭერით სარგებლობდა. 11 სექტემბრის შემდეგ, პაკისტანმა პოზიცია შეიცვალა და, ტალიბების წინააღმდეგ, ამერიკას მიემხრო. ერაყის ომის დაწყების შემდეგ, ავღანეთში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და ყარზაის მთავრობა, ფაქტობრივად, მხოლოდ დედაქალაქ ქაბულს აკონტროლებენ. პროვინციებში კი სრული ქაოსია. ბოლო დღეებში ავღანეთის ტაჯიკურ და უზბეკურ ტომებს შორის შეტაკებები მოხდა. შედეგად, 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. **„როიტერი"**

ბუში: ჩრდილოეთ კორეაში პროგრესს მივაღწიეთ

ჩრდილოეთ კორეის მოულოდნელ კომპრომისულ ნაბიჯებს სწრაფად გამოეხმაურნენ როგორც მეზობლები, ისე - აშშ. სამხრეთ კორეის მთავრობამ სეულში ამერიკის ელჩს ახალი სამშვიდობო გეგმა გადასცა, რომლის დეტალებსაც, ჯერჯერობით, არ ახმაურებენ.

კვირას, ვაშინგტონში პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: "ჩრდილოეთ კორეის პრობლემებთან დაკავშირებით, ჩვენ სწრაფ პროგრესს მივაღწიეთ. მე მგონი, ყველამ გაიგო, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეჩერებას ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით, თუმცა სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულად ვმოქმედებთ."

ფხენიანის განცხადებას ტოკიოც მიესალმა და განაცხადა, რომ მომავალ მრავალმხრივ მოლაპარაკებებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კორეამ მოთხოვნა, ამერიკასთან ერთი-ერთზე მოლაპარაკებების შესახებ, უკან წაიღო და მრავალმხრივ მოლაპარაკებებს დათანხმდა. სავარაუდოა, რომ მოლაპარაკებებზე ჩრდილოეთ კორეა თავისი ბირთვული პროგრამის შეწყვეტას დათანხმდება და სამაგიეროდ, აშშ-ს, იაპონიას, სამხრეთ კორეას, ევროკავშირს და სხვებს ეკონომიკურ დახმარებას მოსთხოვს. მოწვეულთაგან ერთადერთი, ვისაც ამგვარ მოლაპარაკებებში მონაწილეობა დიდიდ არ ეპიტნავება, რუსეთია. **„როიტერი"**

ავარიაში 24 ბავშვი დაიღუპა

ავტობუსი, რომელსაც ბავშვები გადაჰყავდა, ათენი-სალონიკის გზაზე სატვირთო მანქანას შეეჯახა. ავარიის შედეგად 24 ბავშვი დაიღუპა და 30 დაშავდა. წინასწარი ინფორმაციით, ავარია სატვირთო მანქანის მძღოლის მიერ მართვის დაკარგვის შედეგად მოხდა.

ქვეყნის ისტორიაში ეს ყველაზე მსხვილი ავტოსატრანსპორტო შემთხვევაა. ზუსტად ამ ადგილზე, რამდენიმე წლის წინ, ფეხბურთის გულშემატკივრებით სავსე ავტობუსსაც შეემთხვა ავარია. **„ფრანს პრესი"**

ჟურნალისტებმა რუსეთი ერაყის დაზვერვასთან თანამშრომლობაში ამხილეს

პირველი გვერდიდან

არადა, წლების განმავლობაში მოსკოვი ბაღდადისათვის იარაღის მთავარი მიმწოდებელი იყო, რუსული ნავთობკომპანიები აქტიურად მუშაობდნენ ერაყში, ხოლო რუსული სამომხმარებლო საქონელი, გაერო-ს პროგრამის "ნავთობი საკვების სანაცვლოდ" ფარგლებში, ერაყში მიედინებოდა.

ბრიტანელი ჟურნალისტის დევიდ ჰარისონის მიერ ერაყის დაზვერვის შტაბ-ბინაში ნაპოვნი მასალების თანახმად, რუსეთმა და ერაყმა სადაზვერვო ინფორმაციისა და უსამა ბინ ლადენის შესახებ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

ჟურნალისტის თქმით, აღმოჩენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ერაყში დასავლეთის სავარაუდო მიზნების შესახებ, ერაყის მეზობელ სახელმწიფოებში იარაღის ჩატანისა და დასავლელი ლიდერების პირადი საუბრების შესახებ, მოსკოვი ბაღდადს ინფორმაციას აწვდიდა.

2000 წლის 27 იანვრით დათარიღებულ წერილში მოსკოვი ბაღდადს ატყობინებს, რომ 1999 წელს სირიამ რუსეთისაგან რაკეტების ორი პარტია შეიძინა. ამავე წერილში სადამ ჰუსეინს ერაყის მოწინააღმდეგეებთან (ქუვეითთან, ირანთან, ისრაელთან) მიღწეული გარიგებების შესახებ აცნობეს.

ბრიტანულ გაზეთებში მოყვანილია ნაწყვეტი ერთ-ერთი ერაყელი ოფიცრის მოხსენებიდან, რომლის თანახმად, რუსმა კოლეგებმა მას იმ ხალხის სავარაუდო სია გადასცეს, რომლებიც მზად არიან, საზღვარგარეთ არასასურველი პიროვნებების ლიკვიდაცია მოახდინონ.

"გარდიანის" მტკიცებით, ერაყული დაზვერვის შტაბში რუსეთის სადაზვერვო სკოლაში ერაყელ მზვერავთა წვრთნის დამადასტურებელი სერთიფიკატები აღმოაჩინეს, რომლებიც, დაახლოებით, ერთი წლის წინ არის გაცემული.

"გარდიანისავე" ცნობით, ერაყის ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ერაყში ორი რუსი გადამდგარი გენერალი ჩავიდა - ვლადიმირ აჩალოვი და იგორ მალცევი. აღსანიშნავია, რომ ერაყიდან წამოსვლის წინ მათ, ერაყის წინაშე დამსახურებისათვის, საგანგებო ჯილდოები მიიღეს. ისინი რუსეთის მთავრობის დავალებით ჩავიდნენ იქ თუ – არა, უცნობია. ჟურნალისტების აზრით, შესაძლოა, მათ ერაყის ლიდერს სამხედრო კონსულტაცია გაუწიეს.

2002 წლის 12 მარტს რუსებმა თავიანთი ერაყელი კოლეგები გააფრთხილეს, რომ განიარაღების ინსპექტორების შეშვებაზე უარის თქმა ამერიკელებს ომის დაუყოვნებლივ დაწყების საშუალებას მისცემდა.

თუმცა, რუსეთისათვის უფრო არასასიამოვნო, შეიძლება, მეორე დოკუმენტის გამომზეურება აღმოჩნდეს. 2002 წლის 5 მარტის ერთ-ერთ ანგარიშში აღნიშნულია, რომ რუსმა კოლეგებმა ერაყელებს რომში ტონი ბლერისა და სილვიო ბერლუსკონის საუბრის დეტალების შესახებ აცნობეს. ორი ლიდერი ერაყში მოსალოდნელ სამხედრო ოპერაციას განიხილავდა.

"ბი-ბი-სი"-ს ცნობით, თუ ამ ინფორმაციის ნამდვილობა დადასტურდა, მაშინ რუსეთსა და მის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, რომელიც დასავლეთთან დაახლოებას ცდილობს, მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება.

რუსული პრესის აზრით, ბრიტანულ პრესას აღნიშნული ინფორმაცია ამერიკულმა და ბრიტანულმა დაზვერვამ მიაწოდა. რუსი მიმომხილველების პროგნოზით, ახლა ამ თემას ამერიკული გაზეთები აიტაცებენ. "ნეზავისიმაია გაზეტას" თქმით, რუსეთის დაზვერვას უნდა მოესწრო და ერაყში არსებული დოკუმენტები უნდა გაენადგურებინა, ან ქვეყნიდან გამოეტანა. ახლა მათ უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა და თავის მართლება მოუწევთ.

ძველი პრესა

საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი დიდის ამბით მიიღეს რუსეთის მთავრობამ და თვით რუსეთის ხალხის წარმომადგენლებმა. ფელიქს ფორის სტუმრობას ხელმწიფე იმპერატორის ოჯახში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. გამოცხადდა, რომ საფრანგეთსა და რუსეთს წერილობითი კავშირი შეუკრავთ ერთმანეთში. უცხო ქვეყნის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს კავშირი ინგლისის წინააღმდეგ უნდა იყოს მოსაზრებულიო, იგი ინდოეთიდან და ეგვიპტიდან უნდა განაძეონო; ინდოეთს რუსეთი უნდა დაეპატრონოს და ეგვიპტეს საფრანგეთიო. ამის ნიშნებს ხედავენ ახლა ინდოეთის ზოგიერთ მაზრების განდგომილებაში. აქ აბუნტებულან რუსეთის მოსაზღვრეთ მდებარე ქვეყნების მცხოვრებნი, სახელდობ აფრიდები. ამბობენ, ავღანის გმირი აბდულ-რახმანიც იმათ ხელს უწყობსო; იგი რუსეთის მთავრობასთან ჩინებულად არის განწყობილიო. რაც მოხდება ამ მოკლე ხანში, ყოველსავე შევიტყობთ, მხოლოთ შესანიშნავია რუსეთისა და საფრანგეთის ჯარების სადღერგძელო დალეული საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ, აგრეთვე რუს-საფრანგეთის ფლოტის სადღეგრძელოები. რუსეთ საფრანგეთის კავშირის გამოცხადება, უეჭველია, ინგლისის გარდა სამთა-კავშირსაც ძილს დაუფრთხობს. შესაძლებელია, რომ გერმანიის იმპერატორს იჭვი ჰქონდეს ასეთი კავშირისა და უფრო ამის გულისთვის ესტუმრა რუსეთის იმპერატორს, სანამ ფელიქს ფორი პეტერბურგს გაემგზავრებოდა; მაგრამ, როგორც ჩანს, პეტერბურგის მთავრობამ ჩინებული გამასპინძლებით დააძინა გერმანიის სიფხიზლე და, როდესაც ვილჰელმი თავის სახელმწიფოში გულდამშვიდებული დაბრუნდა, მერე საფრანგეთის პრეზიდენტმა და რუსეთის იმპერატორმა უფრო გულახდით იმეჯლისეს, ითათბირეს და საერთო კავშირზედაც ხელშეკრულობა განამტკიცეს.

"კვალი" N35, 21 აგვისტო 1897 წელი

■ ■ ■

ინგლისი. გაზ. "Morning Post"-ი სწერს, რომ თუ რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთში შეთანხმდნენ, გაჭირვების დროს ერთი მეორეს დაეხმარებიან და ეს გარემოება-კი ინგლისის გაფართოვებას ხელს შეუშლის და საერთოდ ხეირს არ დააყრის სახელმწიფოს კეთილდღეობასო. ინგლისის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის რუსეთში მოგზაურობას. მათის აზრით შეიძლება ამ მოგზაურობას გერმანიის რუსეთთან დაახლოება მოჰყვეს. ინგლისს აქამდის პოლიტიკაში და საერთოდ ყველა საქმეში ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ევროპა დღემდის ორ დიდ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, ბანაკად იყო გაყოფილი: ერთი მხრივ ორთა კავშირი, მეორი-სა სამთა. მათ შორის დიდი განხეთქილება იყო ჩამოგდებული და მუდამ დიპლომატიურს ბრძოლაში იყვნენ. ინგლისი ამით სარგებლობდა და ხან ერთის მხარს იჭერდა, ხან მეორის. სადაც მეტის გამორჩენის იმედი იყო, ისიც იქით მიიწევდა და ასეთის პოლიტიკის წყალობით მუდამ საფარში იყო ხოლმე. ეხლა კი საქმე სულ სხვა-ნაირად მიდის. თუ მართლა გერმანიის იმპერატორის რუსეთში მოგზაურობას ის შედეგი ექმნება, რომ რუსეთი და გერმანია ერთმანეთს დაუახლოვდებიან და დამეგობრდებიან, მაშინ ხომ სამთა და ორთა კავშირის შეერთება და შეთანხმება ძნელი საქმე აღარ იქმნება. ამ შემთხვევაში მთელი ევროპა, ინგლისის გარდა, ერთ-გვარს მიმართულობას დაადგება, ხოლო ეს უკანასკნელი-კი, რადგანაც მარტოდ-მარტო დარჩება, იძულებული იქმნება ყველაფერში ევროპას დაემორჩილოს და ისე მოიქცეს, როგორც ეს უკანასკნელი მოინდომებს. მართალია, ძნელი მოსალოდნელია, რომ ყველა ზევით მოხსენებული გამართლდეს, მაგრამ, რადგან ქვეყანაზედ მოუხერხებელი არაფერია, ინგლისელები მაინც ძალიან დააფიქრა ამ გარემოებამ და ყოველს საშუალებას ხმარობენ იმის განხორციელების წინააღმდეგ. გაზეთები თითქმის ერთხმად ურჩევენ მთავრობას, რომ მან დაასწროს გერმანიას და თვით დაუმეგობრდეს რუსეთსა და საფრანგეთს. გაზ. "Nineteenth Centruy"-ში დიდი წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც ავტორი ამტკიცებს, რომ ინგლისი უეჭველად საფრანგეთ-რუსეთის კავშირს უნდა შეუერთდესო. ავტორის აზრით, ამ საქმის სისრულეში მოყვანა არც ისე ძნელი საქმეა, როგორც უმეტესობასა ჰგონია. ინგლისსა და რუსეთს შორის მტრობა და სიძულვილი არასოდეს არა ყოფილა, პირიქით, ეს ორი წელიწადია მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ ერთმანეთსაო.

"ივერია" N157, 1897 წელი

■ ■ ■

გერმანია. გაზეთებში დიდი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ვითომ გერმანია მოწადინებულია რუს-ფრანგთა კავშირს შეუერთდესო. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ გერმანიის იმპერატორი პეტერბურგში სწორედ ამ აზრით იყოო. რამდენად მართალია ეს, დაჭუშმარიტებით არავინ იცის, მხოლოდ ესკია, რომ გაზეთებმა ამ ბოლო დროს უფრო მოუხშირეს ამაზედ ლაპარაკს და, სხვათა შორის, აი რა არის დაბეჭდილი გაზ. "Journal de Geneve"-ში ამ საგნის შესახებ. ჩვენ აქ შეუცვლელად მოვიყვანთ ამ წერილის შინაარსს.

"კასტელფორის კოშკი (ეროს დეპარტამენტი) 29 აგვისტო 1897 წ.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ფრიად საყურადღებო ამბავს, რომელიც პოლიტიკის აწინდელ მდგომარეობას შეეხება. გერმანიის დიპლომატიამ დიდი ხანია გაიგო რუს-ფრანგთა ხელშეკრულების შინაარსი. ეს ამბავი მე ბერლინში ერთის წარჩინებულის კაცისგან შევიტყე. იმისის სიტყვით, ამ წლის გაზაფხულზედ გერმანიის იმპერატორის თანდასწრებით კრება შესდგა, რომელზედაც ლაპარაკი რუს-ფრანგთა კავშირის შესახებ იყო. უმეტესობამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ რუსეთსა და საფრანგეთს უნდა შევუერთდეთო. განხილული იყო აგრეთვე ამ კრებაზედ ელზას-ლორენის საქმე და ბოლოს კრებამ გადასწყვიტა, რომ თუ გერმანიას ინგლისთან ომი მოუხდება, შეიძლება საფრანგეთს შემდეგი პირობებით შევურიგდეთო: 1, ელზასი თავისუფალ სამთავროდ იქმნას აღიარებული, დიდთა სახელმწიფოთა უზენაესის მფარველობის ქვეშე; 2, საფრანგეთის ნაწილი ლორენისა, მეცისა და ტიონვილით საფრანგეთს დაუბრუნდეს, რომელიც ვალდებული იქნება გააუქმოს ამ პროვინციაში ყველა სიმაგრეები; 3, საფრანგეთმა უნდა გადაუხადოს გერმანიას ის ხარჯი, რაც მას ამ პროვინციის მმართვა-გამგეობით მოუვიდა; 4, საფრანგეთი დაუთმობს გერმანიას საფრანგეთის კონგოს ნაწილს; 5, გერმანია ვალდებული იქმნება მხარი დაუჭიროს საფრანგეთს სიამისა და ეგვიპტის საქმეებში. თავისს მხრივ საფრანგეთი გერმანიას აფრიკის საქმეებში დაეხმარება; 6, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გერმანიის იმპერატორი ვალდებული იქმნება ეცადოს, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ჯარს იარაღი აჰყარონ და საომარს ფეხზედ აღარ ამყოფონ, აგრეთვე ის, სახელმწიფოთ რაიმე ღონე იღონონ სარევოლიუციო მოძრაობის წინააღმდეგ. აი ეს იქმნა გადაწყვეტილი ბერლინში იმპერატორის მიერ მოწვეულს კრებაზედ.

ადოლფ პიერი, გარის დეპუტატად ნამყოფი".

"ივერია" N180, 1897 წელი

რუსეთ-საფრანგეთის კავშირი

რუს-ფრანგთა კავშირმა საფრანგეთის თითქმის ყველა გაზეთები აალაპარაკა. მათის სიტყვით რუსეთი და საფრანგეთი ჯერ ისევ ალექსანდრე მეორეს მეფობის დროსვე ცდილობდნენ დამეგობრებულიყვნენ და დაკავშირებული ყოფილიყვნენ: მაგრამ ბისმარკი წინაღუდგა ამ განზრახვას და ყოველგვარის ხრიკების საშვალებით ჩაშალა იგი. ერთხელ ბისმარკმა უთხრა საფრანგეთის ელჩს ერბერტტს: "ვიდრე მე კანცლერის თანამდებობა მიჭირავს, ნებას არ მივსცემ, საფრანგეთი და რუსეთი შეერთდეს. მე ყოველ ღონეს ვიღონებ, რომ გერმანია ორ ცეცხლშუა არ მოჰყვეს" და მართლაც რუს-ფრანგთა კავშირის განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნა შესაძლებელად, როდესაც ბისმარკი გადადგა თანამდებობიდან...

"ივერია" N183, 1897 წელი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 2 – 11 აპრილის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:

7 524.1 ათასი ლარი

1) ოპერატიულ რეგიონში და ოსეთის წესით ნაშრომები თანხები — 724.2 ათასი ლარი
–ხელფასი — 722.3 ათასი ლარი
–სასამართლოს გადწყვეტილებებით ნაშრომი თანხები — 1.9 ათასი ლარი
2) საუკეთო გამოშვებული დაცული შემდეგი — 6 236.4 ათასი ლარი
საყოველთაო ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების საუკეთებში — 85.0 ათასი ლარი
სოციალურ დაცვის სამინისტრო დეპარტამენტი (შრომის ანაზღაურება — წყვილები და ოჯახური პრივილეგია) 41.7 ათასი ლარი
რეგიონებში ვინაიდანული სამეურნეო ორგანიზაციების მიერ თავის სახელობით კომპენსაციები — 1 191.0 ათასი ლარი
ტრანსფერი მიწაყენის ვინაიდან შემოსავლის წესით სამინ. კომპანიის სახელობის საუკეთო სწავლების ცენტრის — 33.5 ათასი ლარი
–ელექტროენერგია და ვინაიდანის სამსახური — 125.0 ათასი ლარი
– ტერიტორიული შენობის ხარჯები — 55.0 ათასი ლარი

ტრანსფერი საუკეთო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს — 2 881.0 ათასი ლარი
– სამედიცინო ტრანსფერი 2 381.0 ათასი ლარი
–ტრანსფერი ჯანდაცვის ტერიტორიებზე — 200.0 ათასი ლარი
–რეგიონული პენსიები — 63.0 ათასი ლარი
–მიწერილია საუკეთო სამოქალაქო რეპრესიტერიის პრივილეგიით — 40.0 ათასი ლარი
–იურიდიული ტერიტორიულ ორგანოთა კომპანიის პრივილეგიით — 30.0 ათასი ლარი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვის და საუკეთო უზრუნველყოფის სამინისტროს პრივილეგიით — 380.0 ათასი ლარი
განათლების სამინისტროს პრივილეგიული ხარჯები 13.3 ათასი ლარი
საფეხურის ტერიტორიები და სტრუქტურის სამინისტროს სამეცნიერო სამინისტროს პრივილეგიით დეპარტამენტი — 1 436.2 ათასი ლარი

საქართველოს პრეზიდენტის ფონდი 140.0 ათასი ლარი
–საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (ბეჭდვა ვიდეო ვიდეოს ოფიციალური დამზადება) — 3.0 ათასი ლარი
–სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ისარაჩო (კახა ცხადაძის ოფიციალური დამზადება) — 5.0 ათასი ლარი
–კულტურის სამინისტრო (კონტე მიხეილის ოფიციალური დამზადება) — 3.0 ათასი ლარი
–საქართველოს საელჩო ოფიციალურში და ავღანეთში — 102.0 ათასი ლარი
–ინტერნეტკავშირი პიარის სერვისი — 24.0 ათასი ლარი

სახელმწიფო სიმბოლური ფონდი — 41.2 ათასი ლარი
–სპორტის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი — 17.4 ათასი ლარი
–სახელმწიფო დაცვის ბუკეტური სამსახური — 13.5 ათასი ლარი
–ტაქსის სახელმწიფო დეპარტამენტი — 8.3 ათასი ლარი
–ადმინისტრაციის სახელმწიფო დეპარტამენტი — 2.0 ათასი ლარი

6) 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ვინაიდანული ხარჯები — 302.5 ათასი ლარი
სხვა ხარჯები და მიმართულებები ბიუჯეტი — 222.9 ათასი ლარი
–კონტრაქტის პირები — 1.8 ათასი ლარი
–ადმინისტრაციის ბინათა ქონებრივი და სოციალური მფლობელობის საქმიანობით ბიუჯეტი — 8.0 ათასი ლარი
–იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან დეპარტამენტი — 29.2 ათასი ლარი
–იუსტიციის სამინისტრო — 15.3 ათასი ლარი
–ეროვნული ბიბლიოთეკა — 13.3 ათასი ლარი
–კონტრაქტის პირები — 8.2 ათასი ლარი
–იუსტიციის სახელმწიფო ენციკლოპედიის ბიბლიოთეკა — 6.0 ათასი ლარი
–შეკვეთილია ავღანეთი (ფოტოს ამსტერდამი) — 5.7 ათასი ლარი
–კომპიუტერ ნაციონალია ამსტერდამი 5.0 ათასი ლარი
–სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური — 5.0 ათასი ლარი
–სიკრიტერული სამსახური — 3.3 ათასი ლარი
–სახელმწიფო კონტრაქტი — 2.2 ათასი ლარი
–შინაგან საქმეთა სამინისტრო — 2.1 ათასი ლარი
–ეროვნების სამსახური — 2.0 ათასი ლარი
–უფასოდ ელექტრული საქმიანობის ამბები — 1.4 ათასი ლარი
–სიკრიტი სამსახურები — 1.0 ათასი ლარი
–ტრანსპორტი და კომუნიკაციების სამსახური — 0.4 ათასი ლარი

კულტურის სამინისტროს პრივილეგიული ხარჯები — 34.0 ათასი ლარი
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრივილეგიული ხარჯები — 29.0 ათასი ლარი
კულტურის დეპარტამენტის პრივილეგიული ხარჯები — 6.5 ათასი ლარი

სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მომხმარებელი მეწარმეთა თანის ვინაიდანების ანაზღაურება — 96.5 ათასი ლარი
სამეცნიერო ხარჯები — 7.0 ათასი ლარი
–საქართველოს პრეზიდენტი — 3.0 ათასი ლარი
–კულტურის სამინისტრო — 2.0 ათასი ლარი

სახელმწიფო ეროვნული სამსახურის სეზონი — 71.7 ათასი ლარი
სახელმწიფო სიმფონიური სამსახურის სეზონი — 28.0 ათასი ლარი
საიმედო-ეკონომიური სამსახურები (ეკონომიური სექტორის სეზონი) — 20.0 ათასი ლარი

ხელ ხარჯი 7 524.1 ათასი ლარი

საერთაშორისო რეგიონში და ოსეთის წესით ნაშრომები თანხები — 724.2 ათასი ლარი
–ხელფასი — 722.3 ათასი ლარი
–სასამართლოს გადწყვეტილებებით ნაშრომი თანხები — 1.9 ათასი ლარი
3. 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ვინაიდანული ხარჯები — 6 236.4 ათასი ლარი
4. 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ვინაიდანული ხარჯები — 302.5 ათასი ლარი
–სხვა ხარჯები და მიმართულებები — 220.0 ათასი ლარი
–პაკეტები 7.0 ათასი ლარი
–ხელფასი — 286.7 ათასი ლარი

თბილისი, 380093, მალექსიძის ქ. №1
ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge

„ჩვენი ჟანგიანი მილები გვირჩევნია, სხვის ოქროსას"

ეთერ მამულაშვილი

"თბილწყალკანალის" სარეაბილიტაციო სამუშაოებზე თითქმის დამთავრებული ტენდერი შესაძლოა ჩაიშალოს. გუშინ ლეიბორისტულმა პარტიამ ტენდერის გაუქმების მოთხოვნით საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მოსამართლემ სარჩელი წარმოებაში მიიღო და უახლოეს სამ დღეში, საქმის არსებით განხილვამდე, მან ტენდერის შეჩერების საკითხი უნდა განიხილოს. საოლქო სასამართლოს შენობიდან, ტრანსპარანტებით და მეგაფონებით შეიარაღებულმა ათამდე "ლეიბორისტმა" "თბილწყალკანალთან" გადაინაცვლა. პარტიის რამდენიმე აქტივისტს მალე ორასამდე თბილისელიც შეურთდა.

აქციის დროს.

"თბილწყალკანალის" თანამშრომლები გუშინ დილიდანვე დაუპატიჟებელ სტუმრებს მასპინძლობდნენ. ჯერ იყო და დილით ადრე "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა შენობის წინ რამდენიმე წუთიანი გამაფრთხილებელი აქცია მოაწყვეს, დღის მეორე ნახევარში კი მათი ადგილი უფრო ხანგრძლივი დროით "ლეიბორისტებმა" დაიკავეს.

ერთიც და მეორეც ქვეყნისათვის სტარტეგიული მნიშვნელობის ობიექტის "თბილწყალკანალის" გასხვისებას ეწინააღმდეგება.

"თბილწყალკანალის" სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, გასული წლის ზაფხულში გამოცხადებულ ტენდერზე, "24 საათი" უკვე რამდენჯერმე წერდა. მკითხველს მოკლედ შევახსენებთ, რომ ტენდერში მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ ერთი, ფრანგული კომპანია "ჯენერალ დე ზო". დღეისათვის კომპანიამ წარმოადგინა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების პაკეტი. "ჯენერალ დე ზოს" საქართველოში შემოსვლის საკითხს სატენდერო კომისია საბოლოოდ, სავარაუდოდ, თვის ბოლოს გადაწყვეტს.

"ნაციონალები" და "ლეიბორისტები" ეჭვობენ, რომ ტენდერში მონაწილე კომპანიას, პრეზიდენტ შევარდნაძის ნათესავებთან საერთო ინტერესები აქვს.

"ლეიბორისტები" "თბილწყალკანალს" "თელასის" ბედს უწინასწარმეტყველებენ და თბილისელებს ქვეყანაში ზღაპრული ბაყბაყდევის შემოსვლას აუწყებენ. **"ფრანგული კომპანია შემოსვლისთანავე დაიწყებს მრიცხველების დაყენებას და სასმელ წყალს ოქროს ფასს დაადებს. ქვეყანაში, სადაც წყალს მიაქვს ყველაფერი, მალე ის სანატრელი გაგვიხდება"** - ასეთ საგანგაშო პროგნოზს აკეთებენ ლეიბორისტები.

"თბილწყალკანალის" წარმომადგენლები გუშინ უშედეგოდ ირჯებოდნენ. ისინი ამაოდ ცდილობდნენ აქციაზე მოსული თბილისელების დამშვიდებას, რომ ტენდერს სასმელი წყლის სამომხმარებლო ტარიფთან არავითარი შეხება არ აქვს. ორგანიზაციის პრესმდივნის გოჩა ჯელიას თქმით ტენდერის შემდეგაც "თბილწყალკანალი" კვლავ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში რჩება და ქალაქის ხელმძღვანელობის გარეშე წყლის ტარიფი ერთი თეთრითაც ვერ გაიზრდება. **"ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტის, 25 მილიონი ამერიკული დოლარის ფარგლებში, ქსელის რეაბილიტაციაზე უნდა იზრუნოს. კერძო ოპერატორმა დღეს ქსელში არსებული ტექნიკური დანაკარგები მინიმუმამდე უნდა შეამციროს"**, - მოგვიანებით საკრებულოში, ნაციონალების მიერ მოწვეულმა "თბილწყალკანალის" გენერალურმა დირექტორმა იუზა ცარციძემ ასე ახსნა ტენდერის მნიშვნელობა. თუმცა "ლეიბორისტებისთვის" და მათი გულშემატკივრებისთვის წყალკანალის ხელმძღვანელობის ამგვარი განცხადება დამაჯერებელი ვერ გამოდგა. **"ჩვენი ჟანგიანი მილები გვირჩევნია, სხვის ოქროსას"**, - ასაკოვანი ქალბატონი მეგაფონის გარეშეც მშვენივრად ახერხებდა საკუთარი აზრის გამოთქმას.

„დედაენის" ზეიმი ბოლნისში

გუშინ, 14 აპრილს, "დედაენის" დღესთან დაკავშირებით ბოლნისს ესტუმრა საქართველოს კულტურის მინისტრი, ქართული საზოგადოების და მას-მედიის წარმომადგენლებთან ერთად. თბილისელთა დელეგაციას მასპინძლობდნენ ქვემო ქართლის გუბერნატორი და ბოლნისის რაიონის გამგებელი.

ლელა მარგიანი

პირველი შეხვედრა ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა. იგი 1951 წელს დაუარსებიათ. არსებობის მანძილზე ხუთჯერ გამოიცვალა ადგილსამყოფელი, კარგა ხანს ხანძრის გამო დაკეტილი იყო. მხოლოდ 2001 წელს ეღირსა მუზეუმში დაცულ უძველესი ქვის ხანიდან დღევანდლამდე პერიოდის 2000-ზე მეტ არქეოლოგიურ ძეგლს ნორმალური შენობა, საექსპოზიციო დარბაზები. მუზეუმის უამრავ საინტერესო ექსპონატს შორისაა ბაქარ ბატონიშვილის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი "სახარება", რომელიც მუზეუმის თანამშრომლის ნათელა მელიქიძის თქმით, 1992 წელს უჩუქებიათ მათთვის და რომლის მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარიღა არსებულა საქართველოში.

ბოლნისის რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სტუმრებს ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები დახვდნენ. აზერბაიჯანელმა 14 წლის ფარმანამ და 10 წლის ვუსალამ ქართულ ენაზე წაიკითხეს ლექსები და შეგვახსენეს, რომ მათაც "არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი..." არ გააჩნიათ. აზერბაიჯანელ ბავშვებს პოეტმა იზა ორჯონიკიძემ მიმართა: "როცა გაქვს სამშობლო-საქართველო, უნდა იცოდე ის ენა, რომელზეც შენი სამშობლო ლაპარაკობს. უნდა ისწავლოთ ქართული, საქართველოს ისტორია და რა თქმა უნდა, არასდროს არ უნდა დაგავიწყდეთ თქვენი მშობლიური ენა". კულტურის სამინისტრომ ბოლნისის ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ქართველ მწერალთა წიგნები.

თბილისელთა დელეგაციამ კულტურის პარკში სანთლები დაანთო და ყვავილებით შეამკო 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი. შემდეგ სტუმრები იყვნენ ქართული ნაციონალური ცეკვების ბავშვთა სახალხო ანსამბლის "ბოლნისელის" დარბაზში. დედაენის დღისადმი მიძღვნილი ძირითადი საზეიმო ღონისძიება სწორედ ამ ცენტრში გაიმართა. როგორც ბოლნისის რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ნანა დევნოზაშვილმა სტუმრებს განუცხადა: "დედაენის ზეიმი განსაკუთრებული დღეა მათთვის, როგორც პირველი დათარიღებული ქართული ასომთავრული - ბოლნისის სიონის წარწერის, იაკობ ცურტაველის და ქართული ენის დიდი მოამაგის სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური მხარის შვილებისთვის."

„ჩვენს მეგობრობას წინ ვერავინ დაუდგება!"

რუსეთის ჯანდაცვის მინისტრის დამაიმედებელი პროგნოზი

ზაზა ფაჩუაშვილი

12 წლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის მინისტრი იური ლეონიდეს ძე შევჩენკო და მისი წარმომადგენლობითი დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: რუსეთის ფედერაციის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კარდიოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ევგენი ჩაზოვი; დსთ-ს იმუნოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, აკადემიკოსი რემ პეტროვი; ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ლეო ბოკერია; გამომცემლობა "მედიცინას" მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ პალეევი და რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს სხვა ოფიციალური პირები.

ამირან გამყრელიძემ და იური შევჩენკომ საერთო ენა გამონახეს.

"ნუ მივეცემით ნოსტალგიას და ამით ნუ დავიტანჯებით. ბოლოსდაბოლოს თქვენ შეგიძლიათ, იყიდოთ ერთი ბილეთი, წამოიღოთ კარგი ჭაჭა და ჩამობრძანდეთ ჩვენთან," – მიმართა ქართველ ექიმებს რუსეთის ჯანდაცვის მინისტრმა იური შევჩენკომ, რომელმაც თავდაპირველად ყველას თავად აუჩუყა გული თავისი თბილი და მეგობრული მისალმებით, რასაც ქართველებმა არანაკლები მხურვალებით უპასუხეს. შემდეგ კი, როცა საქმე "ცრემლებამდე" მივიდა, მინისტრი "იძულებული" შეიქნა, ქართველი კოლეგებისთვის ნოსტალგიის სამკურნალო უბარი მეთოდი შეეხსენებინა – ჭაჭა და თვითმფრინავის ბილეთი.

ასე დაიწყო რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, რომლის დროსაც ხელი მოეწერება ორმხრივ ხელშეკრულებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეხვედრას ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელი სამედიცინო ელიტა ესწრებოდა. ვიზიტს და ხელშეკრულებას ყველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ძალიან დაგვიანებულადაც მიიჩნევდა. ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა: **"დიდი ხანია, გვინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ამდენი პრობლემების გადამკიდე ვერ ვახერხებდით. თუმცა წუთითაც არ დაგვივიწყებია ჩვენი ძმობა, მეგობრობა, კეთილი და სუფთა დამოკიდებულება, მჭიდრო პროფესიული ურთიერთობა. ამდენად, ჩვენ შორს ვიყავით, მაგრამ მუდამ ვგრძნობდით სიახლოვეს. ზოგჯერ ასეა, შორეული უფრო ახლოა. სამაგიეროდ ამიერიდან ჩვენ ძმურ ურთიერთობას წინ ვეღარავინ დაუდგება. ჩვენ ექიმებს ერთი სისხლი გვაქვს და ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა უნდა დავდგეთ."**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის მიერ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის მოკლე წარდგინების შემდეგ საუბარი შეეხო გარდატეხის პერიოდის გარდაუვალ ცვლილებებს, რასაც, თურმე, ვერც დიდი რუსეთი გაქცევია.

იური შევჩენკო: **"კრემლის დროინდელი უფასო მედიცინა, რა თქმა უნდა ეტალონი იყო, მაგრამ ახლა სხვა დროა. სსრკ-მ იმდენი ინსტიტუტი დაგვიტოვა, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს მათ შენახვას. ჩვენ რომ დავიწყოთ ყველაფრის შენარჩუნება, პირიქით, ყველაფერს დავკარგავთ. უნდა დავაფინანსოთ ის, რაც ნამდვილად გვჭირდება.**

სპილოსა და თიაქარის ამბისა არ იყოს. რატომ არ ემართება სპილოს თიაქარი? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მისი ორგანიზმი ასეა მოწყობილი, მაგრამ, ახალი გამოკვლევების თანახმად, თურმე, მაინც ყოფილა ერთი შემთხვევა, რომლის დროსაც სპილოს შეიძლება, განუვითარდეს თიაქარი, თუ იგი ჯანდაცვის სისტემას ასწევს."

რუსეთის ჯანდაცვისათვის არც ჩვენთვის ნაცნობი რეფორმატორული ძვრები ყოფილა უცხო, რომლის დროსაც რამდენიმე სამედიცინო დაწესებულების შერწყმა და ახალი თანამედროვე ტიპის სამსახურის შექმნა ხდება.

იური შევჩენკო: **"ჩვენ სულ ახლახან რამდენიმე კლინიკის გაერთიანების შედეგად შევქმენით პიროგოვის სახელობის ნაციონალური სამედიცინო-ქირურგიული ცენტრი, რომლის პრეზიდენტი მე გახლავართ. ჩემი თანაშემწეა ევგენი ივანეს ძე ჩაზოვი და სხვა გამოჩენილი სპეციალისტები. ეს არის თანამედროვე ტიპის კლინიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება უბრალო ადამიანზე. პირველადი სამედიცინო დახმარების გარეშე არავინ დარჩება. აქ გაჩაღდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო მუშაობა.**

ჩვენ დავაწესეთ პიროგოვის სახელობის ყოველწლიური პრემია მილიონი დოლარის ოდენობით იმ ექიმებისთვის, რომლებმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის ჯანდაცვის საქმეში.

სწორედ ამ სიახლის გამო შევამცირე ერთი დღით ვიზიტი საქართველოში. 17 აპრილს მაცხოვრის ტაძარში მოხდება ჩვენი ცენტრის ხელმძღვანელობის კურთხევა."

გუშინ რუსეთის დელეგაციამ გადაუდებელი კარდიოქირურგიის ცენტრი და ეროვნული სამედიცინო ცენტრები მოინახულა. საღამოს კი მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში დიდი მიღება გაიმართა, რომელზეც იური შევჩენკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი კეთილგანწყობა და თქვა, ყოველთვის და ყველაფერში გქონდეთ ჩვენი იმედიო.

დღეს რუსეთის დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტს შეხვდება.



ჩეჩენი პატიმრები უზენაესი სასამართლოს ვერდიქტს ელოდებიან

ხათუნა ჭანგირაშვილი

სასამართლო პროცესზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთ-საქართველოს საზღვრის დამრღვევი სამი ჩეჩნის – ალხანოვის, ელიხაჯიევისა და გელოგაევის საქმის რამდენიმეთვიანმა განხილვამ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში მეორედ გადაინაცვლა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ როგორც პატიმართა დამცველები, ასევე პროკურორები. სახელმწიფო ბრალმდებლები ალხანოვის ექსტრადიციას მოითხოვენ, რომელიც რაიონულმა სასამართლომ რუსეთში ექსტრადირებას ლტოლვილის სტატუსის გამო ააცილა; ადვოკატები კი გელოგაევისა და ელიხაჯიევის საქართველოში დარჩენას ითხოვენ.

ერთი სიტყვით, მხარეები რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების უკანონობაზე საუბრობენ, პოზიციებს არ თმობენ და უზენაეს სასამართლოს მათთვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანას სთხოვენ.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჩეჩენთა ექსტრადიციის კანონიერება-არაკანონიერების შესახებ ამჯერად უკვე საბოლოო იქნება და მისი გასაჩივრების უფლება მხარეებს აღარ ექნებათ.

“ჩეჩენ პატიმართა ექსტრადიციის საქმე რეზონანსული და პრეცედენტულია. მათი საქმის განხილვისას დარღვეულია ევროკონვენციის მოთხოვნები. იმისთვის, რომ ქართული სამართალწარმოება შესაბამისობაში იყოს ევროპულ სტანდარტებთან, გთხოვთ, საქმე არსებითად ხელახლა განიხილოთ”, – ასეთი გახლდათ ადვოკატთა გუშინდელი პირველი შუამდგომლობა. საზღვრის დამრღვევთა დამცველების განმარტებებით, ევროკონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება პროკურორებს არ ჰქონდათ, ამიტომ სასამართლო კოლეგიას სახელმწიფო ბრალმდებლების საჩივრის არაკანონიერად ცნობა მოსთხოვეს. მართლაც ჰქონდათ თუ არა გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტების უფლება, ეს გუშინდელ პროცესზე ხანგრძლივი დავის საგანი გახდა. “პროცესში მონაწილე ყველა მხარეს აქვს გასაჩივრების უფლება”, – ამ პასუხით სისხლის სამართლის საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა ადვოკატთა შუამდგომლობა და მხარეებს შორის ამ საკითხზე გამართული კამათი დაასრულა.

გუშინდელ პროცესზე ცნობილი გახდა, რომ გელოგაევმა, რომლის რუსეთში ექსტრადირებასაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ ცოტა ხნის წინ მეორედ მისცა ვიზა, რამდენიმე დღის წინ საოლქო სასამართლოს მიმართა და იმის გარკვევა მოსთხოვა, თუ რის საფუძველზე მოუხსნა დევნილის სტატუსი მას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ. იმის გამო, რომ საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატას გელოგაევის სტატუსის გაუქმების კანონიერება-არაკანონიერებაზე პასუხი ჯერჯერობით არ გააჩნია, ჩეჩენთა ადვოკატებმა გუშინ გელოგაევის საქმის ცალკე გამოყოფა, ან საკითხის გარკვევამდე პროცესის შეწყვეტა მოითხოვეს.

“ადვოკატები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პროცესი გაჭიანურდეს. გასარკვევი და სადავო კი უკვე აღარაფერი დარჩა”, – ასეთია პროკურორთა პოზიცია.

საქმე ის გახლავთ, რომ ალხანოვს, ელიხაჯიევსა და გელოგაევს პატიმრობის ვადა უკვე ეწურებათ და ისინი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ. გათავისუფლების შემთხვევაში კი, ექსტრადიციის პრობლემასთან ერთად, მათ საქართველო-რუსეთის საზღვრის დარღვევისა და იარაღის უკანონოდ ტარებისთვის წარდგენილი ბრალდებებიც ავტომატურად მოეხსნებათ.

ხანძართა რაოდენობა მატულობს

თბილისის ისნის რაიონში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მდებარე სამსართულიან საწყობს ხანძარი გაუჩნდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლს 13 სახანძრო მანქანა აქრობდა. ხანძარს აფეთქება არ მოჰყოლია და შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. თუმცა, ხანძარმა საწყობის შენობა მთლიანად გაანადგურა.

თაკო მგველიძე

ხანძარი საწყობის პირველ სართულზე გაჩნდა, დაიწვა დაახლოებით 300 კვ.მ. ფართობი შენობის პირველ და მეორე სართულზე. მეხანძრეების ძალისხმევით მოხერხდა, რომ ხანძარი მეზობელ შენობებზე არ გავრცელდა. სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენელთა განცხადებით, საწყობში იარაღი ან საბრძოლო მასალა არ ყოფილა. ის თითქმის ცარიელი იყო და მხოლოდ ხის სამშენებლო მასალა ეწყო. ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია.

თბილისის მთავარი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, ისანში, წურწუმიას ქუჩის N17-ში მდებარე სამხედრო ბაზა რუსეთის ექსტერიტორიული ზონაა და ცეცხლის გაჩენის მიზეზის დადგენაც რუსების საქმეა. თუმცა, მომხდარის გამო საქმე სამხედრო პროკურატურაში აღიძრა.

თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში აცხადებენ, რომ სახანძრო-ოპერატიულ სამსახურში შესული შეტყობინებები დღითი დღე მატულობს. მეხანძრეები სტიქიური შემთხვევების გამრავლების ძირითად მიზეზად ბუნებრივი აირისა და ელექტროგაყვანილობების გაუმართაობას, ასევე დროებითი ღუმელების დაუდევრად ექსპლუატაციასაც ასახელებენ.

ხანძრების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გასული ზამთარი. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სტატისტიკური მონაცემებით, ამ პერიოდში მხოლოდ თბილისში 7 ათასი ხანძარი მოხდა. საერთო ჯამში, საქართველოში გასულ წელს 9 ათასი ხანძარი დაფიქსირდა. სახანძრო-ოპერატიული სამსახურის უფროსის ელზა ზირაქიშვილის ინფორმაციით, სტიქიის თაობაზე სახანძრო ყოველდღიურად 4-5 შეტყობინებას მაინც ღებულობს. ზამთარში კი მათი რიცხვი 40 აღწევს.

ბაქოში ჰანკისიდან ჩეჩნეთში გადასვლის მსურველებს ასამართლებენ

აზერბაიჯანული გაზეთის “ექოს” ცნობით, პარასკევს აზერბაიჯანის სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაიწყო აზერბაიჯანის სამი მოქალაქის საქმის განხილვა. განსასჯელებს ტარიელ ასკეროვს, ფეირუზ ბაბაევსა და ჰაფიზ რამიზადეს ბრალად ედებათ უკანონო შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბება, რაც, გამოძიების მტკიცებით, ჩეჩნეთში რუსეთის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლის სურვილში გამოიხატებოდა.

სამივე მათგანი საქართველოშია დაკავებული და ისინი აზერბაიჯანელ სამართალდამცველებს იანვარში გადასცეს. გადაცემიდან რამდენიმე დღეში აზერბაიჯანულ პრესაში გაჩნდა ცნობა სამეულის პანკისის ხეობაში დაკავების შესახებ. მეტიც, აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურზე დაყრდნობით, გაზეთი იუწყებოდა, რომ სამივე დაკავებული პანკისის საწვრთნელ ბაზაზე სამხედრო მზადებას გადიოდა. ამ განცხადების საპირისპიროდ, საქართველოს უშიშროების სამინისტრო ირწმუნება, რომ ისინი პანკისში კი არა, ქვემო ქართლში დააკავეს.

“ასკეროვი, ბაბაევი და რამიზადე აზერბაიჯანის მხრიდან ძებნილები იყვნენ და ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ქვემო ქართლში დააკავეს. საქართველოში მათ დანაშაული არ აღმოაჩნდათ ჩადენილი. გვქონდა ინფორმაცია, რომ სამივე პანკისის ხეობაში არსებულ საწვრთნელ ბაზებზე წვრთნას გადიოდა და მერე ჩეჩნეთში აპირებდნენ საომრად წასვლას. ჩვენ ეს ინფორმაცია გადავამოწმეთ, მაგრამ დაკავებულები, მიუხედავად იმისა, რომ პანკისში მართლაც იყვნენ ნამყოფები, იქ არავითარ წვრთნებში არ ღებულობდნენ მონაწილეობას – ისინი, უბრალოდ, მალვაში მყოფი კრიმინალები არიან,” - განაცხადა ჩვენთან საუბრისას საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა.

მიუხედავად საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული მოკვლევისა და ამ მოკვლევის შედეგებისა, აზერბაიჯანში ჩატარებული გამოძიება მაინც ირწმუნება, რომ სამივე სხვადასხვა პირებთან მოლაპარაკებების შემდეგ, სხვადასხვა დროს ჩავიდნენ პანკისის ხეობის სოფელ დუისში, სადაც განლაგებული იყო სამხედრო საწვრთნელი ბაზა. გამოძიების მასალების თანახმად, წვრთნებს უძღვებოდნენ ჩეჩენი საველე მეთაურები, ხოლო წვრთნას გადიოდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები - ძირითადად, მუსულმანური ქვეყნების მოქალაქეები. მეტიც, ერთ-ერთი განსასჯელი ტარიელ ასკეროვი, საბრალდებო დასკვნის თანახმად, 60 სხვა მებრძოლთან ერთად გაემართა კიდეც ჩეჩნეთისკენ. ისინი მთის ბილიკებით მოძრაობდნენ, მაგრამ ასკეროვი გზაში ცუდად გამხდარა და უკან - ბაზაზე დაბრუნებულა.

სამი განსასჯელის სასამართლო პროცესი ერთ კვირაში განახლდება. შეგახსენებთ, რომ ბაქოში ეს უკვე მეოთხე სასამართლო პროცესია, რომელზეც პანკისის ხეობის გავლით ჩეჩნეთის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მსურველთა საქმეს განიხილავს. ოთხივე პროცესზე ერთად აზერბაიჯანის 35 მოქალაქე იქნა განსჯილი. ყველა მათგანის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

სხვათა შორის, დღეს უკვე ქართული სპეცსამსახურებიც არ მალავენ, რომ 50-მდე აზერბაიჯანელს მართლაც ჰქონდა შექმნილი პანკისის ხეობაში დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელსაც აბუ-მალიქის სახელით ცნობილი კრიმინალი ხელმძღვანელობდა.

„24 საათი“

ქურდობა ვარციხის სამხედრო ნაწილში - იმერეთი აფეთქებას გადაურჩა

ჰირველი გვერდიდან

ნაწილი, ძირითადად, ღია ცის ქვეშ აწყვია და მათში კოროზიის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. სამხედროების განმარტებით, ბომბები იმდენად სავალალო დღეშია, რომ მათი ადგილიდან დაძვრაც კი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ამავე დროს, ნაწილის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა მეხამრიდებისა და სხვა დამცავი საშუალებების დაყენება. ექსპერტთა განმარტებით, ვარციხეში იმდენად დიდი სიმძლავრის საავიაციო ბომბები და ფრთოსანი რაკეტებია განლაგებული, რომ დეტონაციის შემთხვევაში ბაზიდან 300 კილომეტრის რადიუსში ყველაფერი განადგურდება. დეტონაცია კი შესაძლოა, უბრალო გაუფრთხილებლობამ ან სულაც სტიქიურმა მოვლენამ გამოიწვიოს. “24 საათს" ერთ-ერთმა სამხედრო პირმა აცნობა, რომ ნაწილის ხელმძღვანელობა გარკვეული ზომების მიღებას ცდილობს, მაგრამ მოსალოდნელი საშიშროების აღმოსაფხვრელად თითქმის არაფერია გაკეთებული. ამის ძირითად მიზეზად უსახსრობას ასახელებენ. გარდა აფეთქების საშიშროებისა, საავიაციო ბომბები რეგიონს ეკოლოგიური კატასტროფითაც ემუქრება. აღნიშნული სამხდრო ნაწილი აჯამეთის ტყის ნაკრძალშია განთავსებული, სადაც მსოფლიოში უნიკალური ჯიშის მუხები ხაროზს. შესაძლოა, ღია ცის ქვეშ ყოველგვარი ტექნიკური პირობების დარღვევით შენახული ბომბებიდან მომწამვლელმა ქიმიურმა ნივთიერებებმაც დაიწყოს გამოჟონვა. ადგილობრივი მოსახლეობა კარგა ხანია, რაც მომატებულ თავის ტკივილს, არტერიულ წნევას და სიმსივნის შემთხვევების გახშირებას უჩივის. საქართველოს ხელისუფლებამ ბომბების ქვეყნის გარეთ გატანა რამდენჯერმე სცადა. მათი გადამუშავებით ჯერ უკრაინა, შემდეგ კი ევროპის ერთ-ერთი ყოფილი სოციალისტური ქვეყანა გახლდათ დაინტერესებული. თუმცა, საქმე ბოლომდე არც ერთხელ არ მისულა. მიუხედავად ასეთი საშიშროებისა, აფხაზეთიდან დევნილმა რამდენიმე პირმა ფერადი ლითონის გულისთვის ბომბების დაშლა და გაძარცვა მოინდომა. როგორ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ ეს შეძლეს, თანაც - არაერთხელ.

4 აპრილს ნაწილის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ აფხაზეთის შს სამინისტროს ტრანსპორტის პოლიციის ათასეულის პოლიციელი გოჩა კვარაცხელია, ამავე სამინისტროს საპატრულო-საგუშაგოს პოლიციელი ჩაკვეტაძე და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები: თამაზ ცინაძე და ვიტალი ბეზუვლადნიკოვი. მათ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე განთავსებული ფრთოსანი რაკეტა სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით დაშალეს და შიგთავსიდან ფერადი ლითონის - პოლადიუმის შემცველი დეტალები ამოიღეს. ქურდებმა აღნიშნული დეტალების გატანა ნაწილის ტერიტორიიდანაც მოახერხეს. სამხედრო ნაწილის პირადმა შემადგენლობამ კი მხოლოდ ერთი მათგანი - ბეზუვლადნიკოვი დააკავა. მოგვიანებით, ბაღდათის პოლიციის მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ცინაძე და კვარაცხელიაც დააკავეს.

ბაღდათის პროკურორი ფურცელაძე აცხადებს, რომ დამნაშავეებმა ლოკატორულ რაკეტებსაც მოხსნეს ზედა ნაწილი, სადაც ეგრეთ წოდებული “ტვინია" განთავსებული. ექსპერტთა განმარტებით, საკმარისი იყო 10 სმ-ით დაბლა ჩაწევა და დეტონაცია გარდაუვალი იქნებოდა. როგორც გითხარით, აფეთქების შედეგად ბაზიდან 300 კოლომეტრის რადიუსში ყველაფერი მიწასთან გასწორდებოდა. თამამად შეიძლება თქმა, რომ ამ შემთხვევაში იმერეთის მოსახლეობა ტრაგედიას გადაურჩა.

ფაქტია, იმ ობიექტში, სადაც მოძველებული საავიაციო ბომბების უსაფრთხოდ შენახვის ზომები სრულად არ არის დაცული, ქართველი სამხედროები მათი ქურდებისგან დაცვასაც ვერ ახერხებენ. როგორც გამოძიებით ირკვევა, აღნიშნულმა პირებმა ანალოგიური დანაშაული თებერვალსა და მარტშიც ჩაიდინეს.

მკვლელობები ჩეჩნეთში: ოფიციალური დოკუმენტი რუსეთის არმიას ადანაშაულებს

გუშინ ფრანგული გაზეთის “ მონდის” ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩეჩნეთში რუსი სამხედროების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი საზარელი ძალადობის ფაქტების ამსახველი ოფიციალური დოკუმენტი. მცირე შემოკლებით გთავაზობთ “ მონდის” სტატიას.

სოფიკო ჩხაიძე

ეს დოკუმენტი, რომელიც პირწმინდად აქარწყლებს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ჩეჩნეთში სიტუაცია ნორმალიზდება, მოსკოვის მიერ ჩეჩნეთში დასმული პრორუსული მთავრობისგან მომდინარეობს. დოკუმენტში აღნუსხულია საზარელი მონაცემები იმ ძალადობისა, რომელიც კავკასიის ამ კუთხეშია გამეფებული, სადაც აგერ უკვე სამწელიწადნახევარია, რაც 100 ათასამდე რუსი ჯარისკაცი კრემლის მიერ ორგანიზებულ “კონტრტერორისტულ ოპერაციას” ატარებს.

ეს მოხსენება, რომლის ასლიც “მონდს” ჩაუვარდა ხელში, მარტის ბოლოს გადაეცა რუსეთის ფედერალური ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს და თავად ვლადიმირ პუტინს. მიუხედავად ამისა, ჩეჩნეთის საკითხებში კრემლის პრესმდივნის სერგეი იასტრჟემბსკის ხელქვეითებმა ჩვენს შეკითხვაზე განაცხადეს, რომ ამის თაობაზე არაფერი იციან; თუმცა, ვერც იმას უარყოფენ, რომ მსგავსი დოკუმენტი პრეზიდენტთან შეიძლებოდა მათი გვერდის ავლით მოხვედრილიყო.

დოკუმენტი 30 გვერდიანია და წარმოადგენს ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მომხდარი დანაშაულების ოფიციალურად აღნუსხვის პირველ მცდელობას. ქვეთავში - “ინფორმაცია 2002 წელს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობების შესახებ” –ნათქვამია, რომ მხოლოდ საანგარიშო წელს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე 1314 მშვიდობიანი მოსახლეა მოკლული. ამასთან, საუბარია არა შეიარაღებული შეტაკებების, საარტილერიო დარტყმების ან დაბომბვების შედეგად ადამიანების დაღუპვაზე, არამედ სიკვდილით მასობრივ დასჯაზე. ამ დოკუმენტის მიხედვით, ყოველთვიურად მკვლელობის მსხვერპლი საშუალოდ 109 ჩეჩენი ხდება.

მოხსენებაში ასევე აღიარებულია მრავალრიცხოვანი მასობრივი სამარხების არსებობა. ჩეჩნეთის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, ჩამოთვლილია 49 დასახლებული პუნქტი და მითითებულია იქ მიგნებული ორმოებიდან ამოთხრილ გვამთა რაოდენობა.

ერთ-ერთ ასეთ სამარხში, რომელსაც “გროზნოს ცენტრალურ სასაფლაოზე” მიაკვლიეს, 260 გვამი აღმოჩნდა, ხანკალის მახლობლად მდებარე სააგარაკე დაბაში – 43, სოფელ ალხან-კალაში – 35 და ასე შემდეგ.

ეს დოკუმენტი 2003 წლის თებერვალშია შედგენილი და ამ დროისთვის საერთო საფლავებში მთლიანობაში 2879 გვამი იქნა აღმოჩენილი. ასე გაჩნდა რუსეთის ბიუროკრატიულ დოკუმენტებში ადამიანთა მასობრივი სამარხების ცნება.

ამ მოხსენებაშივე ჩამოთვლილია მშვიდობიანი ჩეჩნების ათობით მკვლელობა, ძალადობის ნიშნების მქონე გვამების აღმოჩენა, სხეულის ნაწილების პოვნა (გაკოჭილ ჩეჩნებს ასაფეთქებელი ნივთიერების საშუალებითაც ხოცავენ – ამ ხერხს ხშირად მიმართავენ რუსი ჯარისკაცები), გატაცებები, წამება და ცემა. მოხსენებაში ჯერ დასახელებულია დანაშაული, მერე მისი მსხვერპლი და შემთხვევის ადგილი, ბოლოს კი დანაშაულის ჩადენის მომენტში იქვე მდგარი ჯავშანტექნიკის რაოდენობა. შესაძლოა, ეს დეტალი ვინმეს უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ეს ადასტურებს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში რუსეთის ჯარების მონაწილეობას.

დასასრულს, დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ წლევანდელი წლის დასაწყისს არავითარი შვება არ მოუტანია ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. ცხრილში, სადაც მოცემულია შედარებითი სურათი 2003 წლის პირველ სამ თვეში მომხდარი მძიმე დანაშაულებისა, დაფიქსირებულია: 70 მკვლელობა, 126 გატაცება, 19 უგზოუკვლოდ დაკარგვის ფაქტი, ორი გაუპატიურება და ადამიანის სხეულის ნაწილების აღმოჩენის 25 შემთხვევა.

” მონდი” სვამს კითხვას: რა მიზნით შეიქმნა ეს დოკუმენტი? ამის თაობაზე რამდენიმე ვერსიაა გავრცელებული. თუმცა, უფრო სარწმუნო ის გახლავთ, რომ ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა ახმედ კადიროვმა, რომელსაც ასლან მასხადოვის ადგილის დაკავება სურს, გააცნობიერა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დამნაშავეობა კიდევ უფრო არყევს მის ისედაც არამყარ პოზიციებს და ამ გზით აიძულა ცენტრალური ხელისუფლება, ჯარისკაცების საქციელზე დაფიქრდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ადგილებზე მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შედგენილი დოკუმენტი მთლიანობაში უარყოფს რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ განცხადებებს. “დიახ, - ნათქვამია, დოკუმენტში – რუსეთის არმია ჩადის სამხედრო დანაშაულს; დიახ, ჩეჩნეთი ის ტერიტორიაა, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადამიანთა მასობრივი სამარხებია. არაფერი სასიკეთო უკანასკნელ თვეებში იქ არ მომხდარა. თუმცა, რუსეთის ხელისუფლება ამჯობინებს, დუმილი შეინარჩუნოს იმის თაობაზე, რაც სინამდვილეში ხდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისთვის დახურულ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე.”

მოკლედ

თბილისი. ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქის დაყაჩაღებისათვის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ოცი წლის გიორგი ყიფიანი დააკავეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, პოლიციამ დაადგინა, რომ ყიფიანმა და ამჟამად ძებნაში მყოფმა, 21 წლის გიორგი იმნაძემ თბილისში დროებით მცხოვრებ ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქეს, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ფონდის კონსულტანტს, 40 წლის სტეფან სპილგერს მობილური ტელეფონი გასტაცეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის იზოლატორიდან გაქცეული პატიმრების კოდორის ხეობაში ყოფნას, ქართულ მხარესთან ერთად, ოფიციალური სოხუმიც გამორიცხავს. კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ემზარ კვიციანის განცხადებით, იგი ოფიციალური სოხუმის წარმომადგენლებს ესაუბრა და კოდორის ხეობაში გაქცეული პატიმრების ყოფნა აფხაზურმა მხარემ მასთან საუბარში გამორიცხა. "ოფიციალური სოხუმის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 7 აპრილს პატიმრები მათმა ხელისშემწყობებმა გამოიყვანეს, ჩასვეს მანქანაში და ზუგდიდის მიმართულებით წაიყვანეს," - აღნიშნა კვიციანმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების საპასპორტო-სავიზო ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს დეზერტირობისთვის ძებნილი რუბენ ჟამკოჩიანი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ძარცვის ბრალდებით რამდენიმე დღის წინ დაკავებული მალხაზ გიორგაძე და დავით გაბაიძე, რომლებიც მე-5 საპყრობილეში გადაიყვანეს, აცხადებენ, რომ პოლიციაში სცემეს. გიორგაძეს აღენიშნება სისხლნაღვენთი მარჯვენა ყურზე, ხოლო გიორგაძეს ექსკორაციები მარჯვენა წვივზე. მალხაზ გიორგაძე და დავით გაბაიძე დააკავეს საკუთარ ძმებთან - გრიგოლ გიორგაძესა და შოთა გაბაიძესთან ერთად. ბრალდების თანახმად, მათ 10-მდე მოქალაქე გაძარცვეს 7-დან 9 აპრილამდე, თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩასა და „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 17 წლის პატიმარი ნოდარ სვანიძე, რომელიც პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორიდან თბილისის მე-5 საპყრობილეში გადაიყვანეს, აცხადებს, რომ პოლიციაში სცემეს. სვანიძე ძარცვის ბრალდებით დააკავეს. ექსპერტის ცნობის თანახმად, მას დაზიანება მიყენებული აქვს მარჯვენა წვივზე.

სხეულის დაზიანება აქვს 25 წლის ბონდო ქენქაძესაც, რომელიც ასევე ძარცვის მუხლით დააპატიმრეს. ქენქაძეს შესიებულ-შეწითლებული აქვს მარჯვენა ხელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 20 აპრილს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ჩატარდება კონკურსი თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებებში 25 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობას მიიღებს ის 53 პირი, რომლებმაც განცხადება შეიტანეს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში. კონკურსანტებმა უნდა ჩააბარონ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონი“, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონი“, „ნორმატიული აქტების შესახებ კანონი“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და „სამოქალაქო კოდექსის“ მე-5 კარი (საოჯახო სამართალი). **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ამ კვირაში სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის ადვოკატები თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც ომბუდსმენს მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიასათვის ბოდიშის მოხდა დაევალა. სახალხო დამცველი ბოდიშის მოხდას არ აპირებს და საოლქო სასამართლოში გამარჯვების იმედი აქვს. **მედია-ნიუსი**

კმარა! ავმოძრავდეთ!

სტუდენტთა მსვლელობა კანცელარიის მისადგომებთან პოლიციამ შეაფერხა.

პირველი გვერდიდან

"ექსკურსიაზე გამსვლელ" პოლიციელთა კიდევ ერთი ჯგუფი სტუდენტებს ჩიტაძის კუთხეში დაუხვდა. სამართალდამცავებმა კანცელარიის მისადგომი "საექსკურსიო" ავტობუსით გადაკეტეს და სტუდენტებს მთავრობასთან ახლოს მისასვლელი გზები მოუჭრეს. პოლიციელთა კორდონის დაძლევა მაინც მოხერხდა.

სასტვენებით, რუპორებით და ტრანსპარანტებით შეიარაღებული სტუდენტობა იმ შენობას მიადგა, სადაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი საქართველოს ბედს წყვეტენ. კანცელარიის ფანჯრებიდან ერთი-ორი აღშფოთებული სახე გამოჩნდა. გასაგებიცაა, ე.წ. ხავერდოვანი რევოლუცია არც ისე შორეული წარსულია. სტუდენტების ხელით "დაჯღაბნილი" ტრანსპარანტებისა კი, განსაკუთრებით ძალოვან მინისტრებს ეშინიათ. შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის აქციაზე მობრძანება, ალბათ, ამის ბრალი იყო. მინისტრმა სტუდენტებს კაბინეტში "ცივილიზებულად მოლაპარაკება" შესთავაზა.

- ბატონო მინისტრო, თუ საიდუმლო არ არის, რამდენი გაქვთ ხელფასი? – იკითხა ერთმა სტუდენტმა.

- ორასი ლარი, - არ დაიბნა ნარჩემაშვილი.

- ჰოდა, ჩვენი დღევანდელი აქციის მიზანიც ის არის, რომ თქვენ გაცილებით მეტი ხელფასი გქონდეთ, იმდენი, რამდენსაც ნორმალური ქვეყნის მინისტრები ღებულობენ...

არ ვიცი, ხელფასის მომატების იმედით, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, მაგრამ ფაქტია, რომ კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორია სტუდენტებმა უფრო ადრე დატოვეს, ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრმა. მინისტრი კარგა ხანს იდგა სტუდენტების გარემოცვაში და შემდეგ ასეთი დასკვნა გამოიტანა: **"რა თქმა უნდა, ეს აქცია მართულია გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ, ჩვენ გვაქვს ამის შესახებ ინფორმაცია. კონკრეტულად, რომელი ძალაა - მაგას არ გეტყვით."** ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" პერსონაჟებით მორთული დროშის დაწვის, ტრანსპარანტებზე საკუთარი ხელის ანაბეჭდების დატოვების შემდეგ, სტუდენტებმა გამაფრთხილებელი აქცია დახურულად გამოაცხადეს. **"ჩვენ აუცილებლად მოვალთ კიდევ. კმარა! მართლა კმარა, ნუთუ არ გესმით! ჩვენ ადვილად არ გავჩერდებით, იმას მაინც შევძლებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კანონიერი არჩევნები შემოდგომაზეც არ გვეღირსება... ამას ის ნაგვის ბლოკი მოწმობს, რომელიც შევარდნაძემ ჩამოაყალიბა და რომელსაც "ახალი საქართველოსთვის" დაარქვა,"** – ეს სტუდენტთა საერთო აზრია. გუშინდელი აქცია 14 აპრილს საგანგებოდ დაამთხვიეს, რადგან "ენა, მამული, სარწმუნეობისთვის" ბრძოლა და შევარდნაძის წინააღმდეგ გალაშქრება მათთვის ერთი და იგივეა.

ცეცხლს გადარჩენილი საბჭოთა საქართველოს დროშები სტუდენტებმა კანცელარიის მიმართულებით ისროლეს სიტყვებით - "ეს ამათ უფრო გამოადგებათო," და მომავალ აქციამდე დაიშალნენ.

სტუდენტების დაშლა ყველაზე მეტად აქციის უხუცეს მონაწილეს ბატონ შევარდნაძეს ეწყინა. ბატონი შევარდნაძე თოთხმეტლარიან პენსიაზე ცხოვრობს, ავადმყოფი კაცია და წამლებიც ბევრი სჭირდება, მაგრამ ორმოცდაათწლიანი სტაჟისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა მხოლოდ ვალიდოლზე ჰყოფნის, რომელიც სულ გულის ჯიბით დააქვს. მას 1978 წლის 14 აპრილის სტუდენტური მიტინგიც კარგად ახსოვს.

"რატომ დაიშალნენ ახალგაზრდები, ბარემ შეიკრან ერთ მუშტად და გადააგდონ ეს მთავრობა, აღარ შემიძლია, გავთავდი კაცი ამ მთავრობის ხელში," – გვეუბნება იგი და თვალზე ცრემლი უბრწყინავს. გუშინ გიორგი შევარდნაძე კანცელარიასთან სულ სხვა მიზეზით მოხვდა, იგი **"ბანკში ადრე შენახულ ფულს დასდევს,"** თუმცა დანაზოგი ჟღერადმა გვარმაც ვერ დაუბრუნა.

"იმედი, რა თქმა უნდა, მაქვს, შვილო. იმედი ღმერთმა ნუ მომიშალოს. ეგენი დამიბრუნებენ, ამათი იმედი მაქვს," – ამბობს ბატონი გიორგი და კანცელარიასთან შემორჩენილ რამდენიმე სტუდენტზე მიუთითებს.

კანცელარიასთან აქციის მონაწილეებმა დროშები დაწვეს.

ტელეკაზინოს გათამაშების შედეგები 14⁵⁰ - 27 19⁵⁰ - 19 22⁴⁵ - 28

თამაშის წესები

ტელეკაზინოში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ მაგთისა და ჯეოსელის აბონენტებს.

აკრიფეთ 8 07 07, შემდეგ დასადები თანხის შესაბამისად აკრიფეთ რომელიმე რიცხვი 1-დან 5-მდე, ბოლოს თქვენ მიერ არჩეული ფსონის დასადები ადგილის შესაბამისად აკრიფეთ რომელიმე რიცხვი 00-დან 36-მდე.

მაგალითად, თუ თქვენ აკრიფეთ 8 07 07 312, ე.ი. თქვენ დადეთ 3 ლარი 12-ზე. დარეკვა შესაძლებელია წინა ტირაჟის დამთავრებისთანავე და შეწყდება მორიგი ტირაჟის დაწყებისას.

მოგებული გამოვლინდება "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში რულეტის დატრიალებით 14.50, 19.50 და 22.45 საათებზე.

თუ თქვენ მოიგებთ, მოგებული თანხა თხუთმეტკვირ მეტია დადებულ თანხაზე.

თანხის მისაღებად მობრძანდით რუსთაველის 31-ში ტელეკაზინოს ანგარიშწორების ცენტრში 10:00-18:00. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ტელეფონი, რომლიდანაც გაკეთდა ზარი.

თქვენ მიერ მოგებული სრული თანხის გასაგებად დარეკეთ 822 20 07 07.

თქვენი მოგებული თანხის მობილური ტელეფონის ბალანსზე გადასატანად დარეკეთ 822 20 07 08.

ინფორმაციისთვის დარეკეთ 09 ან 8-22-09.

გამარჯვებული მოთამაშეები მონაწილეობას მიიღებენ 10 000 ლარის გათამაშებაში, რომელიც გაიმართება ყოველ კვირას.

10 000 ლარის მოგების შანსი იზრდება კვირის განმავლობაში მოგებული თანხის პროპორციულად.

ახალი თამაში რუსთავი-2-ის ეთერში

ტელეკაზინო

14.50, 19.50 და 22.45 საათებზე

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ

სხვაგვარად შედეგები კატასტროფული იქნება

გიორგი კანდელაკი

თეა თუთბერიძე

გოგა ონიანი

ფოტოები გაზეთის არქივიდან

სწორედ 25 წლის წინ, 1978 წლის აპრილში გაირკვა, რისი ეშინია სახელმწიფო მანქანას. სახელმწიფოს ეშინია სახალხო გამოსვლების და სტუდენტების...

დღეს სტუდენტობა რომ, მართლაც, საფრთხეა ხელისუფლებისთვის, ცხადზე უცხადესია. მათ გაცილებით ბევრი იციან, ვიდრე 25 წლის წინანდელმა თანატოლებმა. რეჟიმი ისევე არ მოსწონთ, როგორც 25 წლის წინ, სათავეშიც იგივე ადამიანია, ვინც მაშინ, კორუფცია ისევ ზეობს... ამ ორ ეპოქას ერთი რამ განასხვავებდა - სტუდენტს სწამდა, რომ "ცოდნის თეთრ ტაძარში" ეუფლებოდა ცოდნას და კიდევ ის, რომ... დღეს, ისე, როგორც 25 წლის წინ - შევარდნაძე მათთან ვეღარ ჩამოვა.

გუშინ გამართულ სტუდენტურ აქციას "კმარა" ერქვა. როგორც ისინი აცხადებენ - კმარა ყველა. მათთვის ყველა ოდიოზურ ფიგურად გადაიქცა. იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხეს ეს დღევანდელმა პოლიტიკოსებმა, საუბრობენ თსუ იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი გოგა ონიანი, მეოთხე კურსის სტუდენტი გიორგი კანდელაკი და მესამე კურსის სტუდენტი - თეა თუთბერიძე.

მაია ჭალაბანიძე

- ატარებდა თუ არა 14 აპრილს გამართული სტუდენტური აქცია მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს და რა იყო ის ბოლო წვეთი, რამაც აქამდე მიგიყვანათ?

გოგა: ყველაზე მარტივად ამ კითხვას ვუპასუხებთ.

საქართველოში არც ერთი მოწესრიგებული სფერო არ არსებობს. საზოგადოება ვერც იმას ხედავს, რომ ვინმე პრობლემების მოგვარებას ცდილობდეს. ხვალ-ზეგ დავამთავრებთ უნივერსიტეტს, შრომის ბაზარზე გამოსვლა და საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობა მოგვიწევს. ეს ბაზარი - მკვდარია. ცოდნას მნიშვნელობა არ აქვს. ეს ბაზარი მხოლოდ ისეთი ადამიანებისთვის არის, ვისი ბიძაც არის ჩხაიძე ან მამალაძე და ა.შ.

ბოლო წვეთი სახელისუფლო ბლოკის შექმნა იყო. ხელისუფლება ისევ ცდილობს, შეაგროვოს, ბოდიში და, ნაგავი, რომელიც აქამდე ერთმანეთთან მაინც არ იყო დაკავშირებული. ახლა ეს დააკავშირეს და ცოტა ხანში, ალბათ, გარკვეულ ძალად იქცევა...

შევარდნაძე, ჯორბენაძე, რჩეულიშვილი, მამალაძე, ხაზარაძე, აკაკი ჩხაიძე - ეს ის ხალხია, ვინც ცდილობს, რომ დღეს ერთად შეიკრას, ჩვენი ხმები გააყალბოს და აჩვენოს საზოგადოებას, რომ არჩევნებს ფულის ტომრები იგებენ. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ხალხი ვის აირჩევს. ასეთ ვითარებაში, სტუდენტს სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ გამოვიდეს და ასეთი, მათთვის მიუღებელი ფორმით გამოხატოს პროტესტი.

თეა: კარგა ხანია, ჩვენი მოთმინება აივსო. სტუდენტთა ქუჩაში გამოსვლის საფუძველი ჩვენს ხელისუფლებას არაერთხელ მოუცია. სტუდენტების გარკვეული ნაწილი პასიურად არის განწყობილი. ბევრი ამბობს, ეს ხელისუფლება არ მოგვწონს, მაგრამ დღეს რომ აქციაზე გავიდე, ხვალ შეიძლება უბანში ვიღაცამ დამცინოსო. ეს პოსტსაბჭოთა გადმონაშთია...

- თქვენ ხომ მაინც არ გიცხოვრიათ საბჭოეთში?

- რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი მშობლები იმ პერიოდში აღიზარდნენ. თუმცა, რომ არ ყოფილიყვნენ მაშინდელი სტუდენტები, დღეს, ალბათ, ქართულად ვერ ვისაუბრებდით.

- ხელისუფლებასთან სხვა ფორმებით ურთიერთობის დამყარება არ გიცდიათ?

გოგა: დიახ, გვქონდა. ჯერ აქტიურად არც ერთი პარტია არ მუშაობდა და არც პარლამენტში იდგა ეს საკითხი (სახელფასო მინიმუმს ვგულისხმობ). მაშინ ღია წერილით მივმართეთ ხელისუფლებას. ასევე მოვიქეცით კოდორის დაბომბვის დროსაც. რა თქმა უნდა, ეს ღია წერილები არავის წაუკითხავს და, შესაბამისად, არც რეაგირება მომხდარა.

ჩვენ, აქტიური სტუდენტები, ნოემბრის აქციების შემდეგ არ დავშლილვართ. ერთმანეთთან ვკონტაქტობდით, დავმეგობრდით და გარშემო ის ხალხი შემოვიკრიბეთ, ვინც ფიქრობს, რომ მომავალი თავისით უნდა გაიკვალოს. დღეს ამაზე სხვა არავინ ზრუნავს.

ჩვეულებრივი სტუდენტები ვართ. ჩვენს უკან არანაირი პოლიტიკური ძალა არ დგას. ბევრი ჟურნალისტი გვეკითხება, ვინ დგას თქვენს უკანო. ერთს ვუპასუხე - ნუგზარი-მეთქი, მამაჩემი ვიგულისხმე. მართლაც, ჩვენი მშობლები მორალურად გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ ის საქმე ვაკეთოთ, რაც საჭიროდ მიგვაჩნია.

- ნოემბრის აქციებზე ეს ვერ მოახერხეს, მაგრამ, ალბათ, არის საშიშროება, პოლიტიკურმა ძალებმა თქვენი მოძრაობა ბოროტად გამოიყენონ.

- წარსული აქციების გაკვეთილების გათვალისწინებით, ყველანი ვცდილობთ, ეს და სხვა აქციები კარგად დავგეგმოთ. ისე, როგორც არასდროს.

გიორგი: ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ ჩაიგდებს ხელში ჩვენს მეგაფონს. არც ერთი პოლიტიკური ძალის დროშა არ გამოჩნდება. შეიძლება, გამოჩნდნენ ახალგაზრდა აქტივისტები, მოვიდნენ, როგორც მოქალაქენი და საკუთარ აზრი გამოთქვან. ამას ჩვენ ვერ დავუშლით.

ჩვენს ახლანდელ კამპანიას ნოემბრის აქციებზე ნასწავლი გაკვეთილებით ვაგებთ. ვითვალისწინებთ სხვა აქციებზე დაშვებულ შეცდომებს, რათა ეს შეცდომები არ გავიმეოროთ. იმ აქტიურობაში დიდი ადგილი უჭირავს სერბიის სტუდენტური მოძრაობის - "ოტპორი"-ს გამოცდილებასა და მეთოდოლოგიას. სწორედ ამ მოძრაობით ჩამოაგდეს მილოშევიჩი და ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს.

- რით მიგიზიდათ სერბიელი სტუდენტების მეთოდებმა?

გოგა: მათ შეზღუდული რესურსებით, უბრალოდ, ტვინით მიაღწიეს ამ შედეგს.

- რას არ გაითვალისწინებთ 1980-1990-იანი წლების საქართველოში არსებული სტუდენტური მოძრაობიდან. რა იქნებოდა თქვენთვის ცუდი მაგალითი?

გოგა: არაორგანიზებულობა, მოწყვლადობა - ხელისუფლებამ ადვილად მოახერხა მოძრაობაში დისონანსის შეტანა. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ჩვენი აქცია იქნება ბევრად უფრო ორგანიზებული და ორიგინალური, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ის არ ემსგავსება აქამდე არსებულ სხვა კამპანიებს.

თეა: რაც შეეხება სერბიის გამოცდილებას - ძალიან კარგი იქნება, თუ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, უზრუნველყოფას მოვახერხებთ..

გიორგი: ჩვენს აქციას ერქვა - "კმარა" - კმარა ჩვენს მაგივრად არჩევანის გაკეთება.

თეა: ჩვენ აღარ მივცემთ ხელისუფლებას იმის გაკეთების საშუალებას, რაც მათ აქამდე გაუკეთებიათ. საქართველოში ხალხმა ერთხელ მაინც თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

- არჩევნებისთვის რისი გაკეთება შეგიძლიათ?

თეა: შეგვიძლია ვიყოთ დამკვირვებლები. სტუდენტობა დიდი ძალაა.

გიორგი: მოთმინების ფიალის ავსებას ორგვარი მიზეზი ჰქონდა: თვალს ვადევნებთ კორუმპირებული, ამაზრზენი ბლოკის ფორმირებას, რომელსაც ხელისუფლების შენარჩუნება სურს და ახალს ვერაფერს გვთავაზობს. ამ ბლოკის ნებისმიერი წევრი ასოცირდება კორუფციასთან - ისინი კმარა. ამ პროცესს ჩვენ საფრთხედ აღვიქვამთ. და მეორე მიზეზი: 24 აპრილს დანიშნული უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები.

უნივერსიტეტს ჰქონდა წესდება, სადაც ეწერა, რომ რექტორი ორი ვადით შეიძლება იყოს არჩეული. ბატონმა როინ მეტრეველმა (რა თქმა უნდა, პრეზიდენტის თანხმობით) წესდება შეცვალა, ეს მუხლი ამოაღებინა და მესამე ვადით აპირებს კენჭისყრას. რა თქმა უნდა, ამ თანამდებობაზე მას კონკურენტი არ ჰყავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ ექვსი წლით დაგვასვან თავზე ცეკას მდივანი.

- თუკი უნივერსიტეტში სახელმწიფოს კორუმპირებული მოდელი არსებობს, რატომ ჯერ ადილზე არ გადაწყვეტთ პრობლემებს და შემდეგ დაუპირისპირდებით ხელისუფლებას?

თეა: სტუდენტის უპირველესი ინტერესი სწავლაა. მაგრამ, მე რომ მხოლოდ ვისწავლო და ის აქტივობა არ გამოვამჟღავნო, რასაც ჩვენი ქვეყანა ითხოვს - ცოდნა არაფერში გამოგვადგება.

გიორგი: ბატონი როინის მიერ ხელისუფლების მხარდაჭერით გაწეული "მუშაობის" შედეგად, უნივერსიტეტი - გარდაიცვალა, არნახულად აღზევდა კორუფცია. არაპლურალისტური გარემო შეიქმნა სასწავლო პროცესში. ძალიან ბევრმა კარგმა ლექტორმა იძულებით ან ნებით დატოვა უნივერსიტეტი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს უნივერსიტეტი ფუჭ განათლებას იძლევა. კურსდამთავრებულთა მხოლოდ 3 პროცენტი თუ დასაქმდება, მაშინ, როცა დამთავრების პირველსავე წელს "იესემი"-ს სტუდენტთა 98 პროცენტი იწყებს მუშაობას და მათი ხელფასი, ჩვენს რთულ და ღარიბ შრომით ბაზარზე - 300 დოლარია. ამის მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის მიუხედავად, თსუ-ს სტუდენტებმა ის განათლება მიიღეს, რომელსაც ვერსად გაყიდიან. ეს განათლება არ ვარგა, არ იყიდება, არაკონკურენტუნარიანია.

თეა: მძიმე ვითარებაა. დღეს უნივერსიტეტს, მართლაც, ვერ დაარქმევ "თეთრ ტაძარს", "ცოდნის ტაძარს".

ხელისუფლებასთან და რექტორატთან სხვა ფორმებით ურთიერთობა არაერთხელ ვცადეთ, მაგრამ ეს ფუჭი აღმოჩნდა. უნივერსიტეტში არაფერი იცვლება... 90 პროცენტი არ არის იმის ღირსი, რომ სტუდენტი ერქვას...

- ახლა, თქვენვე უპირისპირდებით მათ...

- სხვაგვარად არ გამოვა. ეს მათი ბრალი არ არის. ეს რექტორატის ბრალია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქრთამის აღებაზე ფიქრობს.

- თქვენი, თუნდაც სამართლიანი მოთხოვნები, ისევ სტუდენტთა, თქვენ თანატოლთა ინტერესების შემლახველი და შეურაცხმყოფელი არ არის?

თეა: ჩვენი რეფორმისტული მოთხოვნების განხორციელება სისტემის შეცვლას გულისხმობს. ადმინისტრაციისთვის და ამგვარი ტიპის სტუდენტებისთვის კი - ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს.

გიორგი: იმ განათლების სისტემაში, იმ უნივერსიტეტში, რომელშიც ჩვენ გვინდა, ასეთი სტუდენტების ადგილი არ არის. მეტსაც გეტყვით - იქ დღევანდელ ლექტორთა უმეტესობის ადგილიც არ არის.

ჩვენ არ ვიგონებთ ველოსიპედს. განათლების წარმატებული რეფორმების შედეგია აღმოსავლეთ ევროპის განათლების სისტემა.

სტუდენტებს შორის გამოკითხვა ჩავატარეთ, სადაც 200 ყველაზე კორუმპირებული ლექტორი გამოვლინდა. პატარა ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებისას აღმოვაჩინეთ, რომ ზოგიერთ ლექტორს ე.წ. "წახალისების ფონდიდან" დამატებით, ხელფასის 1000 პროცენტს აძლევენ. ვერ გავიგე, რა ნიშნით ირჩევიან ლექტორები. რატომ აძლევენ, ვთქვათ, ვალიკო მეტრეველს, რომელიც კორუმპირებულთა სიაში პირველ ნომრად გავიდა და რატომ არ აძლევდნენ გივი ჟორდანიას, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა... რატომ წავიდნენ უნივერსიტეტიდან არაჩვეულებრივი ლექტორები - ალექსანდრე რონდელი, გიგი თევზაძე, გია ნოდია, ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც მარტო იმიტომ გაუშვეს, რომ "60 წუთში" უნივერსიტეტში არსებულ კორუფციაზე ისაუბრა. ასევე გაუშვეს ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის დოქტორი ჰანს ვუდფროდი, რომელმაც ხმამაღლა თქვა, რომ ასეთ უნივერსიტეტში თვით პლატონიცა და არისტოტელეც ვერ შეძლებდნენ მასწავლებლობასო...

- როგორ ფიქრობთ, თქვენ რა გელით?

თეა: არ ვიცი. შეიძლება, ჩვენც აღარ ვიყოთ სტუდენტები. მაგრამ ასე ერთი ხელის დაკვრით ვერ დაგვჩაგრავენ.

- კარგად სწავლობთ?

გიორგი: ცოდნაც აღარ არის საკმარისი. აქ რომ ვსწავლობდი, მოწინავე სტუდენტი ვიყავი, ფრიადოსანი და ა.შ. ამერიკაში ჩავედი სასწავლებლად და იქ საშუალოზე ცუდი აღმოვჩნდი.

- ამ აქციებით რისი მიღწევა გსურთ?

თეა: ნამდვილად მაქვს იმის იმედი, რომ ამ ქვეყანაში რაღაცის შეცვლას შევძლებთ.

- თუ გრძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რასაც თავზე იღებთ?

თეა: ამას არამხოლოდ ახლა - ოქტომბერ-ნოემბრის აქციებიდან მოყოლებული ვგრძნობ. ეს გრძნობა მკარნახობს იმას, რომ ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ. ჩვენი გაჩერებით გამოწვეული შედეგები კატასტროფული იქნება.

ჩვენ, სტუდენტებმა უნდა ამოვიღოთ ხმა. არ მაქვს იმის ილუზია, რომ ახალ პოლიტიკოსს გამოვჩეკავთ, ან ხვალვე გამოჩნდება ვინმე, ვინც ამათზე უკეთესია. ჩვენ უნდა ვაიძულოთ პოლიტიკოსები, რომ იბრძოლონ არა თავიანთი ტყავისა და სკამების, არამედ - ქვეყნის გადასარჩენად.

- რამდენად დიდია უფსკრული თქვენსა და ხელისუფლებას შორის?

გიორგი: ჩემი აზრით, იმ სახელმწიფოში, სადაც ცხოვრება გვინდა, მათი - შევარდნაძის, ჩხაიძის, რჩეულიშვილის, მამალაძის, ხაზარაძის ადგილი არ არის.

- და არ არსებობს ნაბიჯი, რომელსაც ისინი თქვენსკენ გადმოდგამენ და თქვენ მათკენ?

თეა: ეს ნაბიჯი მათ შეიძლება გადადგან, მაგრამ არა ჩვენსკენ, არამედ - წასვლისკენ. ამ ქვეყანაში მათი დრო, კარგა ხანია, ამოიწურა.

გიორგი: მიკვირს, რა ნამუსით ამბობენ სიტყვა "სახელმწიფოს". იმას, რაშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სახელმწიფოს ვერ ვუწოდებთ. დღეს ჩვენმა პოლიციამ ხელი ასწია სტუდენტებზე...

- წინა აქციებისას სტუდენტებს შორის დაპირისპირება არსებობდა. ახლა თუ გამოიმუშავეთ ამის საწინააღმდეგო იმუნიტეტი?

გიორგი: დებატებში არ ჩავერევით. მათთან კონტაქტი დაპირისპირებას ნიშნავს.

თეა: სტუდენტთა ეს ჯგუფი თავისი ნებით არა, მაგრამ იძულებით კი გამოხატავს ხელისუფლების პოზიციას.

- ვინ აიძულებთ?

თეა: სტუდკავშირი, რომელიც რექტორატს ექვემდებარება. რექტორატი კი ხელისუფლების წარმომადგენელია. როდესაც "60 წუთის" გამოძიებას ვაწარმოებდით, რამდენიმე სტუდენტმა გვითხრა - ჩვენ გვავალებენ, რომ გამოვიდეთ და თქვენს წინააღმდეგ პრესკონფერენცია ჩავატაროთო... ნოემბრის დაპირისპირებაც ხელოვნურად შექმნილია. არც ერთი მათგანი არ ყოფილა აქციაზე, თვალითაც არ უნახავს, რა ხდებოდა იქ. მათ პრეზიდენტი შეხვდა და ეს სტუდენტები ჩვენთან დაპირისპირების იარაღად გამოიყენა.

- დღევანდელ აქციაზე საარჩევნო კანონის მიმართაც გქონდათ მოთხოვნები.

გიორგი: ჩვენი შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ საარჩევნო კანონის ცვლილებების მიხედვით პრეზიდენტი ნიშნავს ცესკო-ს 7 წევრს. ჩვენთვის უმთავრესი არის ის, რომ კანონი (ძველი, ახალი, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის) აღსრულებულ იქნას და თუ საზოგადოება ვიტალი ხაზარაძეს აირჩევს, იყოს ვიტალი ხაზარაძე.

თეა: თუკი ხელისუფლება ამის ნებას გამოიჩენს, არსებული კანონმდებლობითაც შეიძლება დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. დღეს ხელისუფლებას ამის სურვილი არ აქვს, რადგან სამართლიანი არჩევნები მათი ძალაუფლების დაკარგვას გულისხმობს.

- როგორ გგონიათ, ხელისუფლება არის საზოგადოების სარკე?

გოგა: არ მინდა, ასე ვიფიქრო.

- დღეს სტუდენტური დღეებიც დაიწყო. თქვენ იქ არ მიხვედით, ისინი თქვენს აქციაზე არ მოვიდნენ...

თეა: ეს კომუნისტური გადმონაშთებია. როგორც ვიცი, ამ კონცერტზე ბატონი ედუარდ შევარდნაძეა მიწვეული და მის გვერდით დგომის არანაირი სურვილი არ გამაჩნია.

გიორგი: სტუდენტური დღეების ჩატარება - ირონიაა. ეს არ არის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი ღონისძიება. ვფიქრობთ, ჩვენი აქციით უფრო გამოვხატავთ მათ ხსოვნას. 1921 წელს იუნკრები და 9 აპრილს ბავშვები იმიტომ არ დაღუპულან, რომ ყველაფერი ისევ ისე იყოს...

- დღეს თქვენს აქციაზე კობა ნარჩემაშვილი მოვიდა. რა საუბარი შედგა?

გიორგი: ძირითადად, 1921 წლის ისტორიას გვეკითხებოდა... მე კი ვკითხე - რამდენი გაქვთ ხელფასი-მეთქი? ას რაღაც ლარიო, მიპასუხა. ვუთხარი - ჩვენ კი გვინდა, ისეთ ქვეყანაში იცხოვროთ, სადაც 1000 და მეტი ლარი გექნებათ ჯამაგირი-მეთქი. ლიტვაში რიგით პოლიციელს ხელფასი 300 დოლარი აქვს. აი, იქ 1991 წელს ტყუილად არ დაღუპულან.

ვუთხარი - ბატონო კობა, იმ ხელისუფლების პირობებში, რომელსაც ჩვენგან იცავთ, არასდროს გექნებათ ხელფასი იმაზე მეტი, ვიდრე გაქვთ... ვერაფერი მიპასუხა...

თეა: პრორექტორი, პარმენ მარგველაშვილი გვეუბნება - დიახ, არის კორუფცია და მოდით, ერთად ვებრძოლოთო... ვის ვებრძოლო, მათზე მაღლა უნივერსიტეტში აღარავინ არის. როინ მეტრეველია, სწორედ, კორუფციის მანქანას რომ ატრიალებს.

- მალე უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები ჩატარდება. რას აპირებთ?

გიორგი: არჩევნებს ატარებს დიდი საბჭო, სადაც ბატონი როინის მიერ დანიშნული ხალხია. ჩვენ აქციით გამოვხატავთ პოზიციას.

- გუშინდელის მსგავს მსვლელობას მომავალშიც გეგმავთ?

თეა: მსგავსი აქციები კარგად ორგანიზებული იქნება და უფრო ხშირად გაიმართება, ვიდრე ამას ხელისუფლება ფიქრობს.

- ათიოდე წლის წინ თქვენსავით ანთებული სტუდენტობაც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა (და, სხვათა შორის, არანაკლები აქტივობითა და ძალებით). დღეს ისინი კარიერას კანცელარიაში და პარლამენტში განაგრძობენ. საკრებულოში ვხედავთ თქვენი ნოემბრის აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორსაც... არის ეს თქვენი გზა პოლიტიკისკენ?

თეა: დღეს ამაზე არ ვფიქრობ. თუმცა, არ ვიცი, რას მოიტანს მომავალი. დღეს ჩემს ადგილს ვხედავ იქ, სადაც ვდგავარ. ყოველ შემთხვევაში, თუ ასე გაგრძელდა, არც 10 წლის მერე ვიდგები ხელისუფლების გვერდით...

გიორგი: 10 წლის მერე - არა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ 5 წლის მერე დასავლეთის რომელიმე უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციას დავიცავ.

სტუდენტების ნაამბობი ერთი ანეკდოტი, რომელიც მათ ამერიკიდან დაბრუნებულმა იაპონელმა მეგობარმა უამბო: შევარდნაძესთან ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრი მიდის და ეუბნება

- ბატონო პრეზიდენტო, ორი ამბავი მაქვს - კარგი და ცუდი, რომლით დავიწყო?

*- **კარგით,** - პასუხობს.*

- გილოცავთ, ბატონო პრეზიდენტო, ისევ თქვენ აგირჩიეს...

- ო-ო-ო, ეს ,მართლაც, კარგი ამბავია. მეორე რაღაა?

- არავინ არ მოგცათ ხმა...

ირმა ნიორაძე - კლასიკური ბალერინა და Business-Woman

ნათია ვადაჭკორია

“ირმა ნიორაძე ჯადოსნური ჩიტია მბრძანებლის ავტორიტატული მანერით; ის, მართლაც, ფასკუნჯია და იგი მშვენიერია...” - წერდა ბალერინას მიერ შესრულებულ ფასკუნჯის პარტიაზე გაზეთი “ფაინენშელ თაიმსი”.

პეტერბურგის მარიას საბალეტო თეატრის სოლისტს, რუსეთის დამსახურებულ არტისტს, ბალეტის არტისტების საერთაშორისო კონკურსის (ჯეკსონში, აშშ) და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, “ღირსების ორდენის” კავალერს, რუსეთში ქალთა საზოგადოებრივი მიღწევების პრემიის, “ოლიმპიას” ლაურეატს სპეციალურ ნომინაციაში “რუსეთის საბალეტო სკოლის ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება” – ირმა ნიორაძეს შემოქმედებითი კარიერის დასაწყისში ბალეტის პროფესიონალები უწინასწარმეტყველებდნენ, რომ იგი ყველა იმ საჭირო თვისებას ფლობდა, რაც აუცილებელია ბალერინასთვის. მას ეფექტური იერი, ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები, უზარმაზარი ნაბიჯი, დინამიური ნახტომი და პოზის და კოორდინაციის შეგრძნება აქვს. მართალია, მისი ტექნიკა უნაკლოა, მაგრამ მხოლოდ ვირტუოზულობა არ განსაზღვრავს ბალერინას შემოქმედებას, ნიორაძის ცეკვის მანერას ახასიათებს პლასტიკურობა, ექსპრესიულობა და სიმსუბუქე.

რაიმონდას, ნიკიას, ჟიზელის, პრინცესა ავრორას, ოდეტა-ოდილიას, შეჰერეზადას, ფასკუნჯის, კარმენის და მანონის, მეხმენე ბანუს პარტიების შემსრულებელს, ირმა ნიორაძეს დაპყრობილი აქვს ისეთი ცნობილი სცენები, როგორებიცაა: მოსკოვის დიდი თეატრი, კოვენტ გარდენი, დედოფალ ელისაბედის დარბაზი (ლონდონი), მეტროპოლიტენ ოპერა თუ სხვა.

ცეკვისას მას შეუძლია იყოს ერთდროულად ნაზიც და ვნებიანიც, ძველმოდურიც და ამავე დროს, თანამედროვეც. ალბათ, ამ გარდასახვის უნარის და მაღალი პროფესიონალიზმის “ბრალია”, რომ სანკტ-პეტერბურგის დაარსებიდან 300 წლისთავის დამდეგს, ქორეოგრაფმა კირილ სიმონოვმა სპეციალურად ირმა ნიორაძისთვის დადგა ერთაქტიანი ბალეტი “მადამ ლიონელი”, სადაც ირმა მთავარ პარტიას ასრულებს.

ოდესმე თუ გინახავთ სცენაზე ბალერინა საქმიანი ქალის როლში, რომელიც თან ცეკვავს, თან მობილურზე საუბრობს, თან მოლაპარაკებებს აწარმოებს, ფაქსს იღებს და საღამოზე წასასვლელად ემზადება, შემდეგ კი სახლში ბრუნდება, სადაც ბავშვებს უკვე სძინავთ და ქმარი მოთმინებით ელოდება?! ალბათ, არა, ამგვარი სენსაცია კლასიკური ბალეტის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, მართალია, თანამედროვე “დანსი” ბევრი სიურპრიზებით არის დატვირთული, მაგრამ, კლასიკური ბალეტისთვის ამგვარი გარდასახვა ნამდვილად ახალია.

“მადამ ლიონელის” შემქმნელები ბალეტში გადმოსცემენ თავიანთ შეხედულებას თანამედროვე საქმიანი ქალბატონის ცხოვრებაზე, მის აჩქარებულ რიტმზე, რომელიც დროს არ ემორჩილება. თუმცა, მთავარი პარტიის შემსრულებლის ქალურობას ხაზს უსვამს ანტურაჟის, კოსტიუმების და, უპირველეს ყოვლისა, მოძრაობის პლასტიკა, რომელიც თავისუფალია და არ არის შებოჭილი პირობითობებით.

ბალეტის კოსტიუმებიც, დადგმის შინაარსიდან გამომდინარე, თანამედროვეა. “მადამ ლიონელის” დიზაინერი იგორ ჩაპურინი ამბობს, რომ ბედნიერია, რადგან საშუალება მიეცა მონაწილეობა მიეღო ახალი რიტმის, ახალი სულის, თანამედროვე ემოციებით აღსავსე ბალეტის შექმნასა და დაბადებაში.

კოსტიუმების შექმნისას ძირითადი ყურადღება ბალეტის პლასტიკურ მხარეს, ცეკვის და კოსტიუმების შერწყმას მიენიჭა. რაც შეეხება მუსიკას, იგი კომპოზიტორებს ჯონ ადამსს და გევინ ბრაიერსს ეკუთვნით.

საქმიანი ქალის როლი “მადამ ლიონელის” მთავარი პარტიის შემსრულებლისთვის მარტო ცეკვით არ არის ახლობელი: ირმა ნიორაძის რეალური ცროვრებაც ასეთია – დილით ადრე ადგომა, პეტერბურგის სანაპიროზე სირბილი, რამდენიმე საათიანი რეპეტიცია, შემდეგ სპექტაკლი, მუდმივი გასტროლები, საღამოები და სახლში მომლოდინე ორი წლის შვილი ნიკუშა და მეუღლე გოჩა ჩხაიძე (ქართული ღვინის მწარმოებელი, ფირმა “ასკანელი ძმების” ერთ-ერთი მფლობელი), რომელიც ცდილობს შეძლებისდაგვარად პარიზში თუ ლონდონში გასტროლების დროს ირმას თან ახლდეს და მას უგულშემატკივროს.

თავად ირმას აზრი ამ დადგმის თაობაზე ასეთია – **“ძალიან მომწონს მოდერნის სტილი, სადაც ბალერინას შეუძლია მოიპოვოს თავისი შტრიხი და ფერები. დიდხანს ვნატრობდი ისეთ დადგმაში მონაწილეობის მიღებას, სადაც შევძლებდი ბოლომდე გამომეხატა ჩემი ინდივიდუალობა”.** ხსენებულ დადგმას პრესტიჟული ჟურნალი ELLE-იც გამოეხმაურა, სადაც აღნიშნეს, რომ ამგვარი რამ, ცეკვის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

“მადამ ლიონელის” პრემიერა 1 აპრილს შედგა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიაში, იგი წარმოდგენილი იქნება გალა-კონცერტ – “რუსეთისა და მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები”-ს პირველ განყოფილებაშიც, ხოლო შემდგომ “მადამ ლიონელის” საერთაშორისო პრემიერა 7,8 მაისს ალბერტ-ჰოლის სცენაზე განხორციელდება, ოქტომბერში ირმა ნიორაძე მოსკოვს ეწვევა, ზაფხულში კი ბალერინა თბილისში ჩამოვა საქველმოქმედო წარმოდგენით.

საქმიანი ქალი.

ირმა ნიორაძე.

მუსიკა საზღვრებს გარეშე

დღეს კონსერვატორიაში საქართველოს კამერულ ორკესტრს მარკუს პოშნერი უდირიჟორებს

მადი სერებრიაკოვა

“ყველაზე რთულია მიაღწიო ჰარმონიასა და ბალანსს გულსა და გონებას შორის” – აღნიშნავს გერმანელი დირიჟორი მარკუს პოშნერი, რომელიც ქალაქ ინგოლშტატში მოღვაწე საქართველოს კამერულ ორკესტრთან ერთად დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართავს კონცერტს. პოშნერი 2000 წლიდან გერმანიაში დამკვიდრებული შესანიშნავი ქართული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია. დღევანდელი კონცერტის, საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამისთვის კი პოშნერმა თბილისში ახალგაზრდა მევიოლინე, მრავალი კონკურსის ლაურეატი დანიელ რიონიც მოიწვია.

ინგოლშტატის კამერული ორკესტრი ქართველ მუსიკოს-ლეგიონერთა იმ ბრწყინვალე შემადგენლობას მოიცავს, რომელიც 1990 წელს მაშინდელი ხელმძღვანელის – ლიანა ისაკაძის ინიციატივით გერმანიაში გაემგზავრა და იქ დამკვიდრდა კიდეც. საქართველოს მაშინდელი თითქმის ჩამკვდარი მუსიკალური ატმოსფერო ვერ შეუქმნიდა მუსიკოსებს განვითარებისა და წინსვლის ისეთ პირობებს, როგორსაც მათ ევროპა სთავაზობდა. ახალ ასპარეზზე კი მათ ნამდვილად შეძლეს თავის დამკვიდრება და ქართული საშემსრულებლო კულტურის პოპულარიზაციაც. ინგოლშტატის ქართული ორკესტრი რეგულარულად წარადგენს საქართველოს სახელს ევროპის პრესტიჟულ მუსიკალურ ფესტივალებსა თუ საკონცერტო ტურნეებში (შლეზვიგ ჰოლშტაინის, კისინჯერის, პრაღის ფესტივალები, დუნაისა და ალტმულის საზაფხულო კონცერტებზე და ა.შ). ორკესტრმა ისეთ ვარსკვლავებს გაუწია პარტნიორობა, როგორებიც გიდონ კრემერი, იგორ ოისტრახი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, რუდოლფ ბუხბინდერი, კრისტიან ზაქარიასი, ბარბარა ჰენდრიქსი, ნატალია გუტმანი არიან. ხოლო ორკესტრის მოწვეულ დირიჟორებს შორის შეიძლება კურტ მაზური და ლორდ იეჰუდი მენუჰინი დავასახელოთ.

მას შემდეგ, რაც ინგოშლტატის კამერულ კოლექტივს მარკუს პოშნერი ჩაუდგა სათავეში, ორკესტრმა მრავალი საინტერესო პროექტი განახორციელა. მათ შორის, შეიძლება აღინიშნოს ნატალია გუტმანთან, სერგეი ნაკარიაკოვთან, ფრანსუა ლელუსთან ერთად გამართული კონცერტები, ტოლვუდისა და რაინჰაუს ფესტივალები და სხვ.

წლევანდელი სეზონი კიდევ უფრო საინტერესო პროგრამებს გვთავაზობს: ფესტივალი “კონტრასტები”, რომელიც ეძღვნება თემას - “ენით გამოუთქმელი მუსიკაში”; ბავარიის თეატრის აკადემიასა და ინგოლშტატის თეატრთან თანამშრომლობით კი მიუნხენში მოცარტის “ფიგაროს ქორწინებას” ორიგინალურ ვერსიას წარმოადგენენ.

თავად პოშნერი ინგოლშტატის ორკესტრამდე სერ კოლინ დევისის და კრისტოფ პენდერეცკის ასისტენტად მუშაობდა. როგორც თავად აღნიშნა, სწორედ კოლინ დევისთან მუშაობამ გააღვიძა მასში განსაკუთრებული ინტერესი მოცარტის, ბრამსის შემოქმედების მიმართ. სწორედ მოცარტის “ჯადოსნური ფლეიტის” და “სერალიდან მოტაცების” ინტერპრეტაციამ მოუტანა მას განსაკუთრებული პოპულარობა და კრიტიკოსთა პრემია. მოწვეული დირიჟორის სტატუსით იგი კიოლნის, შტუტგარტის, მიუნჰენის რადიოსა და ნიუნბერგის სიმფონიური ორკესტრებთან მუშაობს. ამასთან, ლაიფციგის ოპერის, ჰანოვერისა და მიუნჰენის სახელმწიფო თეატრების საშტატო დირიჟორია. 1999 წლიდან კი რეგენსბურგის უნივერსიტეტის დირიჟორობისა და ჯაზის ინპროვიზაციის დოცენტია.

განსაკუთრებული მუსიკალური ბიოგრაფია აქვს ახალგაზრდა შვედური წარმოშობის მევიოლინეს დანიელ რიონს. საქართველო მან პირველად ევროპაში უკვე საკმაოდ ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ლიზა ბათიაშვილისაგან გაიცნო. რიონი განსაკუთრებულ, ძმები ამატების “კეთილშობილ” იტალიური ინსტრუმენტებზე უკრავს, რომელიც მას სპეციალურად ჩიკაგოს სტრადივარიუსის საზოგადოებამ ათხოვა. მიუხედავად ასაკისა (დანიელ რიონი 23 წლისაა), მან უკვე იური ბაშმეტისა და ივრი გილტისის პარტნიორობაც მოასწრო.

როგორც პოშნერისთვის, ისე რიონისთვის მუსიკალურ მწვერვალს მოცარტი წარმოადგენს: **“მოცარტი სრულიად განსაკუთრებულია** – აღნიშნავს პოშნერი – **ერთსა და იმავე**

მარკუს პოშნერი.

წუთში იცინის, მერე ტირის, მერე ცელქობს – მოცარტი ბავშვივით არის და უნდა შეგეძლოს ყველა ამ გრძნობას ერთბაშად გადაწვდე და თან გულსა და გონებას შორის ბალანსიც არ დაკარგო.” დღევანდელ კონცერტზე ინგოლშტატის ქართული ორკესტრი მოცარტის 36-ე სიმფონიას შესარულებს. პირველ განყოფილებაში დაუკრავენ შუბერტის უვერტიურასაც (სი-ბემოლ მაჟორი).

დღევანდელი კონცერტი იმითაც იქნება საინტერესო, რომ მეორე განყოფილებაში ახალგაზრდა ვირტუოზი მევიოლინე კამერული ორკესტრის თანხლებით პიაცოლას “წელიწადის ოთხ დროს” შეასრულებს. ეს უკანასკნელი საქართველოში თითქმის არ სრულდება. თავად სოლისტს პიაცოლასთან ერთობ ორიგინალური დამოკიდებულება აქვს: **“რომ ვუკრავ თავი ღამის კლუბში წარმომიდგენია: ტანგო და ა.შ...”.**

მოცარტისა და პიაცოლას გარდა, პოშნერი და რიონი ხშირად ჯაზურ მუსიკაშიც ატარებენ ექსპერიმენტებს: **“თუ მუსიკა კარგია,** - აღნიშნავს პოშნერი - **არ არსებობს სტილური შეზღუდვა, ჯაზი, კლასიკა, არაფრით არ ჩამოუვარდებიან ერთმანეთს – უბრალოდ, მათ განსხვავებული ენა აქვთ. ხომ შეიძლება ერთი და იგივე აზრი გამოვთქვათ ინგლისურად, გერმანულად, ქართულად...”**

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი	ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი
მისამართი:	შვილები: (თუ გყავთ)
საფოსტო ინდექსი:	განათლება: საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:	პროფესია:
ასაკი:	სამუშაო ადგილი
დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)	შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)
თქვენი ინტერესები და ჰობი:	შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?
გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)	არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?
არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?	რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?
გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?	რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?
მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?	თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?
გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?	ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?
გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქმოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)	ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:
უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?	ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?
რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?
რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?
როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?
რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?
დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

"იუვენტუსი" რონალდინიოთი დაინტერესდა

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტურინის "იუვენტუსი" სერიოზულად დაინტერესდა "პარი სენ ჟერმენის" ბრაზილიელი ნახევარმცველის, რონალდინიოს შეძენით. პარიზულ კლუბს მძიმე ფინანსური პრობლემები აქვს. მისი ვალი 200 მილიონ დოლარს აღწევს, რონალდინიოს გაყიდვით კი "პსჟ" ზოგიერთ პრობლემას მაინც მოაგვარებს. ამიტომაც, რონალდინიოს გაყიდვა საკმაოდ რეალურია. "იუვენტუსს" მომავალი სეზონისათვის გუნდის გაძლიერება აქვს განზრახული და რონალდინიოს საკვანძო ფეხბურთელად განიხილავს. ტურინული კლუბის გარდა, 23 წლის ბრაზილიელით "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ინტერიც" არიან დაინტერესებული, თუმცა, "იუვენტუსი" ყველაზე მეტად აქტიურობს.

"ფლამენგოს" რომარიოს დაბრუნება სურს

37 წლის რომარიო, შესაძლოა, კატარიდან ვადაზე ადრე დაბრუნდეს სამშობლოში და თავის ყოფილ კლუბში, რიო დე ჟანეიროს "ფლამენგოში" გააგრძელოს თამაში. შეგახსენებთ, რომ რომარიო "ფლამენგოში" 1997-1998 წლებში თამაშობდა, რის შემდეგაც "ვასკო და გამაში" გადავიდა. კატარის "ალ საადში" გადასვლამდე რომარიო "ფლუმინენსეს" რიგებში გამოდიოდა. კატარულ კლუბთან მისი კონტრაქტი სამთვიანია. ამ ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ ფეხბურთელი კვლავ აპირებდა ბრაზილიაში დაბრუნებას, სავარაუდოდ, ისევ "ფლუმინენსეში".

თუმცა, როგორც ჩანს, რომარიო, შესაძლოა, ვადაზე ადრე დაბრუნდეს სამშობლოში და კარიერა გააგრძელოს არა "ფლუმინენსეში", არამედ მშობლიურ "ფლამენგოში". ბრაზილიის ყველაზე პოპულარული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, მიშელ ასეფმა განაცხადა, რომ რომარიოსთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. "რომარიოს თითქმის ყოველდღე ველაპარაკები. მას გასულ კვირასაც ვესაუბრე. მითხრა, რომ "ალ საადთან" კონტრაქტის გაწყვეტა მისთვის პრობლემა არ არის", - განაცხადა ასეფმა.

"ფლამენგოს" ვიცე-პრეზიდენტის თქმით, რომარიოს სურს, რაც შეიძლება, მალე დაბრუნდეს ბრაზილიაში. "თუ ის კატარიდან მალე დაბრუნდა, ჩვენ შევხვდებით და მისი "ფლამენგოში" გადმოსვლის საკითხს განვიხილავთ", - ამბობს ასეფი.

ცნობილია, რომ "ფლამენგოს" რომარიოს ვალიც აქვს - 4 მილიონი დოლარი. ფეხბურთელი ამ ვალის გასტუმრებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, "ფლამენგოში" დაბრუნებაზე უარს აცხადებდა. ახლა კი საქმე სხვაგვარადაა. მიშელ ასეფის თქმით, რომარიო დათანხმდა, რომ ეს დავალიანება 100 თვის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ მიიღოს.

ვენგერი ამბობს, რომ სიმენს "არსენალში" დაიტოვებს

ლონდონის "არსენალის" ფრანგი მწვრთნელი, არსენ ვენგერი მეკარე სიმენის ერთგული რჩება და აცხადებს, რომ სიმენს არაფრით არ გაუშვებს კლუბიდან. "ჯერ არ გადამიწყვეტია, ითამაშებს თუ არა დევიდი მომავალ სეზონშიც, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სიმენი "არსენალში" დარჩება. თუ ის ფეხბურთს თავს დაანებებს, მას აუცილებლად მივიღებთ მწვრთნელთა შტაბში, ალბათ, მეკარეების მწვრთნელად", - ამბობს ვენგერი. თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ 39 წლის მეკარემ, შესაძლოა, მომავალ სეზონშიც "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს. "არ არის გამორიცხული, რომ სიმენი კვლავ ჩვენი ნომერი-1 მეკარე იქნება, მაგრამ არის მეორე ვარიანტიც: სიმენი სათადარიგო მეკარე გახდება და, პარალელურად, მწვრთნელადაც იმუშავებს", - განაცხადა ვენგერმა.

პეტერ შმაიხელი ფეხბურთიდან მიდის

"მანჩესტერ სიტის" დანიელმა მეკარემ, ცნობილმა პეტერ შმაიხელმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთის თამაშს შეწყვეტს. "ერთი თვე ვფიქრობდი, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი - ყველაზე მძიმეს გადაწყვეტილებას ჩემს ცხოვრებაში", - განაცხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" კარის ყოფილმა დარაჯმა. "დროა, წავიდე. მე ვეღარ გავუძლებ იმ საგანგაშო სიგნალებს, რომელთაც ჩემი ორგანიზმი მაწვდის. ასაკი აღარ მაძლევს ფეხბურთის თამაშის გაგრძელების საშუალებას. თუმცა, ძალიან მიჭირს იმაზე ფიქრი, რომ 11 მაისს, "მეინ როუდზე" ჩემს უკანასკნელ მატჩს ვითამაშებ", - ამბობს 30 წლის შმაიხელი.

ფეხბურთიდან წასვლა ჯერ კიდევ 2001 წელს ჰქონდა გადაწყვეტილი (მაშინ ის ლისაბონის "სპორტინგში" თამაშობდა), თუმცა, ვერ მოახერხა, ინგლისში დაბრუნდა და კარიერა განაგრძო. "მაშინ მზად არ ვიყავი იმისთვის, რომ ფეხბურთი მიმეტოვებინა. "ასტონ ვილაში" და "მანჩესტერ სიტიში" ბედნიერი ორი წელი გავატარე. ახლა კი ნამდვილად დროა და მეც მზად ვარ, ფეხბურთიდან წავიდე", - განაცხადა შმაიხელმა.

ვალდერამა პენსიაზე გადის

გადაწყვეტილება საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ მსოფლიო ფეხბურთის კიდევ ერთმა ვეტერანმა, კოლუმბიელმა კარლოს ვალდერამამაც მიიღო. 1990 წელს ვალდერამა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად აღიარეს, საკუთარ ქვეყანაში კი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. კოლუმბიის ფეხბურთის ისტორიის საუკეთესო ფეხბურთელმა მსოფლიოს 3 ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, ხოლო 1998 წელს სანაკრებო კარიერა დაასრულა. უკანასკნელ დღემდე ვალდერამა ამერიკის "კოლორადო რაპიდსში" თამაშობდა. ამ გუნდთან კონტრაქტი მას რამდენიმე დღის წინათ უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ მოულოდნელად კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. კოლუმბიის ნაკრებში ვალდერამამ 110 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა.

ფრანკას სამშობლოში დაბრუნება სურს

ლევერკუზენის "ბაიერის" ბრაზილიელი ლეგიონერის, ფრანკას გერმანული კარიერა მეტისმეტად უიღბლო გამოდგა. "სან პაულუს" 26 წლის თავდამსხმელი "ბაიერს" 8,5 მილიონი დოლარი დაუჯდა, თუმცა, მთელი სეზონის მანძილზე ფრანკამ მხოლოდ 3 გოლის გატანა შეძლო და საბოლოოდ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა.

ახლა კი ფრანკა აცხადებს, რომ ნოსტალგიას განიცდის და სურს, სამშობლოში დაბრუნდეს. ფრანკას შეძენის სურვილი გამოთქვა "პალმეირასმა", თუმცა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელს ბრაზილიის მეორე ლიგაში მოუწევს თამაში. "პალმეირასის" გარდა, ფრანკათი "კორინტიანსი", "ვასკო და გამა" და "ფლამენგოც" არიან დაინტერესებული.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 30 წლის წინათ...

1973 წლის 18 აგვისტო. კიროვი. გერმანია მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელები ული ჰიონესი და პაულ ბრაიტნერი.

შოთა არველაძე: „საქართველოს ნაკრები გუნდი არ არის"

მიხეილ აბაიშვილი

13 აპრილს შოტლანდიის ჩემპიონატის 33-ე ტურში შოთა არველაძის "გლაზგო რეინჯერსი" სტუმრად ეთამაშა "დანდი იუნაიტედს" და დიდი ანგარიშით, 4:1 გაიმარჯვა. სასიამოვნოა, რომ ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა, შოთა არველაძემ "დუბლით" გამოიჩინა თავი: მან მე-2 და მე-4 გოლები გაიტანა. ამჟამად "რეინჯერსი 87 ქულით სატურნირო ცხრილის პირველ პოზიციას იკავებს და ერთადერთ კონკურენტს, "სელტიკს" 8 ქულით უსწრებს. თუმცა, "სელტიკს" 2 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და დაკარგული ქულების მიხედვით არველაძის გუნდს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება. "24 საათი" გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა გლაზგოში მყოფ ქართველ ფორვარდს.

შოთა არველაძე ჩემპიონობისთვის ემზადება.

- გილოცავთ "დუბლის" შესრულებას და მორიგი გამარჯვების მოპოვებას. ანგარიშიდან გამომდინარე, ამ შეხვედრაში გამარჯვება არ გაგჭირვებიათ...

- წლეულს "რეინჯერსის" მთავარი მიზანი ჩემპიონობის მოპოვება და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლების მოპოვებაა. ამიტომაც, მნიშვნელობა არა აქვს, ძლიერ მეტოქეს ვეთამაშებით თუ შედარებით სუსტს – მთელი გუნდი ყოველ მომდევნო მატჩს სრული სერიოზულობით და დიდი მობილიზებით ხვდება. "დანდი იუნაიტედთან" შეხვედრაც არ იყო გამონაკლისი. თამაშის დასაწყისშივე ხელთ ვიგდეთ სრული უპირატესობა და მონაცვლეობით, დე ბურმა და მე 2-2 გოლი გავიტანეთ. მეტოქემ მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა. ორივე გოლის გატანაში დე ბური დამეხმარა.

- შენი შედეგიანობიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ტრავმა აღარ გაწუხებს.

- შეიძლება ასეც ითქვას. ტრავმას მთელი მატჩის განმავლობაში არ შევუწუხებივარ. თანაც, შეუცვლელად, 90 წუთი ვითამაშე.

- საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე შუშაკის დანიშვნას რა კომენტარს გაუკეთებ და თუ მიგიწვია ხორვატმა სპეციალისტმა რუსეთის ნაკრებთან მატჩისწინა შეკრებაზე?

- მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომის თაობაზე ალექსანდრე ჩივაძემ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება და ფედერაციას ისღა რჩებოდა, რაც შეიძლება, სწრაფად მოენახა მისი შემცვლელი. შუშაკთან არ მიმუშავია და მასზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ის, რომ მან თბილისის "დინამო" უმოკლეს დროში გუნდს დაამსგავსა და სერიოზულ, ანგარიშგასაწევ ძალად აქცია, შუშაკის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. როგორც ვიცი, შუშაკს "დინამოში" მოსვლამდეც წარმატებული სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა. მას ძალზე აქებენ "დინამოდან" ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელებიც. თუნდაც ის, რომ "დინამო", პრაქტიკულად, ნაკრების ერთ-ერთ საბაზო გუნდად იქცა, ამ კაცის სამწვრთნელო შესაძლებლობებს ხაზს უსვამს. ასე რომ, შუშაკის დანიშვნას დადებით შეფასებას ვაძლევ. რაც შეეხება რუსებთან მატჩზე ნაკრებში ჩემს მიწვევას, ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან გამოძახების დამადასტურებელი მოთხოვნა კლუბმა უნდა მიიღოს. ამის შესახებ ჩემთვის ჯერ არაფერი უთქვამთ.

- როგორ ფიქრობ, საქართველოს ნაკრებს კიდევ დარჩა რაიმე შანსი?

- არასწორად დასმული შეკითხვაა... სამწუხაროდ, დადასტურდა, რომ საქართველოს ნაკრები გუნდი არ არის და არც ყოფილა. ვგულისხმობ ისეთ გუნდს, რომელსაც სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლია. სანამ ისეთი ვინმე არ გამოჩნდება, ვინც გუნდის ჩამოყალიბებას შეძლებს, შანსებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ისე, ბედის ირონიაა: თუ სატურნირო მდგომარეობას გადავხედავთ, თითქოს შანსი კიდევ არის დარჩენილი, მაგრამ ეს შანსი რომ გამოიყენო, გუნდი უნდა გყავდეს.

- ხომ არ ფიქრობ, რომ ნაკრებში გამოცდილი უცხოელი მწვრთნელი ადრე უნდა მოგვეწვია?

- ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ისე არ გამიგოთ, რომ იმ ათმა წელიწადმა, რაც საქართველოს ნაკრები არსებობს, ფუჭად ჩაიარა. ეს პერიოდი თუნდაც იმისთვის იყო საჭირო, რომ ნაკრებს შექმნისა და განვითარების გარკვეული საფეხურები გაევლო. იმისთვის, რომ "დინამოს" თასების თასი მოეგო, საფუძველი მთელი ასი წლის განმავლობაში იქმნებოდა. რუსეთის არც ერთ გუნდს ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევია. საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი ავტორიტეტული მწვრთნელი, ნაკრებისთვის რომ არ ეხელმძღვანელა. შედეგით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ დროა, მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი მოინახოს.

- ფიქრობ, რომ ასეთი გამოსავალი არსებობს და ქართულ ფეხბურთს დღეს აქვს იმის პოტენციალი, ევროპაში სანაკრებო დონეზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიოს?

- ასე რომ არ ვფიქრობდე, ნაკრებში თამაშს არც მოვისურვებდი. ირლანდიასთანაც და შვეიცარიასთანაც საშინლად ვითამაშეთ. ძალიან უკმაყოფილო ვარ. მაგრამ თუ "ნიუკასლები", "გლაზგო რეინჯერსები", "აიაქსები", "მილანები" აღიარებენ ქართულ ფეხბურთს და თავისთან გვიწვევენ, ნაკრები რატომ არ უნდა გვყავდეს, მაღალი თუ არა, საშუალო დონის მაინც? ქართულ ფეხბურთს პოტენციალი ნამდვილად აქვს, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილა ის კაცი, ვინც ამ პოტენციალს აამოქმედებს. ღმერთმა ქნას, შუშაკის დანიშვნა ამ მიმართულებით გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი იყოს.

ინგლისის ნაკრებს ალაყაფს მიუხურავენ

29 მარტს "ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოსა და ირლანდიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩის დროს მომხდარი უწესრიგობების თაობაზე უეფა-ს ჯერ არ უმსჯელია. შეგახსენებთ, რომ მაშინ საფეხბურთო ხულიგნებმა მინდორზე სხვადასხვა საგნები გადმოყარეს, მათ შორის, დანა, რომელიც ერთ-ერთ ირლანდიელ ფეხბურთელს ხელზე მოხვდა. ინციდენტთან დაკავშირებით მატჩის მთავარმა არბიტრმა და უეფა-ს დელეგატმა უეფა საქმის კურსში ჩააყენეს და მომდევნო შესარჩევი თამაშების თბილისში ჩატარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

ინგლისელებმა თურქებს ჭერაც ვერ აპატიეს.

ევროპის საფეხბურთო კავშირმა ბოლო შანსიც მოგვცა - 4 დღის შემდეგ შვეიცარიის ნაკრებთან შესარჩევი შეხვედრაც თბილისში ჩატარდა. თუმცა, უეფა დანის სროლასთან დაკავშირებულ ინციდენტს 15 აპრილს განიხილავს და რუსეთის ნაკრებთან თამაშის თბილისში ჩატარების მიზანშეწონილობაზე იმსჯელებს. იმის გამო, რომ შვეიცარიის ნაკრებთან მატჩმა იდეალურად მშვიდად ჩაიარა, ჩრდილოელი მეზობლების თბილისში მასპინძლობის ალბათობაც თითქმის 100 პროცენტს უტოლდება.

და მაინც, ამ საკითხთან დაკავშირებით მშვიდად ყოფნა თავის მოტყუება იქნება, რადგან უეფა სტადიონებზე ხულიგნობას არავის, თვით სპორტის ამ სახეობის სამშობლოს – ინგლისსაც არ პატიობს, რაც კიდევ ერთხელ დასტურდება. იმ დროს, როდესაც საქართველოსა და შვეიცარიის ნაკრები გუნდების თამაშისასაც "ლოკომოტივის" სტადიონზე სრული იდილია სუფევდა, ინგლისში ადგილობრივი ფანები თურქებს ჯოჯოხეთს უწყობდნენ.

სანდერლენდში, ინგლისისა და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი მრავალი არასაფეხბურთო ინციდენტით გამოირჩა. ინგლისელებს ჯერაც არ განელებიათ 2 წლის წინ ორი ლიდსელი გულშემატკივრის სტამბოლში მოკვლით გამოწვეული გულისწყრომა და შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ, თურქებს სამაგიერო გადაუხადონ. ამჯერადაც ინგლისელებმა ისე "იყოჩაღეს", რომ უეფა-მ ინციდენტების საფუძვლიანად გამოსაკვლევად შეადგინა სოლიდური საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ევროპის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტს გამოძიების შედეგებს 1 მაისს წარუდგენს. მიუხედავად იმისა, რომ 1 მაისამდე დიდი დროა და, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს, უეფა-ს ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ სადისციპლინო კომიტეტი მკაცრ გადაწყვეტილებას მიიღებს და ინგლისის ნაკრებს თავის მომდევნო საშინაო მატჩზე გულშემატკივრების დასწრების უფლებას არ მისცემს. ამან კი, შესაძლოა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ფინანსური კრახი გამოიწვიოს.

თუმცა, მარტო თურქეთთან მატჩი, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით, 2:0 დასრულდა, არაფერ შუაშია. სანდერლენდში მომხდარი უწესრიგობები ბოლო წვეთი აღმოჩნდა უეფა-ს მაღალჩინოსანთა მოთმინების ფიალაში.

2 აპრილი. სანდერლენდში მოვლენათა განვითარების ქრონიკა: თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე პოლიციამ დააკავა და სტადიონის ტერიტორია დაატოვებინა ასამდე ინგლისელ ფანს. ეს ბრბო თურქეთის ნაკრების გულშემატკივართა მცირერიცხოვან ჯგუფთან ჩხუბის ატეხვას ცდილობდა. თუმცა, ეს მხოლოდ პრელუდია აღმოჩნდა. "საგულშემატკივრო წარმოდგენის" ძირითადი ნაწილი თამაშის მსვლელობას დაემთხვა. ყველაფერი რასისტული შეძახილების სკანდირებით დაიწყო, რასაც მთელმა სტადიონმა აუბა მხარი. ეს პროცესი ძალიან მალე მინდორზე "ქომაგთა" მასობრივი შეჭრით დასრულდა. წესრიგის დამცველებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს მათი დაშოშმინება, მაგრამ ესეც დროებითი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა გაიმარჯვეს, მატჩის დასრულების შემდეგ თურქეთის ნაკრების მცველთან, ალპაისთან მიირბინეს ინგლისელმა ფანებმა და სახეში მუშტები უთავაზეს. დრამის ფინალურ აკორდად იქცა ჩხუბი ტრიბუნებქვეშ, თანაც, ამ ჩხუბის ერთ-ერთი მთავარი და აქტიური მონაწილე იყო არა რომელიმე ინგლისელი ხულიგანი, არამედ... ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი მეკარე რეი კლემენსი.

"იმ მატჩებში, რომლებშიც ინგლისის ნაკრები მონაწილეობს, მსგავსი მოვლენები ძალზე ხშირად ხდება. ვთვლით, რომ ამ უმსგავსობებს ბოლო უნდა მოეღოს. ამჟამად დეტალურ გამოძიებას ვაწარმოებთ და მისი შედეგების მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის უმკაცრეს სანქციებს გავატარებთ", - განაცხადა უეფა-ს წარმომადგენელმა მაიკლ ლიმ.

იმ შემთხვევაში, თუ ევრო 2004-ის მომდევნო საშინაო მატჩს ინგლისის ნაკრები დახურულ სტადიონზე გამართავს (სავარაუდოდ, ასეც მოხდება), ამ ქვეყნის ისედაც ფინანსურ კრიზისში მყოფი მთავარი საფეხბურთო უწყება, სულ მცირე, 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს დაკარგავს (ამ ორგანიზაციის ფინანსურ სიძნელეებზე ისიც მეტყველებს, რომ ნაკრების ფეხბურთელებს უარი უთხრეს, ემირატებში გასამართ საწვრთნელ შეკრებაზე ოჯახის წევრები თან წაეყვანათ, რაც ადრე არ ხდებოდა). ფინანსური კრიზისის გამო ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელთა ხელფასებიც მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომაც, ასოციაცია ყველაფერს იღონებს, რათა ეს სანქცია აიცილოს.

"ძალზე საწყენია, რომ უეფა-მ საჭიროდ ჩათვალა, ინციდენტი გამოეძიებინა. თუმცა, გარწმუნებთ, ევროპის საფეხბურთო კავშირს საქმის ყველა ვითარების გარკვევაში დავეხმარებით. ჩვენ რასიზმისა და ძალადობის სასტიკი წინააღმდეგნი ვართ და ძალიან საწყენია, რომ ამ მხრივ ასოციაციის მიერ გაწეული მრავალწლიანი გარჯა 2 საათში წყალში ჩაგვეყარა. ფედერაციამ დამოუკიდებელი გამოძიება წამოიწყო. გარწმუნებთ, დამნაშავეებს გამოვავლენთ და დავსჯით. გპირდებით, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება", - განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა პოლ ბარბერმა.

ინგლისის ნაკრები მომდევნო შესარჩევ მატჩს მიდლსბროში, 11 ივნისს გამართავს. მისი მეტოქე იქნება სლოვაკეთის ეროვნული გუნდი. სხვათა შორის, სლოვაკებმა ბოლო საშინაო შესარჩევი თამაში ლუქსემბურგის ნაკრების წინააღმდეგ დახურულ სტადიონზე, გულშემატკივრების გარეშე ჩაატარეს. უეფა-ს რისხვა და დისკვალიფიკაცია სლოვაკი ქომაგების რასისტულმა გამოხდომებმა გამოიწვია.

ასე რომ, ირლანდიელთა წინააღმდეგ გადაგდებული დანა, შესაძლოა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ქართველ გულშემატკივარს უკან შემოუტრიალდეს. ეჭვგარეშეა: ევროპის საფეხბურთო კავშირი სფფს აუცილებლად დასჯის. გასარკვევი მხოლოდ ის რჩება, თუ რა საზღვრებში იქნება უეფა-ს ჩინოვნიკთა რისხვა.

კრივი

პატრიოტიზმი რინგზეც ძვირია

გიგა გურასაშვილი

რამდენადაც ცნობილია, პროფესიულ კრივში არ ყოფილა შემთხვევა, რომ კანადური წარმოშობის მოკრივეები მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონის წოდებაში შესცილებოდნენ ერთმანეთს. ახლა სავსებით შესაძლებელია, ასე მოხდეს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რინგის ერთ მხარეს დადგება WBC (საბჭოს) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ბრიტანელი ლენოქს ლუისი, მეორე მხარეს კი - კანადელი კირკ ჯონსონი. ყოველ შემთხვევაში, ჯონსონის ბანაკი ირწმუნება, რომ კონტრაქტზე ხელი უკვე მოწერილია.

ლუისი ყოველთვის სამიზნეშია. REUTERS

კანადელი კირკ ჯონსონის მოწოდებამ, დროა, ჩემპიონთა დავაში კანადელებმაც თქვან საკუთარი სიტყვაო, პატრიოტული გრძნობები გაუღვივა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია: ჯონსონის მენეჯერი კენ ლილიენი ირწმუნება, რომ მისი ქვეშევრდომი ახლო მომავალში სწორედ ლენოქს ლუისს შეერკინება. იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ რატომ სურს ჯონსონს მაინცდამაინც ლუისთან შერკინება, განვმარტოთ: ლუისი, რომელიც დღეს ბრიტანეთში ცხოვრობს და, ამ ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად, კანადის პასპორტიც აქვს, კანადური წარმოშობისაა. გარდა ამისა, 1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე კანადას ოქროს მედალიც მოუტანა. ასე რომ, თუ ყველაფერი გეგმით განვითარდა, მათი დაპირისპირებით, მართლაც, ისტორიული ორთაბრძოლა შედგება.

"განვიხილეთ საჩემპიონო ორთაბრძოლის შესაძლებლობა. ბრძოლა ივნისში გვსურს. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ეს იქნება კანადის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი სპორტული მოვლენა", - სამიოდე კვირის წინ აცხადებდა "დუვა ბოქსინგის" პრომოუტერთა კომპანიის პრეზიდენტი დინო დუვა. მაშინ საკუთარ პრომოუტერს

კვერს უკრავდა ჯონსონიც: "ლუისი მჭირდება. მინდა, ვუთხრა, რომ ეს კანადისა და მთელი მსოფლიოსთვის უნდა გავაკეთოთ. ლუისს, როგორც ადამიანს, პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისი დამარცხება შემიძლია".

ჯონსონი კანადური პროვინციის ნოვოსკოტიას მკვიდრია. მოგებული აქვს 34 ორთაბრძოლა, აქედან 25 - ნოკაუტით. მხოლოდ ერთხელ წაუგია და ერთი მატჩი დაუმთავრებია ფრედ.

რაც შეეხება სამომავლო ორთაბრძოლას, კენ ლილიენის ცნობით, ლუისს საბჭოს საჩემპიონო ქამარის დაცვა 21 ივნისს სწორედ რომ ჯონსონთან მოუწევს, მით უმეტეს, რომ მის კლიენტს, თურმე, კონტრაქტზე ხელიც მოუწერია. კონტრაქტის თანახმად, ჯონსონი ლუისთან ბრძოლისთვის 1,2 მილიონ დოლარს მიიღებს. ლუისის ბანაკთან შეთანხმების მიუხედავად (ეს შეთანხმება ამ ბრძოლის გამარჯვებულს WBC ოფიციალურ პრეტენდენტთან, უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან დაპირისპირებას ავალდებულებს), იმავე კონტრაქტით გათვალისწინებულია შემდეგიც (ამ შემთხვევაში ჯონსონის ვალდებულებაზეა საუბარი): ჯონსონის გამარჯვების შემთხვევაშიც კი ეს უკანასკნელი ვალდებულია, ლუისს რევანშის უფლება დაუთმოს.

რამდენად სარწმუნოა ჯონსონის ბანაკის ამგვარი განცხადება, ჯერჯერობით, უცნობია, რადგან ლუისს ფაქტი ჯერ არ დაუდასტურებია. ჯონსონისა და ლუისის ბრძოლის ველად ლას ვეგასი, ან ისტ-რუტერფორდი (ნიუ ჯერსის შტატი) მოიაზრება.

ჩოგბურთი

სერენა უილიამსმა წააგო

საჩოგბურთო სამყაროში თურმე ასეთი ამბებიც ხდება. სერენა უილიამსმა ბოლოს როდის წააგო, ჩოგბურთის მოყვარულთ, ალბათ, აღარც კი ახსოვთ. ბოლო დროს სერენამ ყველა ტურნირი მოიგო. მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული.

ჩარლსტონის ტურნირის ფინალში უმცროსი უილიამსი მასავით ზორბამ კი არა, პატარა და გამხდარმა ბელგიელმა ჟუსტინ ენინმა დაამარცხა, თანაც, ორ სეტში - 6:3, 6:4. გუშინ ეს ჩოგბურთელები მეექვსეჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. წინა ხუთი შეხვედრიდან ენინს მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული. რომ დამარცხდებოდა, სერენას, ეტყობა, გული უგრძნობდა, თორემ, როდის იყო, ასეთ განცხადებებს აკეთებდა: "ჟუსტინი თიხნარზე იმდენად კარგად თამაშობს, რომ მისი დამარცხება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მე ცდას არ დავაკლებ, მაგრამ რა გამოვა, არ ვიცი". წაგებული ფინალის შემდეგ უმცროსმა უილიამსმა ყველაფერი იღბალს დააბრალა: "რას იზამ, დღეს არ გამიმართლა, ჩემი დღე არ იყო. იღბალს ასე არასდროს შეუქცევია ზურგი". ბელგიელმა კი თქვა: "სერენა დიდი ჩოგბურთელია და ჩემი დღევანდელი მოგება არაფერს შეცვლის. დღეს ხალხმა სერენა უილიამსის დამარცხება იხილა. ვფიქრობ, ეს უპირველესად ჩოგბურთისთვის არის კარგი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ დაუმარცხებელი არავინაა. უბრალოდ, უნდა შეეცადო, იმაზე მეტი გააკეთო, რასაც შენი მეტოქე აკეთებს".

ენინთან შეხვედრამდე უილიამსმა ნახევარფინალში ლინდსი დავენპორტს მოუგო ორ სეტში - 6:1, 7:5. წაგებული პარტიის შემდეგ დავენპორტმა ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალა: "ვერ გამიგია, რა დამემართა. დამწყები ჩოგბურთელივით ვთამაშობდი, უმარტივეს შეცდომებს ვუშვებდი. მეორე სეტში ცოტა გამოვასწორე მდგომარეობა, მაგრამ უკვე გვიან იყო. სერენას მსგავს მაღალი კლასის სპორტსმენებთან ხანდახან მთელი შეხვედრის განმავლობაში კარგად თამაშიც არ კმარა. ასეთებთან ძალიან კარგად უნდა ითამაშო".

მეორე ნახევარფინალში ბელგიელი ჩოგბურთელი უპრობლემოდ გაუმკლავდა ამერიკელ ეშლი ჰარლროდს - 6:2, 6:1.

მძლეოსნობა

რედკლიფმა მარათონსა და კაცებს გადაურბინა

გიგა გურასაშვილი

პაოლა რედკლიფმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მარათონში მსოფლიო რეკორდების გაცამტვერება შეუძლია. ბრიტანელმა მორბენალმა ამჯერად შინაურ კედლებში - ლონდონის ტრადიციულ მარათონზე გამოიდო თავი. ფეხმარდმა ალბიონელმა ფინიშის ზონარი სარეკორდო დროში გაწყვიტა.

რედკლიფს გამარჯვება პრინცმა ენდრიუმ მიულოცა.

ლონდონის საერთაშორისო მარათონი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ამგვარი შეჯიბრებაა. მას 1981 წლიდან ატარებენ და ამ ხნის განმავლობაში აქ სულ ნახევარ მილიონ ადამიანს ურბენია. ლონდონის მარათონი იმითაცაა ცნობილი, რომ იგი ინგლისის დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ქუჩებზე გადის. 13 აპრილს კი რიგით 26-ე ასპარეზობა გაიმართა. მარათონის სტარტზე დაახლოებით 35 ათასმა მონაწილემ მოიყარა თავი. ტრადიციულ მარათონს არც მაყურებელი აკლდა. ლონდონის ქუჩებში ასიათასობით ცნობისმოყვარე გამოფენილიყო. ტელევიზიით მაცქერალთა რაოდენობა კი მილიონებს ითვლიდა.

საერთოდ, მარათონელები ორ კატეგორიად იყოფიან: ისინი, ვინც წმინდა სპორტულ შედეგებს ისახავენ მიზნად და ისინი, ვინც მხოლოდ სიამოვნებისთვის გადიან სტარტზე, ანუ მოხალისეები. მოხალისეებს კი ერთადერთი რამ სჭირდებათ: რეგისტრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის მარათონი ქალთა შეჯიბრებაა, მასში კაცებმაც იასპარეზეს. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) გადაწყვეტილებით, სპარინგპატრნიორად კაცების ყოლა სარბენი ტემპისა და, შესაბამისად, ქალთა შედეგების გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. თუმცა, რედკლიფს მათი დახმარება არც დასჭირვებია. მეტიც, პაოლამ ტრადიციულ ლონდონის მარათონზე მსოფლიო რეკორდი (2 საათი, 15 წუთი და 25 წამი) დაამყარა, რაც მის მიერვე შარშან, 13 ოქტომბერს, ჩიკაგოს მარათონზე დამყარებული მსოფლიო რეკორდის (2:17.18) გაუმჯობესებული ვარიანტია.

ბრიტანელი მორბენალი შუა დისტანციაზე მეტოქეებს ერთ წუთზე მეტს უგებდა. მერე კი მეორე სუნთქვა გაეხსნა და ფინიშის ხაზთან უახლოეს მდევარზე, კენიელ კატერინ ნდერებაზე ოთხნახევარი წუთით ადრე მიიჭრა. ასეთი შედეგის მიუხედავად, ასპარეზობის შემდეგ 29 წლის ბრიტანელმა განაცხადა, რომ მას კიდევ აქვს საკუთარ თავთან დასამტკიცებელი.

"არც მიფიქრია, რომ ეს ჩემი საუკეთესო შედეგია. არა მგონია, რომელიმე ჩვენგანს მიაჩნდეს, რომ ზღვარს მიაღწია, რადგან ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. ყოველთვის უნდა გჯეროდეს, რომ უფრო სწრაფადაც შეძლებ რბენას, - თქვა რედკლიფმა და იქვე დასძინა, რომ მის შედეგზე მარათონში ვაჟთა მონაწილეობას გავლენა არ მოუხდენია. - არა მგონია, მათი სახით რამე განსხვავება მეგრძნოს".

კაჭკაჭი

ნინო I

ტომი ჰაასს სიყვარულს ჩოგბურთი ურჩევნია

დიახ, ასეთი უცნაურობებიც ხდება ხოლმე ამქვეყნად... 25 წლის ტომი ჰაასი ახალი თაობის გერმანელ ჩოგბურთელთა შორის ყველაზე შესამჩნევი ფიგურაა. სპორტული წარმატებების პარალელურად, შავთმიანი ტომი შთამბეჭდავი გარეგნობითაც გამოირჩევა, რის გამოც მისი მატჩების დროს ტრიბუნებზე, ძირითადად, სუსტი სქესის წარმომადგენლები აქტიურობენ. 2002 წლის 16 დეკემბერს ჰაასმა მხრის ტრავმა მიიღო და ჩოგბურთს გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა. მისმა თაყვანისმცემლებმაც მოიწყინეს. ჰაასს დაშავებული მხარი ნელა ურჩებოდა, კორტზე დაბრუნება კი უსაშველოდ გაჭიანურდა და არავინ იცოდა, როდის ითამაშებდა ახალგაზრდა ვარსკვლავი. ასე გადიოდა დრო. და უცებ მოხდა მეტად უცნაური რამ: ჰაასმა განაცხადა, რომ მეგობარ ქალს შორდებოდა...

ტომი და სენდი

ტომი და სენდი.

- სიყვარული და კარიერა

ჰაასის თაყვანისმცემელი ქალები ამ ამბავმა ძალიან გაახარა. მთელი ოთხი წლის მანძილზე ტომი ჰაასი ყველასთვის მიუწვდომელი იყო. მას ულამაზესი გოგონა უყვარდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. სენდი მაიერ-ვიოლდენი 16 წლის იყო, როცა ჰაასს შეხვდა. ეს მოხდა ინგლისში, უიმბლდონის ტურნირზე, 1999 წლის ზაფხულში. მას შემდეგ ისინი მუდამ ერთად იყვნენ. სენდი ბორის ბეკერის მენეჯერის, ალექს მაიერ-ვიოლდენის ქალიშვილია. ბეკერის მენეჯერი 1997 წელს გარდაიცვალა, როცა სენდი მხოლოდ 14 წლის იყო. ამ ტრაგედიამ გოგონას სულში უდიდესი კვალი დატოვა. სწორედ ამიტომ, სენდი გვერდიდან არ მოშორებია ტომის, როცა 2002 წლის ივნისში ჰაასის მშობლებს - ბრიგიტასა და პეტერს - მოტოციკლი გადაუბრუნდათ და მძიმედ დაშავდნენ. პეტერ ჰაასის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ის კომაში იყო და არავინ იცოდა, გადარჩებოდა თუ არა. როცა პეტერ ჰაასი მომჯობინდა, მამა-შვილი დიდად ემადლიერებოდა სენდის, რომელიც ამ მძიმე დღეებში ტომის მუდამ მხარში ედგა.

მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ მაიამიში, სადაც სენდი სწავლობს. პლაჟზე ხალისით პოზირებდნენ ფოტოგრაფებისთვის. ყელზე ორივეს ოქროს ძეწკვი ეკიდა წარწერით: "I love you! T & S" T ტომის სახელის ინიციალი იყო, S კი - სენდის, მაგრამ განშორების შემდეგ ამ ასოებმა სულ სხვა მნიშვნელობა მიიღეს: T - Trennung (გერმანულად: განშორება) და S - Schluss დასასრული...

რატომ მივიდა საქმე აქამდე? მით უმეტეს მაშინ, როცა ტომი და სენდი ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ და დაშორების შემდეგაც მეგობრებად დარჩენას აპირებენ? როგორც ტომი აცხადებს, განშორების და დასასრულის მიზეზი მისი კარიერა გახდა. "ჩვენ ერთად აღარ ვიქნებით. ეს ორივესთვის საუკეთესო გამოსავალია. სენდი მაიამიში სწავლობს კომუნიკაციის ფაკულტეტზე, მე კი მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს გარშემო დავდივარ, სხვადასხვა ტურნირში ვმონაწილეობ. ამის გამო ძალიან ძნელია ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება. ბოლოს უსიამოვნება უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული. ჩვენ ამაოდ შევეცადეთ, რაიმე გამოსავალი გვეპოვა. არაფერი გამოვიდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ განშორება საუკეთესო გადაწყვეტილებაა. სენდი ძალიან ლამაზი ქალია და მასზე მუდამ კარგი მოგონებები დამრჩება, მაგრამ ახლა მირჩევნია, ბოლომდე ჩოგბურთზე ვიყო კონცენტრირებული და მოვემზადო ჰამბურგის ტურნირისთვის, რომელიც 12 მაისს დაიწყება. მანამდე ცოტა დროა. ალბათ, გამიჭირდება ფორმაში შესვლა, მაგრამ მაინც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ღირსეულად დავბრუნდე", - აცხადებს ტომი ჰაასი.

სენდი კომენტარისგან თავს იკავებს. არავინ იცის, რას განიცდის ის. ტომი კი დაუღალავად ვარჯიშობს, მიუხედავად იმისა, რომ მხარი ისევ აწუხებს. ძირითადი დატვირთვა მარცხენა ხელზე გადადის. ტომი ჰაასი ჰამბურგის ტურნირის მოსაგებად ემზადება. ამ მიზანს მან სიყვარული შესწირა. ღირდა კი კარიერისთვის ასეთი მსხვერპლის გაღება?

ინტერნეტის განვითარების ჯგუფი - საქართველო აწყობს სასკოლო ინტერნეტის გვერდების კონკურსს

განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღება 1 მაისამდე

კონკურსის პირობები კავშირის გვერდზე
www.idg-georgia.org.ge
ან
თვით კავშირში
თბილისი, რუსთაველის **22**
ტელეფონი: **990037**
ელ. ფოსტა: **idg@idg-georgia.org.ge**

ციფრული მონტაჟის, ოპერატორის ხელოვნებისა და ფოტო საქმის შემსწავლელი სასწავლო სატელევიზიო ცენტრის სერთიფიცირებული ორთვიანი კურსები პირველი მაისიდან.
ტელ: 34-41-15, 34-67-50
etv@ip.osgf.ge

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს. ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა. საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გაგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება ან იცვლება თბილისში ბინაზე ხეხილიანი ნაკვეთი კოჯორში. 96 99 34 ნინო, ნუკრი

იყიდება არასტანდარტული 130 კვ.მ. ინდივიდუალური პროექტის 4-ოთახიანი ბინა მყარ სახლში იოსებიძეზე, მანქანის სადგომით. 38 50 88

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41
69-94-27 ბელა.

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ტელეფონით და ბ/აირით ვარკეთილი-3-ის IV მ/რ-ში. 79 45 21

იყიდება ან იცვლება საცხოვრებელი 140 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ., 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება 11-ოთახიანი კეთილმოწყობილი კერძო სახლი საბურთალოზე 400 000-ად ან ქირავდება უცხოელებზე 5 000-ად. 98 32 80

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯიით 5(2) თევდორე მღვდლის №3-ში, დეზერტირების ბაზართან. 22 13 68

იყიდება "ყაზლაშვილის" გარემონტებული 2-ოთახიანი ბინა 9(3) ბ/აირით მეუნარგიაზე. ფასი 14 000. 95 79 13

იყიდება 300 კვ.მ. ახალგარემონტებული კერძო სახლი 3000 კვ.მ. ეზო-ბაღით, 100 ძირი შემოსავლიანი ხეხილით სოფ. გლდანში. 63 29 26

კომერც. ფართი

ქირავდება რესტორანი ქალაქის ცენტრში, კარგ ადგილას. 99 52 73

ბინები

ქირა, ბირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება

4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში (პარლამენტის სახლში) მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

ვიგირავებ 3-ოთახიან ბინას ან კერძო სახლს უპავეჯოდ, ნორმალური პირობებით, მეტროსთან. 3000 $-ად. 8(99) 98 29 38

ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას ან კერძო სახლს უპავეჯოდ, ნორმალური პირობებით, მეტროსთან. 3000 $-ად. 8(99) 98 29 38

მანქანები

იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

იყიდება !

ა/მ **AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ღუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
ტელ: 899 16 28 68

იყიდება მერსედესი 200 D დიზელი, გამოშვება 1995 წ. ავტომატიკა, ტყავის სალონი, 2 აირბაკი მთლიანი ელექტროპაკეტი, კონდიციონერი. ფასი 7500 $. 8(93) 35 43 32

სასწრაფოდ იყიდება „აუდი-100“, 1992 წლის, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი 3600. 37 70 83, 8(99) 57 27 97

სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე.
ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442

ვამზადებ ხატვაში, ფერწერაში, ქანდაკებასა და კომპოზიციაში მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს შეღავათიან ფასებში. 39 75 68

სწრაფი, კვალიფიციური კითხვის ტექნიკას შევასწავლი ინტელექტუალური საქმიანობის პირებს. გაიზრდება კითხვის სიჩქარე, ყურადღება, ტექსტის გაგებისა და დამახსოვრების ხარისხი. 32 32 75

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

სხვადასხვა

გთავაზობთ სამსახურს - მძღოლი მანქანით. 79 57 58, 93 27 43

იყიდება ROVER-416 GSI ავარიული, მწვანე მეტალიკი. გამოშვებულია 1991 წ. 1200 $. 98 48 19, 8(99) 98 75 87

იყიდება სალარო-აპარატი „კასიო“. ფასი შეთანხმებით. 79 24 95 17 სთ-ის შემდეგ

იყიდება სარეცხი მანქანა „ევრიკა-3“. ნახევრად ავტომატური. კარგ მდგომარეობაში. 61 66 67 ვაჟა

დავამუშავებ ქართული ლიტერატურიდან ყველანაირ თემას უმაღლესი ხარისხით. 61 66 67 თამარი, ვაჟა

იყიდება ესპანური კლასიკური გიტარა, ფლამინგო. ახალი. ფასი 600 ლარი. 96 08 39

ვყიდი ნატურალური შავი ტყავის იტალიური წარმოების ქალის ჩანთას. 39 75 68 ქეთი

მაცივრებისა და კონდიციონერების შეკეთება გარანტიით. 53 32 19, 8(99) 91 71 34

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასაღმგელი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

გვესაჭიროება მაღალკვალიფიციური მკერავები. 91-28-72 10.00-დან 19.00 სთ-მდე.

კაზინო "მუმიაა" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.
ტელ: 899 216566

იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410

კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

- **ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
  ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სოლო კონცერტი
  დას: 19.00 სთ; ფასი 8,10,15 ლარი
- **კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
  საქართველოს კამერული ორკესტრი (ინგოლშტატი)
  დას: 19.00 სთ

თეატრები

- **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“**
  "დედა დედოფალი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლებში: სოფიკო ჭიაურელი და მურმან ჭინორია
  დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი
- **თეატრალური სარდაფი ვაკეში**
  "ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
  დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
  "სამი პიესა" რეჟ. ლელა ჭინჭარაული
  დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
  "სასაცილო კაცის სიზმარი", რეჟ. შალვა კიკვაძე
  დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **ვანტოჩინის თეატრი**
  "დუმილის პოეზია", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
  დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

- **„ძარვასლა“**
  ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
  გახსნა 16:00 სთ
- **ძველი გალერეა**
  ბესა და ლაშა, გრაფიკა და კოლაჟები
  გახსნა 17:00 სთ
- **ეროვნული გალერეა**
  ომარ ჩუბინიძის მემორიალური გამოფენა

კინოთეატრები

- **„ამირანი“**
  "რვა მილი"
  დას: 15:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 6-8 ლარი
  ანიმაციური ფილმი "ტიხიროს სულების სამყაროში"
  დას: 17:30; ფასი 5,6 ლარი
- **„რუსთაველი“**
  "ჩიკაგო"
  დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5 ლარი
  "ძალიან მაგარი ქალი"
  დას: 17:30; 21:45 სთ; ფასი 5,9 ლარი
- **„ელისო“**
  "ძალიან მაგარი ქალი"
  დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
  "ჩიკაგო"
  დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი

TV პროგრამა 15 აპრილი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ძალაქის ზღაპრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ძალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
14.50 ტელეკაზინო
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ძალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „დათვების ძალაქის ზღაპრები“
19.00 დოკ. ფილმი „გაუნება“
19.20 პრეპაროსტოკი
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები“
19.50 ტელეკაზინო
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.45 ტელეკაზინო
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ეროტომანის დღიურები“ მთ.რ-ში მაიკლ დე ბარესი, ნასტასია კინსკი
02.30 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები“
10.15 მხ. ფილმი „ბრიყვები“
11.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.05 „ლერერის შოუ“
15.15 მხ. ფილმი "უსახო კაცი"
17.05 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
17.30 საქართველო და გარე სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები“
18.35 გასტი-გუგუ
18.50 „და არს მუსიკა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.55 „სათავეებთან“
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება?“
23.55 მხ. ფილმი „კეთილშობილი მარტა“

პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 გაზ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „28 დღე“
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი გრავო „მაჟესტიკი“
01.40 ფილმი ღამურა „მონასტერი“
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 ამგები ჩვენზე
21.00 დოკ. ფილმი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „მე თქვენი აღარ მჯერა“

იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 გურთი და მოედანი
10.50 მხ. ფილმი „კომგოსტოს წვენიანი“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამგები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „ბლექჯეკი“
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „ტრასა 60“
22.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „იუბილარი“
01.10 ღამის ფილმი

ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში“
12.30 სალონი
14.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სალონი“
21.30 „სპორტის სამყარო“
22.30 სტუდია „ეკონომისტი“
23.30 მუსიკალური პაუზა
23.45 ტელესერიალი „ყავახანა“
00.00 მხ. ფილმი „ფლირტი მხეცთან“

მესხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 10.45, 14.15, 17.50, 18.50, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი“
12.45 მხ.ფ. „ინფორმატორი“
14.20 „ტელემეტრი“
14.45 „მსოფლიო რაგბი“
15.10 მხ. ფილმი „რუსი ქილერი“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე“
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
20.00 „ევროპის სტადიონებზე“
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი“
22.15 მხ. ფილმი „ანბარიშწორება“
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი“
00.45 მხ. ფილმი „დიდი იმედები“

იმედი

17.00, 17.56, 20.57, 01.00 ახალი ამბების დაივჯესტი
17.05, 01.05 იმედის მელოდიები
18.00 სერიალი „იუდას ძალი“ მე-4 ს.
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი“ მე-17 ს.
20.30 8 1-2 „ერთხელ ჰოლივუდში“
21.00 სერიალი „მოჯალაქე უფროსო“ მე-3 ს.
22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ჯარისკაცები“ (დ. ლუნდგრენი)

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაივჯესტი
08.15 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 საბავშვო ფილმი „მამილო აფიშიდან“
11.05 დრამა „საზღვარი“ 2 ს.
12.15 სათავგადასავლო ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი“
14.30 კომედია „სამი ძებნილი“
16.15 მულტფილმი „ბემბი“
17.35 სათავგადასავლო ფილმი „იამაკასი“
19.00, 22.00, 00.00 „დღეს“
19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი“
19.35, 22.35 „Пресс-папье“
19.45, 03.20 მუსიკა
20.00 კომედია „ცრუმამბერი პირი“
21.50 „ბალერეა“
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.05 მელოდრამა „დღე და ღამე“
03.20 მუსიკა
04.00 კომედია „მკურნალი ადამი“

VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.50 „ბედნიერი ერი“
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 მოგზაურები
12.45 „ბიორითმი“ .
13.05 აუდიო-ვიდეო-ტექე
13.45 კომპიუტერული თამაშები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
18.55 მოკლედ... უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა“
19.40 „სახლიდან გაუსვლელად“
20.05 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
20.45 კომპიუტერული თამაშები
20.55 „ღამის კაპარიზი“ - თემა: .
21.55 მოგზაურები
22.40 „კინოკლუბი“ - „გოძილა და უცხოპლანეტელი“.
00.45 აუდიო-ვიდეო-ტექე
01.25 „ბიორითმი“ .

1 ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 „Десять смертельных акул“ 1-я часть
12.05, 17.25, 01.00 „Фабрика звезд-2“
12.35 „Переменка“
13.15 Детектив „ЯД ОТ ДЕГУСТАТОРА“
14.40 „Непутевые заметки“ с Дм. Крыловым
15.00 „Новый день“. „Короли смеха“. „Лицедеи“
15.30 „Новый день“. „Подводный мир Андрея Макаревича“
16.20 Детектив „ОТЕЛЬ „БЕРТРАМ“ 1-я ч.
18.00 „Большая стирка“
19.30 Шутка за шуткой
21.00 Алла Пугачева. „Сказки о любви“
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ“
23.45 „Александр 2-й. Жизнь. Любовь. Смерть“ фильм 2-й
01.15 „На футболе“
01.40 „Новый день“. „Русский экстрим“
02.15 Апология
03.10 Сериал „Беглец“
04.05 Триллер „ДЖЕК-ПОТРОШИТЕЛЬ“
06.05 „ОТНОСИТЕЛЬНОСТЬ“

РТР

06.45 Доброе утро, России!
09.45, 21.55 Сериал „РУССКИЕ АМАЗОНКИ“
10.40, 23.00 Сериал „ТАЙГА“
11.40, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Сериал „Лодка любви“
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех-2“
17.15, 04.35 Агентство одиноких сердец
18.50, 02.30 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 Спокойной ночи, малыши!
00.40 Церемония вручения премии „Золотая маска“
02.45 Горячая десятка
03.40 „ТВИН ПИКС“

НТВ

07.00 Утро на НТВ
09.55 Сериал „Скорая помощь 8“
11.00 Сегодня утром
11.25 „Очная ставка“
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок“
13.05 Худ. фильм „МУЖЧИНА ДЛЯ МОЛОДОЙ ЖЕНЩИНЫ“
14.35 Профессия-репортер
14.50 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.35 „Принцип „Домино“
18.05, 21.50 Сериал „Бандитский Петербург“
19.20 Док. драма „Преступление и наказание“
20.35, 00.25 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ“
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო ´ინფოზავრის´ ნებართვით

მსოფლიო კულტურის ტრაგედია

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

მავზოლეუმი.

ბაღდადი მორიგი შტურმის შემდეგ.

ბაღდადელები ქვეყნის სიმდიდრეს შინ ეზიდებიან.

ტიკრიტის დაბომბილი მუზეუმი.

REUTERS

უცნაური რამაა დრო. აინშტაინის თეორიაშიც კი ვერ ჯდება. ადამიანთა ცივილიზაციის მიერ რვა ათასწლეულის მანძილზე შექმნილი ექსპონატების მოსასპობად ორი დღე აღმოჩნდა საკმარისი. ბაღდადში გაძარცვულ და დანგრეულ ერაყის ნაციონალურ მუზეუმზეა საუბარი.

როცა ერაყის დედაქალაქში სამინისტროების შენობებსა და სასახლეებს ცეცხლი მოედო, მუზეუმის თანამშრომლები სასტუმროებში გაცვივდნენ, სადაც დასავლეთის ქვეყნების ჟურნალისტები ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ისინი დასავლეთიდან მოსულთაგან ყველაზე გონიერ საზოგადოებად მიაჩნდათ. მუზეუმის თანამშრომლები თვალცრემლიანნი ევედრებოდნენ: უთხარით თქვენს სამხედროებს, რომ მუზეუმი მძარცველებისგან დაიცვან! მსოფლიო კულტურას ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა ემუქრება!

არასრული მონაცემების თანახმად, დაახლოებით ორასი ათასი ექსპონატი მოპარული ან განადგურებულია! მათ შორისაა ანტიკური ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, ანტიკური ქვები და კერამიკა, ბრინჯაოსა და სპილოს ძვლისგან დამზადებული, ოქროთი მოპირკეთებული ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმის ლითონის კარით დაცული, სართულ-სართულ მიწის ქვეშ ჩამავალი 28 გალერეა და საცავი სრულიად გაძარცვული და განადგურებულია.

მუზეუმის სასოწარკვეთილი და განრისხებული თანამშრომლები უმალვე ამჩნევდნენ ყველაზე ძვირფას დანაკარგს და წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ამერიკის მმართველობას, რომელმაც მუზეუმის ვანდალებისაგან დაცვაზე უარი განაცხადა. იანკების "წვლილი" მსოფლიო კულტურის დაცვის საქმეში ერთი ტანკით, "აბრამსითა" და ხუთი საზღვაო ფეხოსნით შემოიფარგლა. ტანკი ნახევარი საათის განმავლობაში მუზეუმის შესასვლელთან იდგა, საზღვაო ფეხოსნებმა კი მძარცველთა დანახვაზე ჰაერში გაისროლეს. მძარცველები მუზეუმიდან გაიქცნენ. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, როცა "აბრამსი" და მეზღვაურები წავიდნენ, მძარცველები დაბრუნდნენ და თავიანთი საქმე განაგრძეს.

"დარჩენა ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრეს და წავიდნენ, - ყვებოდა არქეოლოგი რაიდ აბდულ რიდჰარ მუჰამედი, რომელსაც ათეულ ათასობით გათხრაში აქვს მონაწილეობა მიღებული, – დაბრუნებული მძარცველები მოკვლით მემუქრებოდნენ. ზოგი ამბობდა, ამერიკელებს მოვახსენებთ, რომ სადამ ჰუსეინის ჯაშუში ხარ და ისინი მოგიღებენ ბოლოსო."

ამერიკელების "ჩარევამდე" კარგა ხნით ადრე სამუზეუმო სივრცის რამდენიმე აკრი თოფებით, პისტოლეტებით, ნაჯახებით, დანებით და ხელჯოხებით შეიარაღებულმა ათასკაციანმა ბრბომ გაავსო. ისინი გალერეებში ველოსიპედებით, ურიკებით და გადაადგილების სხვა საშუალებებით იჭრებოდნენ და ანტიკვარიატს ზედ ტვირთავდნენ. ჯიბეებს "წვრილ-წვრილი ნივთებით" ივსებდნენ.

დავილუპეთ! – მოთქვამდნენ მუზეუმის თანამშრომლები.

დაიკარგა ცნობილი, ოქროსგან დამზადებული არფა, რომელიც შუმერული სამეფოს ადრეულ ხანაში იყო გაკეთებული (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 360 წელი). დაიკარგა "ქალი ურიკადან", მისი სკულპტურული თავი, იმავე დროს შუმერის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში შექმნილი. დაიკარგა სამკაულების უძვირფასესი კოლექცია – ყელსაბამები, სამაჯურები და საყურეები, რომელიც სულ მცირე ოთხი ათასი წლის იყო.

ერაყის ნაციონალურ მუზეუმს არქეოლოგები, ისტორიკოსები და სხვა ექსპერტები ახლო აღმოსავლეთის ყველაზე მდიდარ მუზეუმად თვლიდნენ.

მუზეუმის ერთ-ერთი კურატორი ცოტა ხანს ძვირფასი კერამიკული ფილების, გათელილი და დახეული უძველესი წიგნების, ნახევრადდამწვარი და ბენზინით გაჟღენთილი ხალიჩების გროვაში დაბორიალობდა და იქიდან გამოათრია გამოფენის, "ცივილიზაციის აბრეშუმის გზის" კატალოგი, რომელიც 1988 წელს იაპონიის ძველ დედაქალაქ ნარაში გაიმართა. კატალოგის 50 ფურცელი გადაფურცლა, რომელიც ეძღვნებოდა ერაყიდან წამოღებული ექსპონატების გამოფენას, და კურატორმა ჩამწყდარი ხმით მიმართა ჟურნალისტებს:

- ამისგან აღარაფერი დარჩა, არც ანტიკური ქვის გრავიურები, მეფეთა, მეფის ასულთა და ხარების გამოსახულებით, არც სპილენძის ფეხსაცმელი, არც წარწერებიანი დაფები, არც ხალიჩები, არც სპილოს ძვლისგან გამოთლილი ღმერთებისა და ქალების ფიგურები, არც ნუბიური ბალიშები, არც მეომართა გამოსახულებიანი ფრიზები, არც გეომეტრიული ფიგურებით მორთული ანტიკური საბეჭდავები და დაფები, არც კერამიკული ურნები და ჭურჭელი – ეს ექსპონატები 2-დან 5 ათასწლეულს ითვლის. ყველაფერი დაიკარგა! ყველაფერი მოიპარეს.

მუზეუმის კურატორის მოადგილე მოჰსენ ჰასანი ბაღდადში ამერიკული სარდლობის შტაბს ესტუმრა, რომელიც ერთნახევარი კილომეტრით არის დაშორებული სასტუმრო "პალესტინადან". მან სთხოვა გენერლებს, რომ გამოეყოთ ჯარისკაცები მუზეუმის დასაცავად, რათა ის მაინც გადაერჩინათ, რაც ჯერ კიდევ დარჩა ორდღიანი ძარცვის შემდეგ. გენერლები დათანხმდნენ, მაგრამ იმის გარანტია არ მიუციათ, რომ დაცვა სადღეღამისო იქნებოდა. მერე გამოცხადდა, რომ დამცველთა რიგებში ადგილობრივ შეუიარაღებელ პოლიციელებს ჩარიცხავდნენ.

"34 წელი მუზეუმის შექმნას მოვანდომე, - ამბობს ჰასანი, - როგორი იქნებოდა იმის ყურება, ჩაქუჩებით რომ ამსხვრევდნენ მძარცველები ვიტრინებს, ბოქლომების გასატეხად კი მათ იარაღის ჯერს მიუშვერდნენ ხოლმე. მძარცველთა უმეტესობა ბაღდადის ღარიბი უბნებიდან იყვნენ, ისინი იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, მაგალითად, საშუალო კლასის წარმომადგენლები, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ; მათ იცოდნენ, რას ეძებდნენ. კარგად იცოდნენ იმ საგნების ღირებულება, რასაც იპარავდნენ".

კურატორის მოადგილე ჰასანი და არქეოლოგი მოჰამედი ამ ტრაგედიაში ბრალს პრეზიდენტ ბუშს სდებდნენ.

"ქვეყნის ორიგინალური სახე მის ისტორიაში ჩაიბეჭდება; მასში აისახება ერის ცივილიზაციის ფასეულობები, - განაცხადა მოჰამედმა, - თუ ამ ფასეულობებს გაანადგურებთ, როგორც ეს ჩვენს ფასეულობებს დაემართა, ერის იტორია დასრულდება. თუ შეიძლება, უთხარით ეს პრეზიდენტ ბუშს! შეახსენეთ, რომ ის ერაყელ ხალხს გათავისუფლებას დაჰპირდა, მაგრამ რაც ახლა ხდება, ეს თავისუფლება კი არა, ერაყელი ხალხის დამცირებაა!"

იმასაც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ პრეზიდენტ ბუშის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები მხოლოდ წმინდა რიტორიკული ხასიათის არ არის. ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე არქეოლოგთა და ისტორიკოსთა ჯგუფმა პენტაგონს მიმართა მოწოდებით - მიეღო "გადამწყვეტი" ზომები ერაყის ისტორიული ღირებულებების დასაცავად. მათ განაცხადეს, რომ საომარი ოპერაციების განხორციელება იმ ტერიტორიებზე, სადაც ძველი ბაბილონის, ნინევიის, ნიმრიდის, ურის გათხრები მიმდინარეობდა, სახიფათო იყო. არქეოლოგები და ისტორიკოსები წინდაწინვე საუბრობდნენ იმ საშიშროებაზეც, რაც ომის შემდგომ არეულობას მოჰყვებოდა თან. ექსპერტებმა შეახსენეს პენტაგონს, რომ 1991 წელს, სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ, 13 მუზეუმიდან 9 მუზეუმი დაზიანდა. მაშინ ისტორიული ნაციონალური მუზეუმი გადარჩა, რადგანაც საომარ მოქმედებებს ბაღდადამდე არ მიუღწევიათ.

ამერიკელი არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ ტრაგედია ბაღდადის ნაციონალური მუზეუმისა, რომელშიც ადამიანის ცივილიზაციის და ადრეული ისლამური კულტურის ფასეულობებია დაცული, შეიძლება კატასტროფად იქცეს მთელი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისათვის. "ბაღდადის მუზეუმი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმია, სადაც ფასდაუდებელი ექსპონატები ინახება," – ამბობს დოქტორი ჯონ მალკოლმ რასელი, მესოპოტამიის არქეოლოგიური ექსპედიციის ექსპერტი და ბოსტონში მასაჩუსეტსის ხელოვნების კოლეჯის პროფესორი. ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ ანალოგიური ტრაგედია შესაძლოა თავს დაატყდეს მოსულის მუზეუმსაც, სადაც მეზობელი ნინევიის გათხრების დროს ნაპოვნი ასირიული ექსპონატები ინახება.

უფრო მეტიც, პენტაგონს ექსპერტებმა ისიც აცნობეს, რომ "სტიქიურ" მძარცველებთან ერთად, შესაძლოა, გამოჩენილიყვნენ პროფესიონალი მძარცველებიც, რომლებიც ანტიკვარიატით ვაჭრობის არალეგალურ ბიზნესში არიან ჩაბმულნი. ჩიკაგოს უნივერსიტეტის არქეოლოგის - დოქტორ მაკიური გიბეონის ცნობით, "ეს მთელი ინდუსტრიაა, რომელსაც გარედან აფინანსებენ."

დაცინვა არ არის? ერაყის ნაციონალური მუზეუმის ტრაგედია ერთი გამოფენის მომზადების პროცესს დაემთხვა. "ხელოვნება პირველ ქალაქებში": ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეული – ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე", ასე ჰქვია გამოფენას, რომელიც 8 მაისს გაიხსნება ნიუ იორკის მუზეუმ "მეტროპოლიტენში". გამოიფინება 400 ექსპონატი, რომელთა უმრავლესობა "ერაყული წარმომავლობისაა". პენტაგონს რომ აკრიტიკებდა, მუზეუმის დირექტორმა, დოქტორმა ფილიპე დე მონტებელომ განაცხადა: "ჩვენ არა გვაქვს უფლება დავიპყროთ ქვეყანა, მერე კი პასუხისმგებლობას თავი ავარიდოთ, ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ანარქიამ ერაყის ანტიკური ფასეულობები გაანადგუროს." მუზეუმის დირექტორის ცნობით, უკვე ჩატარდა არქეოლოგთა საგანგებო სესიები, სადაც განხილული იქნა საკითხი - "როგორ დავეხმაროთ ბაღდადის მუზეუმს". ძველი მესოპოტამიის ისტორიისა და კულტურის 230-მა სპეციალისტმა 25 ქვეყნიდან ხელი მოაწერეს პეტიციას, რომელიც ორშაბათს, 14 აპრილს, გადაეცა გაეროს. პეტიცია აშშ-ს სამხედრო ლიდერებს და ერაყის ომის შემდგომ ადმინისტრაციას მოუწოდებს, "უზრუნველყოს კულტურული ფასეულობების უსაფრთხოება ერაყელი ხალხის მომავლისა და მთელი მსოფლიოს მომავლისათვის."

ამერიკელი არქეოლოგები ამბობენ, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გაწყდა კონტაქტი ერაყელ კოლეგებთან. ბოლო ინფორმაცია, რაც მათთვის გახდა ცნობილი, ის არის, რომ მუზეუმის მომსახურე პერსონალმა და მეცნიერ-თანამშრომლებმა ბარიკადები მოაწყეს. ისინი შეეცადნენ დაემალათ და მუზეუმიდან გაიტანეს ყველაზე ფასეული ექსპონატები, მუზეუმში დარჩენილ ექსპონატებს კი ქვიშის ტომრების ალყა შემოარტყეს. როცა დოქტორ რასელმა მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის დირექტორი, დონი ჯორჯი ნახა (ეს იყო ზუსტად ომის დაწყების წინ), ის "გამხდარი და დაუძლურებული ჩანდა. დიდი სტრესი ჰქონდა გადატანილი მუზეუმის საომარი მზადებისგან". მან თქვა, რომ ჯერჯერობით უცნობია ისეთი უიშვიათესი ექსპონატების ბედი, როგორიცაა ქვის ჩიტი ნემრიკიდან, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე 8 ათასი წლით არის დათარიღებული!

უცნობია ურიკის საკულტო ლარნაკის ბედიც, რომელიც შუმერული ეპოქის ყველაზე ადრეულ ხანას მიეკუთვნება; მასზე მინდვრები, საქონლის ფარა და ადამიანებია გამოსახული, შესაწირავი რომ მიაქვთ ქალღმერთ ინანასთან - შუმერულ იშთართან. ქალღმერთი ინანა მრავალი ათასწლეულის მანძილზე მფარველობდა ხელოვნების ამ ნიმუშებს, სანამ 21-ე საუკუნეში ომის ღმერთმა მარსმა ისინი დასაღუპად არ გაწირა.

13 აპრილი, 2003



ვერსალი და ზამთრის სასახლე ბაღდადში

როცა ბაღდადელი დიქტატორის სასახლეებში ალი-ბაბას არაბული ზღაპრის ორმოცი ყაჩაღივით მოხეტიალე ამერიკელ ჯარიკაცებს ვუყურებდი, რომლებიც ხან ტახტრევანის მაგვარ სავარძლებზე კოტრიალობდნენ, ხან გიგანტური ზომის, ფარდებიან საწოლებში ნებივრობდნენ, პატივისცემით ეხებოდნენ მალაქიტით მოპირკეთებულ აბაზანებში ოქროს ონკანებს, ხან კი თვალებგადმოკარკლულები ათვალიერებდნენ ფანჯრების ვიტრაჟებს, ბრინჯაოს ჭაღებსა და შანდლებს, უნებურად სხვა ეპოქები და სულ სხვა დედაქალაქები მაგონდებოდა. ისტორიულ ასოციაციებს ნაჩვევი ჩემი წარმოსახვა სანკიულოტების მიერ აღებული ვერსალისა და ოქტომბრის შტურმით დარბეული, ჯარისკაცებითა და მეზღვაურებით გატენილი ზამთრის სასახლის სურათებს ხატავდა.

ისტორიული პარალელები, როგორც წესი, ეფექტურია, მაგრამ – არასწორი. ასევეა სადამის სასახლის ვერსალთან და ზამთრის სასახლესთან, მით უმეტეს – ამერიკელი ჯარისკაცების სანკიულოტებთან და ბალტიისპირელ მეზღვაურებთან შედარების შემთხვევაშიც – იმის მიუხედავად, რომ ბაღდადის შტურმშიც აშშ-ს საზღვაო ქვეითები მონაწილეობდნენ. მაგრამ ამ თამამ, უფრო სწორად კი, ზედმეტად გაბედულ შედარებებს ერთი ასპექტი ახლავს, რომელიც დაფიქრებად ღირს. სანკიულოტებმა საფრანგეთი ბურბონებისგან რომ იხსნეს, ქვეყანას თავს დაატეხეს იაკობინური ტერორი. ზამთრის სასახლის აღებით და დროებითი მთავრობის ჩამოგდებით, ბოლშევიკებმა რუსეთს წითელი, მოგვიანებით სტალინურად ქცეული, ტერორი მოუტანეს. ეს ორივე ძალა თავს განმათავისუფლებლად მიიჩნევდა, სინამდვილეში კი ტირანიის ხელის შემწყობნი აღმოჩნდნენ. ამერიკელი ჯარისკაცებიც თავისუფლებისა და დემოკრატიის ლოზუნგებით შევიდნენ ერაყში. მაგრამ, სადაა იმის გარანტია, რომ სადამის ჩამოგდების შემდეგ ხელისუფლებას ფანატიკოსი მოლები ან ფუნდამენტალისტი იმამები არ ჩაიგდებენ. სოციალისტი სადამი ხომ რკინისებრ ბორკილებში ამყოფებდა მათ? გავიხსენოთ, რა მოხდა ირანში, როცა შაჰი რეზა ფეჰლევის ჩამოგდების შემდეგ ადამიანების თავისუფლებას აიათოლები დაეპატრონნენ....

სადამის დაბომბილი სასახლე

-აი, ეს მესმის! ასეთი სასახლე ცხოვრებაში არ მინახავს! რა ცუდია, შუქი რომ გამორთულია! – აღფრთოვანებით ამბობდა კაპრალი ბენჟამენ რიჩარდსონი. ის თვითონ ვირჯინიის მიყრუებული ქალაქიდან - ილფი-პეტროვისეული ერთსართულიანი ამერიკიდან.

ბენი ქვეითთა მესამე სამხედრო დივიზიის ჯავშანტანკების ბატალიონის ჯარისკაცების ჯგუფთან ერთად დააბიჯებდა ფაოს საპრეზიდენტო სასახლის ჩაბნელებულ დარბაზებში. სასახლე მათ დილის ბრძოლისას აიღეს. დარბაზები, თითქმის, დაცლილი იყო – ვიღაცას უკვე გაეტანა ავეჯის ინტერიერის დიდი ნაწილი. მარმარილოს იატაკზე მტვრის სქელი ფენა იდო. ჯარიკაცები მტვერზე საკუთარი ჩექმების ნაკვალევს ტოვებდნენ; იარაღისა და აღჭურვილობის სიმძიმით ოფლად იღვრებოდნენ. გარეთ აუტანელი სიცხე იდგა, აქ კი, მარმარილოს იატაკებისა და კედლების წყალობით, სასიამოვნო სიგრილეს დაესადგურებინა.

ჯარიკაცები უხმოდ დადიოდნენ – არნახული ფუფუნებით დათრგუნულებს თვალები გაფართოებოდათ, პირები დაეღოთ. მხოლოდ შიგადაშიგ თუ გაისმოდა გაოცებული, სრულიად ბოლშევიკური რეპლიკები:

-აი, რას ხმარდებოდა ერაყული ნავთობი!

-აი, სადაა მოქუჩებული ერაყელი ხალხის კუთვნილი სიმდიდრე!

ამერიკელი ჯარისკაცების ჩექმები იდეოლოგიური ნალებით კარგად იყო დაჭედილი.

ფაოს სასახლე ერთ-ერთი იყო იმ სამი სასახლიდან, რომელიც ქვეითთა მესამე დივიზიამ დაიპყრო. ფაოს აღებისას ბრძოლა არათანაბარი იყო – სასახლეს სულ ცხრა სნაიპერი იცავდა. ორი მათგანი მოკლეს, ექვსი გაიქცა, ერთს კი სასახლის სამზარეულოს უზარმაზარ მაცივარში მიაგნეს – შეშინებული იქ იმალებოდა. დაკითხვისას მან თქვა, რომ ის და დანარჩენი სნაიპერებიც სირიიდან იყვნენ.

ოქროს პირსაბანები

- აქ რესპუბლიკის გვარდიელებმა შემოგვრეკეს და გვიბრძანეს, ალაჰის სახელით სასახლე დაგვეცვა, - ამბობდა ტყვე.

ალაჰმა სირიელებს ვერ უშველა.

ფაოს სასახლე ხელოვნური ტბის შუაგულში, კუნძულზე მდებარეობს. მას მაღალი, ბეტონის კოლონებიანი კედელი აქვს შემორტყმული. სასახლე სამ სართულიანია –თაღებითა და კოლონადებით. მარმარილოს კედლებზე ბრინჯაოთი გამოყვანილი არაბული ასოები ხოტბას ასხამენ სადამის სიბრძნესა და მის სხვა უთვალავ ღირსებას. ტბასთან, მომწვანო ფერის წყლის პირას მაღალი პალმები და ვარდის ბუჩქები ხარობს. სასახლესთან სამი გზა მიდის, ორი - ბომბებისგანაა დაზიანებული, ერთზე კი უკან დასაბრუნებელი სათადარიგო მატარებელივით ამერიკული ტანკი – M 1 - A1 "აბრამსი" დგას. ფაო საომარმა მოქმედებებმა სულ ოდნავ დააზიანა. სასახლე მის სიახლოვეს მომხდარი აფეთქებების ტალღებმა უფრო შეარყია, რასაც სახურავის მცირე ნაწილი და სამზარეულოს მარმარილოს იატაკი შეეწირა.

ნახე, ყველა ოთახში ბროლის ჭაღებია! – გაკვირვებით ამბობდა ერთ-ერთი განმათავისუფლებელი ჯარისკაცი.

მაგრამ, განმათავისუფლებლებს უფრო მეტად სააბაზანოები იზიდავდათ. თითო სართულზე რამდენიმე აბაზანა იყო. ორი კვირის განმავლობაში კუვეიტისა და ერაყის უდაბნოების ტკეპნის შემდეგ არაბული მზითა და 40-გრადუსიანი სიცხით გათანგული, ოფლითა და სადამის სიძულვილით გაჟღენთილი ჯარისკაცები ამ ხვატისგან გათავისუფლებაზე და ბანაობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ... მოოქროვილი ონკანებიდან წყალი კი არ მოდიოდა, მოწანწკარებდა.

ვერც ტუალეტებით ისარგებლებდი. ამ დეტალმა ისევ 1917 წლის ზამთრის პეტერბურგში დამაბრუნა. ზამთრის სასახლეში ტუალეტები არაჩვეულებრივად მუშაობდა, როცა ის შტურმით აიღეს. მიუხედავად ამისა, გამარჯვებულები თავიანთ მცირე და დიდ მოთხოვნილებებს მაინც ხელოვნების ნიმუშებად მიჩნეულ ფაიფურისა და ბროლის ლარნაკებში იკმაყოფილებდნენ. როდესაც აღშფოთებულმა მაქსიმ გორკიმ ეს ამბავი ლენინს უამბო, ვლადიმირ ილიჩმა გორკის "ინტელიგენტურობა" მასხრად აიგდო და ღიმილით განაცხადა, რომ ეს "კლასობრივი შურისძიება" გახლდათ. ამერიკული არმიის ქვეითთა მესამე დივიზიის ჯარისკაცი, როგორც ჩანს, ოფლთან ერთად "კლასობრივი შურისძიების" წყურვილით გაჟღენთილი არ გახლდათ, ამიტომ ფაოს ტუალეტები წაბილწვას გადაურჩა. რაც გინდა თქვი და, ამერიკელებს მაინც მაღალი დონის ყოფითი კულტურა აღმოაჩნდათ!..

არა, ამ ყმაწვილს გემოვნება ნამდვილად აქვს! – თქვა სადამის ესთეტიკური გაქანებით აღფრთოვანებულმა სერჟანტმა ჯოზეფ მაკფერლანმა.

სერჟანტ ჯერემი გენზევურტს, საერთოდაც, გული აუჩუყდა და ჰუსეინისადმი სიბრალულით აღივსო:

მე მგონი, სადამი ახლა თავს ისე გრძნობს, როგორც ჩვენ ვიქნებოდით, ვინმეს ჩვენთვის სახლი რომ წაერთმია. ერთია აეროპორტის აღება, სულ სხვაა, ადამიანს სახლს რომ წაართმევ, - ამბობდა სერჟანტი.

ამერიკელებს ყოფითი კულტურის გარდა, საკუთრების გრძნობაც ძლიერ განვითარებული აქვთ. ზამთრის სასახლის შტურმის მონაწილეებს ეს გრძნობა სრულიად არ გააჩნდათ. ტყუილად ხომ არ მღეროდნენ მხნედ ათწლეულების შემდეგაც მათი შთამომავლები, - ჩემი მისამართი სახლი და ქუჩა კი არა, საბჭოთა კავშირიაო.

ერთი სიტყვით, ვის რა ენატრება - ჯარისკაცები ფაოს სასახლეში წყალს ეძებდნენ, სადივიზიო დაზვერვის მაიორი ჯონ ალტმანი კი – საიდუმლო დოკუმენტებს, გასასვლელებსა და გვირაბებს. ის სასახლის ჩაბნელებულ ლაბირინთებში ფანრით დადიოდა, კედლის კარადებს ამოწმებდა, საწოლების ქვეშაც კი იხედებოდა, მაგრამ ამაოდ – ფაოს სასახლეში საიდუმლო გასასვლელები და გვირაბები არ იყო, ისევე როგორც არ იყო წყალი, ურომლისოდაც, მოგეხსენებათ, ვერ იქნები.

როგორ გააცურეს ევა ჰერციგოვა

სააგენტო 1 Model Management-სა და კანადური ქალის საცვლების მწარმოებელ კომპანია La Senza-ს შორის დავა სასამართლომდე მივიდა. დავის მიზეზი კი 29 წლის ჩეხი მოდელის, ევა ჰერციგოვას ახალი ვარცხნილობა გახდა.

"ნიუ იორკ დეილი ნიუსის" ცნობით, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ La Senza-ს სარეკლამო კამპანიისთვის ფოტოგადაღებაზე ევა მოკლე თმით გამოცხადდა – სწორედ იმ ვარცხნილობით, რომლითაც "ლუის ვიტონისა" და Gap-ის უკანასკნელ კამპანიებში მონაწილეობდა. დამკვეთს ეს არ მოეწონა, და საცვლების კომპანიამ გადაწყვიტა, რომ ფოტოსურათების სარეკლამოდ გამოყენება და, შესაბამისად, ფოტომოდელისთვის ჰონორარის გადახდა არ ღირდა.

1 Model Management-მა მანჰეტენის უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სააგენტო მოითხოვს, რომ La Senza-მ არამარტო ევას ჰონორარი (30 ათასი დოლარი), არამედ სასტუმროში ცხოვრების 598 დოლარი და სააგენტოს საკომისიო 6 ათასი დოლარიც გადაიხადოს. სააგენტოს პრეზიდენტი, სკოტ ლიფსი საშინლად აღშფოთებულია: "ევამ ფოტოგადაღების კონტრაქტს ხელი მოაწერა და თავისი ვალდებულებები პირნათლად შეასრულა".

სასამართლოში წარდგენილ საბუთებს სააგენტოს ადვოკატის წერილიც აქვს დართული: "მის ჰერციგოვა ყველანაირი ვარცხნილობით უმშვენიერეს მოდელად რჩება".

აქ კი, ნამდვილად, არაფერია სადავო.

ქრონოგორდი



წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.